

ლიტერატურული გაზეთი

№5 (309) 18 - 31 მარტი 2022

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ბესო ხვედელიძე

როზობიზაცია

უფანტასტიკურესი მოთხრობა

ესე იგი, მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, ერთ ნარიჟრაჟევეს, სამსახურში აერომობილით გაფრენამდე, ინტერნეტში ბოდილისას რაღაც კვანტური დიეტის სარეკლამო ბანერს მივყვევი და უცნაურ საიტზე აღმოვჩნდი. საიტი თეთრად ქათქათებდა. შუაგულ ცენტრში წვრილად მიწერილის თანახმად, თბილისის „ნ.ა.ს.ა.“-ს ოფისი შევსებული კითხვარის პასუხებზე დაყრდნობით ირჩევდა ადამიან-დონორებს ერთკვირიანი ექსპერიმენტის ჩასატარებლად (და რაც მთავარია — ძალიან კარგად იხდიდნენ!!!). ექსპერიმენტს ბაქტერიოლოგიური ფარმაკოლოგიის სურნელი ასდიოდა (სპეციალური აბების პრეორალური გზით მიღება და ასე შემდეგ — ეგ აღარ წამიკითხავს), შესახებ კითხვარი კი მეტად პრიმიტიულად გამოიყურებოდა, ანუ, ორმოც ტიპობრივ კითხვაზე პასუხების გაცემა მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, არ გამჭირვებია — უცებ შევსებული მაშინვე უკან გადავგზავნე.

— საუზმე რა ხანია, მზადაა, ლელაიე-მასნ! — მხიარულ-დასავლურად მიხმო წინსაფრიალმა თანამეცხედრე გოჩიმ ოთხ სულზე გაშლილ მაგიდასთან.

ჩვენი საერთო პირმშობი — თიკნა და ნიკალე — უკვე სუფრას უსხდნენ და ერთმანეთს თვალების დაელმებაში ეჯიბრებოდნენ.

— არ ვიცი... უკვე აღარაფერი ვიცი!.. — ხელების ნერვიული ფშვნიტით მივუჯექეი მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, მაგიდას, — შენ არ მოდიხარ, გოჩი?! თუ მოპატიუების ელმესიჯი გამოგიგზავნოთ?! — გავძახე მეუღლეს.

— მაცალე, გოგო! სილიკონის სალფეტკებს და ბიო-სამარილეს გამევიყოლებ და მევეთრევი, მა სა ფარცხანაყანევეში წავალ!!!


— თქვენ კიდევ, რას გავხართ, რას?! — დავკვივლე დაელმებულ შვილებს და მაგიდას ხელისგული მკაცრად დავკარი.

ბავშვებმა „ელამობანა“ მყისვე შეწყვიტეს და მზერა გაისწორეს.

— ჩემი გაკვეთილი გაქვთ დღეს რომელიმეს?! — შევეკითხე შვილებს საუზმის დასრულებისას. თიკნამ და ნიკალემ ერთდროულად გააქნიეს თავები.

— წესიერად მოიქეცით ორივე! არ გავიგონო, ვინმემ რამე მოთხრას ლიცეუმში! და კიდევ — აერო-გეოგრაფიას ნუ ემაიმუნებით მთელი კლასი! — წამოვდექი მე სკამიდან, — წავედით! გახდა ცხრა საათი! სადაა აერომობილის პულტი?!

II-III



ნინო სადლობელაშვილი

ჰანიბალის ფიცი

ჭუჭყიანი ფანჯრის მიღმა წამით შეასწრო თვალი — შორიასლოს მეხი დაეცა ხეს და ნახევარი ტანი ჩამოათალა. ლანალუნის და ცეცხლის ხმაც სულ ერთნამიანი იყო — ისაც წამეხარი ხის ძირში ჩაიკრიფა, წვიმის ღვარებმა გადაუარა ზედ.

ცეცხლის ბურთმა, ხის ტანში რომ გაიარა, რაცნაირი ძალა მისცა, თვითონაც ვერ მიხვდა რა დაემართა. ისაც კი მოეჩვენა, რომ თავს თუ ამ ძალას დაატანდა, თოკებსაც გაიგლეჯდა მაჯებიდან და ცალ ფეხზე გამობმულ რკინის ჯაჭვსაც განყვეტდა თვალისდაუხამხამებლად. მერე სუნთქვა შეიკრა და მართლა სცადა, შინაგანი ძალით მიანვა მაჯებს ცალკე და წვივებს ცალკე.

ძვრა ვერ უყო. ნერწყვი მოადგა სასულედან და ისლა გადმოაფურთხა სიმწრით, შეკავებული ჰაერიც გადმოაყოლა. ბუშტივით გაიბერა ჰაერშეპარული ნერწყვი და რამდენიმე წამს საწყლად დაეკიდა შარდისსუნთან მიწურში.

VI-VII



ლუკა ბაქანიძე

ავარიული სახლი

როგორც ბედისწერის ხაზი, ღარი ხელისგულზე — ვეიქრობდი მერე. კარგა ხნის მერე. რო ამოვივლიდი აღმართს და უცებ აღიმართებოდა, უგვანი, დალაქავებული მაღალი კედელი. ელვასავით დატოტვილი ბზარით. იმ დროს აშენებული კედელი, როცა ავტოს ჭაჭანიც არსად იყო და ცხენის მისაბმელები ჰქონდა ზედ. სადარბაზოს მხრიდან. ეს წყეული, ჭრილობასავით ნახეთქი მაშინ ძლივს ჩანდა, როცა აქ გადმოვედი საცხოვრებლად... აი, ფანჯრებიც. მცოცავი ჩინური ვარდის ბურქებით ავბედითად ჩამობურული. პირველად რო ავხედე, მართო რამდენიმე ყლორტი შემოხვეოდა ფანჯრის ძველებურ, ჟანგიან გისოსებს. შემოუხვევ და აქვეა კარიც. კარის თავზე ნიშაში გამოკვეთილი რაღაც გაურკვეველი ფიგურა ჩანდა. მერე გავიგე, სულ რამდენიმე სახლს ჰქონია ასეთი ბარელიეფი ქვეყანაში. ერთმა ლოთმა გიდმა თქვა, ხანდახან ტურისტებს რო მოლაღავდა ხოლმე ზედ ჩემს ფანჯრებთან — ჰოდა, ემაგ გიდი ლაყობოდა, ასეთი სახლების განლაგებაც რო ერთგვარ ფიგურას წარმოადგენდა თურმე, ურთიერთდამაკავშირებელი ზოლები რო გაგველო მათ შორის და ზემოდან დაგეხედა. რა თქმა უნდა, ბოღვაა ეს ყველაფერი. ადგილი მანყობდა და იმიტომ გადმოვედი: მიყრუებული ქუჩაა. ძნელად მოსაგნები და არავინ შემანუხებდა. ხმაურისგან და აურზაურისგან დავისვენებდი ორიოდ წელს, წყნარად ვიმუშავებდი და გადავიდოდი სხვაგან. რაც თავი მახსოვს, სულ საცხოვრისს ვიცვლი. მიჩვევასაც ვერ ვასწრებ, სახლის შეყვარებაზე რო არაფერი ვთქვა. ეს შენობაც ზერელედ შევათვალე თავიდან: მთავარია, მყუდროა. მერე რა, რო ძველია. მალე აქედანაც წავალ და რა მედარდება.

X-XI



დასაწყისი პირველ გვერდზე

პასუხი მეორე დილით ელექტრონულ ფოსტაზე მოვიდა. მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, 13:00 საათზე ოფისში მიბარებდნენ. მისამართი: სავაჭრო ცენტრის მეოთხე სართული. 310-ე ოთახი. გახარებულმა მსუბუქად ავტლინკე ხელ-ფეხი, მივიღე გამაჯანსაღებელი გეო-შხაპი და სამზარეულოსკენ ხაოიან ხალათში გამოხვეული ფეხშიშველი გავტანტალდი. თანამეცხედრე გოჩის უკვე გაეწყო საუზმე ორისთვის.

— ნადირები უჭმელი გაუშვი? — მაგენი „სიქს-დე-პარკში“ გაშენენ დილიანად... გასართობათ! — თანამეცხედრე გოჩიმ ჩაი ჩამოასხა და პურიანი ლანგარი მომიჩოჩა, — კვირე როა დღეს, მაგი თუ გახსოვს?... დეისვენონ პანა!

— ეჰ, მალე ხომ მეც დავისვენებ და მოვასვენებ ყველას! — ამოვიოხრე სევდიანად. — რაიო?! — შეხტა ლამის გაკვირვებისგან წინსაფრიალი გოჩი. — თავის მოკვლაზე მეფიქრება სულ გოჩი! — მოწყენილი სახე მივიღე მე. — სექტემბრიდან ყველა სასწავლებლის რობოტიზაცია! გვიშვებენ სახლში პედაგოგებს! განათლების სისტემის მსოფლიო პროგრამა! სამაგიეროდ, დამსახურებული პენსია გვექნება დანიშნული სიკვდილამდე, მაგრამ კაპიტლები... ყველა მასწავლებელი უვადო შვებულებაში!!!

— შენ გეხუტუნე! რობოტები მოდიან, ესე იგი? — ჩაეცინა გოჩის. — ნერვი მაგათ არ აუტოკდებათ და არაფერი!.. მთელი სასწავლო პროგრამა ედებათო თავში!.. ისეთი ალგორითმებით იქნებიან დაპროგრამებული, ყველაფერი ეცოდინებათ!.. სუყველაფერი: ფიზიკა, ქიმია, ანატომია, ბიოლოგია, ასტრონომია, კვანტური მექანიკა, ყველა ენა!.. ვინ გამოვდივარ მაგათთან შედარებით მე?

— მაგი არ თქვა მიორედ, გოგო! — რა ჭირი თქვა, აბა?! — ...მაგიორში გახსოვდეს: შენ ხარ სულიერი, რომელმაც ცხოვრებით შექმნა საკუთარი თავი! — გოჩიმ წელზე მომხვია ხელი და შუბლზე მაკოცა. — მოლეკულა არ გამოვდივარ!.. მტვრის ნაწილაკიც კი! — კინალამ ავცრემლდი, მაგრამ უცებ „ნ.ა.ს.ა.“-ს ამბავი გამახსენდა და მაშინვე მოვხასიათდი, — სამაგიეროდ, მგონი, დროებითი სამსახური ვიშოვე, გოჩი! — დროებითი რაფერაა მაგი? ახსენი, აბა!..

— მოკლედ, ერთკვირიანი ექსპერიმენტი!.. გადასარევად იხდიან!.. პირველზე გასაუბრებზე მიბარებენ! — რა ჭირი უნდათ?! — „ნ.ა.ს.ა.“ თბილისური ოფისის სპეცკითხვარი შევავსე და სივსთან ერთად გავუშვი ინტერნეტში! რაღაც ბაქტერიულ-ფარმაკოლოგიურ ექსპერიმენტს აყენებენ და დონორები სჭირდებათ!

გოჩიმ როყიო მზერა გამიყარა. — არ გადაგრიონ საერთოდ, გოგო!.. მეც ხომ არ ნამოვბლაყუნდ პადდერჟის ამბავში? — შენ იატაკი და მტვერსასრუტი გელოდება, გოჩი! მიხედე ისე ლამაზად, როგორც იცი ხოლმე! სად უნდა წამომყვე?! არასრულფასოვანი კი არ ვარ! რას იფიქრებს ხალხი?!

პირველს ხუთი აკლდა, სავაჭრო ცენტრის გვერდითა კარი რომ შევალე და შენობაში მკაცრად ჩაპიჯაკებული შევედი. მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, ლიფტი მალევე ვიპოვე, ვილაქ შავკატიან კაცთან ერთად ვიმგზავრე და მეოთხე სართულზე მარტომ გავაბიჯე ბაქანზე. 310-ე კარზე ზარი ორჯერ წყვეტილად დავრეკე. კარი ვერცხლისფერ უნიფორმაში გამოწყობილმა ბოლო თაობის რობოტმა გამიღო, რომელიც ძალიან ჰგავდა ლამაზიზმისკენ გადახრილ უთმოუნარბო კომპიტიანო რონალდოს.

— ექსპერიმენტის თაობაზე გახლავართ!.. დადებითი პასუხი მივიღე! დღეს დამიბარეს პირველზე! მგონი, სწორად მოგაგენით... — მოზრძანდით-მოზრძანდით! თქვენი ჰოლო-პასპორტიც, თუ შეიძლება!

— ინებეთ! — გაუწოდე ვერცხლისფერ რობოტს გამჭვირვალე პასპორტი და ფართოდ გაღებულ კარში შევავიჯე.

ოფისში ყველა რობოტი ვერცხლისფერებში დაიარებოდა. კედლებზე შპალერის ადგილას გრძივი სენსორული ეკრანები დაემონტაჟებინათ, სადაც მთვარის, იუპიტერის, ნეპტუნის, სატურნის, მარსისა და სხვა პლანეტათა ცოცხალი, მაგრამ მდუმარე ლაივები გადიოდა.

— ესე იგი, მზად ხართ ერთკვირიანი ექსპედიციისთვის! — გამიღიმა ვერცხლისფერმა რობოტმა.

— როგორ? — ძალიან დავიბენი უცებ, — სად ეგა?... რა ექსპედიცია?! მე ოჯახი მყავს, გენაცვალე! — საკუთარ თავში, ქალბატონო! ოჯახს არ მოგწყვეტთ! იქ ყველაფერი ენერა! — აჰ! მე კიდევ უცებ ვიფიქრე, რომ...



რობოტიზაცია

უფანტასტიკურესი მოთხრობა

— კი მაგრამ, კითხვარი რა — სხვამ შეგივსოთ? — როგორ გეკადრებათ!.. — დავიძახე თავით აშკარად, — მაგრამ მაინც!.. ექსპერიმენტის შინაარსზე ხომ ვერ მეტყვოდით უფრო დეტალურად? — რაღა თქმა უნდა! — მიპასუხა რობოტმა და ექსპერიმენტის არსის მომცველი საქალაქად გამომოცა, — ეს თქვენი ეგზემპლარია!

ეს იყო მომავალი ექსპერიმენტის ოქმი, რომელშიც ასახული იყო კვლევის საფუძველი, მიზანი, ამოცანა, კვლევის მეთოდოლოგია, ორგანიზება და პირობები. შემდეგი თავების ქვეშ დანვრილებით იყო განვირული შემდეგი ინფორმაცია:

- ა.ა. კვლევის დასახელება;
ა.ბ. ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური პროცედურების აღწერა;
ა.გ. იმ კვლევის ცენტრების ჩამონათვალი, სადაც მიმდინარეობს მსგავსი კვლევა;
ა.დ. კვლევის მიზანი;
ა.ე. კვლევის განხორციელების აღწერა;
ა.ვ. დონორის მიერ პრეპარატის მიღების წესი და შემდგომ მოქცევის წესები;
ა.ზ. ფარმაკოლოგიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევის ფაზა;
ა.თ. დონორთა კვლევაში ჩართვისა და გამორთვის კრიტერიუმები;
ა.ი. კვლევის საერთო ხანგრძლივობა;
ა.კ. მოსალოდნელი შედეგები.

მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, იმდენად დავებეჩავებინე უსამსახუროდ დარჩენის პერსპექტივას, რომ ყოველი პუნქტის ნაკითხვის შემდეგ ვითომ-განდობილის იერით ვიქნევი თავს, თუმცა საერთოდ არ მესმოდა, რა ჯანდაბას ვკითხულობდი.

— ახლა კი საჭირო და აუცილებელი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური ანალიზი! — თქვა რობოტმა და დაბინდულშუშინი განყოფილებისკენ გამიძღვა. — ნემსი უნდა გამიკეთოთ? — ვკითხე გზად შემინებულმა. — ეგ არ იქნება საჭირო! — დამამშვიდა რობოტმა და შემინულ ლაბორატორიაში შემიყვანა, — თმის ლერიც საკმარისია!.. სრულ ანალიზს ნახევარ საათში მოვრჩებით. — დრო კი მაქვს ისე!.. — თუ თქვენმა მონაცემებმა დაგვაკ-

მაყოფილა, თანხის მცირე ნაწილს (აქ რობოტმა თანხა თითებით მაჩვენა) აქვე გადამოცემთ ხელზე!

— უიჰ, რა კარგია!!! — ასევე გაგატანთ ყოველდღიურად ძილის წინ მისაღებ აბებს თავისივე ინსტრუქციით!

აქ კინალამ შევხტი მოულოდნელობისგან.

— ვაიმე!!! რა აბები, უკაცრავად?! — ექსპერიმენტის ოქმს ახლა არ გაეცანით?! ხელში გიჭირავთ! მანდ ყველაფერი წერია! გადამრევთ თქვენ მე!

— მე მაპატიეთ, ბატონო რობოტო... ეტყობა, გამომჩნა! — უაზროდ გადავფურცლე ოქმი.

— აბები დამზადებულია უახლეს ფარმაკოლოგიურ ტექნოლოგიაზე დაყრდნობით! — მომეშველა რობოტი, — ისინი შე-

1 ორპატი. მთვარის ღლა. ყვითელი ტაბლეტები

იმავ საღამოს, ვახშობის შემდეგ, მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, „ნ.ა.ს.ა.“-დან გამოტანებული ტაბლეტების პირველი ყვითელი წყვილი ჩანთიდან ამოვიღე, წინ დავიღე და კაი ხანს დავყურებდი.

— მაგი რაია, სიმონ?... გემეპარო გინა? — დამცინასავით გოჩიმ.

მისმა ამ რეპლიკამ თითქოსდა ერთი-ოთხად გამაძლიერა: ორივე ტაბლეტი მაშინვე ერთდროულად ვიტყუე პირში, ზედ ბიო-მინერალური წყალი მივაყოლე და მეორე დილით მე, პედაგოგ ლელა მეთლუყვას, უკვე ძალიან-ძალიან სხვანაირს გამეღვიძა.

— უიმე, ლელაიე!!! — აღტაცებისგან სამჯერ შემოჰკრა ტაშს ლოგინში წამომჯდარმა გოჩიმ, — რა ჯანაბა გჭირს, გოგო? — რა არი? — ვერაფერს მივხვდი მე, — რა ჯანდაბა მჭირს?!

— აი... რაცხა... რაცხა ძან სხვანაირი ხარ, ჩემო ბატონო!

კედლის სარკისკენ გატრიალებულს მაშინვე მეცა თვალში საკუთარი აშკარა ფიზიკური ცვლილება უკეთესობისკენ.

— აუ! ექსპერიმენტი! — გამახსენდა იქვე და გოჩის მაშინვე „ნ.ა.ს.ა.“-ს იმეილი, ტელეფონი და მისამართი ჩავანერინე, — რამე ისეთი თუ დამემართა, ან ჩემი იმეილიდან მიწერე, ან დაურეკე და ეგრევე ჩამხსნიან! ჩემი ფოსტის პაროლი ხომ გახსოვს?

— ამაზე მეტი რაღა უნა დეგემართოს?! — გაუკვირდა გოჩის.

— არა! ეს არ ითვლება! ეს კაია!

ცვლილებამ მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, მართლაც მომახსიათა. ერთ ღამეში იმდენად გავლამაზებულიყავი, რომ სარკეში საკუთარი თავის თითქოსდა იდეალურ ვარიანტს შევცქეროდი: აღარსად იყო ქალური ღიმი, ტრაპეციასავით ჩამოყრილი დონდლო მხრები და გომბეზოსებრი ღაბაბი. ნელიც მნიშვნელოვნად დამეწირობოდა, მეკრდს მსხლისებრი ფორმა მისცემოდა და ფეხებიც დამგრძელებოდა. სახეზე ნაკეთები და კანიც გადატკიცინებული მქონდა.

— მოდი ბარემღაც! რაღას მიყურებ? — საჩვენებელი თითით მივიხმე ქმარი, — ოღონდ ნივლი-კივილი არ იყოს! რაც შეიძლება მოგუდულად!

— ეგეთი ლელაიე მე არ ვიცი! — შემაქო დიდი ზვანცალების შემდგომ გოჩიმ, — ესე მეგონა, თითქოს ვინცხა სხვასთან ვგორობდი!

— სხვა არ გამაგონო, იცოდე, თორემ დაგაღწევა ყველაფერს თავზე! — უკვე ძალიან ცხვირანული მეჭირა...

— დეეეე!!! ნუ, აი, ძან ვიდზე ხააარ, პროსტა რაააა!!! — აღტაცდა სამზარეულოში ჩემს დანახვებზე თიკა.

— ვახ, ჩემიო! — როგორც ვინმე უცხო ტურფა, ისე მსუნჯად ჩამათვალეირა ნიკალემაც, — ეგეთი რა გიქნეს სიზმარში, ლელა-მასნ?

— ნესიერად ილაპარაკე! — მკაცრად მივუგდე ვაჟს და გოჩის ღიმილით მივუტრიალდი, — არ ვისაუზმოთ, გოჩი?

— მეტი რა გზაა, სიმონ?! — გაშალა ხელები გოჩიმ და ბიო-ჩაის დასხმას შეუდგა.

შვილები პირდაღებულები შემომყურებდნენ ასე ერთბაშად შეცვლილს.

— დროზე ეხლა! ლიცეუმში გავგიანდებათ! — ლითონი გაუკრთა მხამი გოჩის.

— ცოტა ხანი ვიქნებით რა, დე!.. გიყურებთ! — ყელის ჯიჯგვნით შემეხვეწა თიკა.

— აუ, რა ლიცეუმი?! — უკმაყოფილო იყო ნიკალე, — დედა ხარ თუ მის კავკასია, ვერ გავიგე, ჩემი დედა ვატირე რა!

2 სამპატი. მარკურის ღლა. ლურჯი ტაბლეტები

იმავ საღამოს, ძილის წინ, მე, დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ ლურჯი ტაბლეტების წყვილი მივიღე და დილით ფრთხილად გავახილე თვალი. ქმარი გოჩი, წინა დღისა არ იყოს, ისევ მუხლებზე იდგა და ინტერესით მაკვირდებოდა.

— ისევ ფორმაში ვარ, გოჩი, თუ გამივიდა? — ფრთხილად შევეკითხე ქმარს ისე, რომ სარკისკენ აღარ გამიხედავს.

— აუ, რაცხა ისევ ძაან, ლელაიე!
 — რა რაცხა? — გამეცა მზერა სარკისკენ და მაშინვე დავმშვიდდი, თუმცა იქვე შევამჩნიე, რომ თავი ცოტა არ იყო და უცნაურად დამძიმებული მქონდა.

— რალაც ხდება კიდევ! — ვთქვი და გრძელი ფეხები ფლოსტებში გავყავი.

— ახლა რალა ჯანაბაა? — უფრო დამაკვირდა ქმარი, — აქანე ყველაფერი პარიადოქსია! — მომიჭირა გოჩიმ მარჯვენა ძუძუზე ხელისგული.

— მაშინ ნამო ერთად ვიბანათ! — შევთავაზე მკერდზე ხელის მოჭერისგან თვალმინაბულმა და ორივენი სწრაფად შევტანტალდით აბაზანაში.

ბანაობისას უცებ ძალიან მომინდა, რომ ქმარს ჩემთვის ზურგი გაეხეხა, მაგრამ მოულოდნელად ეს ფრაზა პირიდან უცნაურად დამცდა:

— Please, rub my back with a washcloth! (ინგლ.)

— ე! — ლამის ამოაბოყინა გოჩამ გაცვირვებით, — რაიო?

— A хрен его знает! (რუს.)

— მეიცა-მეიცა!

— Que lingua falo? (პორტუგალ.) რა ვთქვი?

— ვახ, ჩემი კაი! მგონი, მართლა რაცხა ძაან მაგარი გეგეხსნა, ლელაიე!

აღტაცებულს ბევრი არ მიფიქრია — მუხლებზე დაწოქილმა მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, ქმარს ისეთი ზე-ორალური პროცედურა ჩავუტარე, ლამის საულ ძველ-შუმერულად ვაყივლე. სასაუზმოდ გარეთ გასულებს თიკნა და ნიკალე მომლოდინე სახეებით დაგვიხვდნენ.

— დღესაც იქნება სიურპრიზები? — იკითხა ნიკალემ.

— დეეთქენი ფირმა ენებზე ლაპარაკობს, სიმონ! — მიახალა შეილებს მამამ.

— ნუ პროსტა რააა! — შაქრის მორევა შეწყვიტა თიკნამ და ამოპუტული ნანარბალები ლამის შუბლამდე აუვიდა.

— Je ne sais pas ce que c'est dur! (ფრანგ.)

— ვთქვი დაყენებული ღმილით.

— ვაუ! — კინაღამ ლუკმა გადასცდა ნიკალეს.

— არ ვიცე, რა მჭირს! — ვუპასუხე და ნიკალეს კარაქზე მივუთითე, — Dammi un burro, tesoro! (იტალ.)

— დე, შენ აქამდე ქართულის გარდა არცერთი ენა არ იცოდი! — აღშფოთდა თიკო.

— Что вы говорите? (რუს.)

— აგი სრული სიფსიხეა, სიმონ! — დაასკვნა გოჩიმ და ყველანი საუზმობას შევეუდექით.

მაღვეე გაირკვა, რომ მე უკვე სრულიად თავისუფლად ვაზროვნებდი და ვლაპარაკობდი: თურქულად, სომხურად, უკრაინულად, ფინურად, ჩეხურად, ესტონურად, არაბულად, ებრაულად, სპარსულად, შინდინზე და მეგრულადაც კი.

— ვინ ვარ ახლა მე? — აღმოხდა საუზმის დასასრულს მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, ქართულად.

— პოლიგლოტი! — ერთხმად მიპასუხა სამივემ.

3

ოთხგაბათი. ვინეას დე. თითქმის ტაბლეთები

იმავე საღამოს მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, თეთრი ტაბლეთების წყვილი მივიღე და დღით კიდევ უფრო ამალღებულ განწყობაზე გამეღვიძა. საკუთარ თავს რომ მივუგდე ყური, მივხვდი — თავის ქალაში უცნაური რამ ხდებოდა: თავი რადიო-სიხშირეების წულია ხმებით მქონდა სავსე.

— თავში მთელი FM-დიაპაზონი მაქვს ჩართული, გოჩი! — ვთქვი მაინც მშვიდად. — რაიო?! ხომ არ მიმეწერა მაი „ნ.ა.-ს.ა.“ იაა თუ ვინცხა ჯანაბაა, მაგათვინ? — შფოთით შეეგება ჩემს ასეთ გამოღვიძებას გოჩი.

მე სიამოვნებით გავიზმორე და ქმარს გავხვდე.

— ჰა? არა! გაგიჟდი?! რადიოლა არ მოგიმართავს ბავშვობაში? არხებია!.. ხან ერთს იჭერს, ხან მეორეს, ხან მესამეს!.. გადადიან ერთიდან მეორეზე!.. მოიცა!.. აი, 87-დან — 108-მდე... ლმერთო, რამდენი რადიოსადგური გვექონია... — ი ენები საა?

— ისევ აქაა! — მივიკაკუნე საფეთქელზე თითი, — მაგათ ვერაფერი ნაშლის! Içî ââ=piâóáé (ბერძნ.) მაგრამ ეს რადიოები როგორ უნდა გავაჩერო რომელიმეზე? ძაან აჯაფსანდალია!.. ამდენს ვერ გავუძლებ! რა ვქნა, გოჩი?! — დაფიქრდი და გავირინდე. მერე თვალეები დავხუჭე და მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, უცებ მივხვდი, რაც უნდა მექნა: დახუჭულ თვალეებში (ნარმოსახვით) ერთ-ერთი შამანური ჯადო-ფანდის სწავლებაზე მოვხვდი და მაშინვე გავერკვიე, ასეთ შემთხვევისას რაც უნდა ჩამედინა — ენის წვერი სასას უბრალოდ მთელი ძალით ავაჭირო და გავირინდე.

— არის! — შემოვკარი იქვე ტაში, — გაჩერდა!

დაჭერილ არხს რომ მივუგდე ყური, შემდეგი მომესმა:

„...მინდა, გითხრა, რომ კვლავაც გრძელდება ჩვენი ტრადიციული ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულიც, ანუ ადამიანი, ვინც პირველი დარეკავს და გვეტყვის სწორ პასუხს, „რადიო-ჯასა“ და კორპორაცია „მეველუდისგან“ მიიღებს სპეციალურ საჩუქარს — ათ ბოთლ ცივ-ცივ, ქაფქაფა „მეველუდ-კოლას“. მაშ, ყურადღებით! მორიგი კითხვა: კერძოდ რომელი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ და სად გარდაიცვალა დიდებული ამერიკელი მომღერალი ჯენის ჯოპლინი?... ნამშობო ჩაირთო! შეგიძლიათ, დარეკოთ ნომერზე 87654321“.

ზუსტი პასუხი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, მყისიერად, ანუ თავისით აღმომიცენდა თავში და ქმარს ელვის სისწრაფით გავხვდე.

— გოჩი, დროზე აკრიფე 87654321 და უთხარი — ჰეროინი აბაზანაში! არ ამაყვირო! გათამაშებაა!

— სა მარეკებ ამ დილაუთენიას, გოგო?!

— რადიოში! პრიზების გათამაშებაა!

ქმარი მსწრაფლ დამემორჩილა და უცებ აკრიფა იოლი ნომერი.

— გერაინით ვანაში! — თქვა ყურმილში თბილისური აქცენტით და ცოტა ხანში სახე გაეზარდა, — გოჩი... დიახ-დიახ! პას-პორტით! — მიაყოლა მერე პირველ ორ სიტყვას და ტელეფონი გათიშა, მე კი ამ დროს თავში მომესმა:

„უკვე მინდა, გამოვაცხადო ვიქტორინის შედეგი!.. საოცრება დაარქვით, მაგრამ 20 წამიც არ იყო გასული კითხვის დასმის შემდეგ, როდესაც ხაზზე გამოვიდა გენი-ალური კონკურსანტი სახელად... ეეე... მან პირველმა გვიპასუხა, რომ დიდებული ქალბატონი ჯენის ჯოპლინი ჰეროინის ზედოზირებისგან ნახეს მკვდარი საკუთარ აბაზანაში!.. მაშ ასე, გამარჯვებულ გოჩის ვთხოვთ, ხეალ დილაადრიან მობრძანდეს რადიო-ჯასა ოფისში ჰოლო-პას-პორტით და ჩაიბაროს მოგებული პრიზები ლუდ „მეველუდისგან“!.. რადიო-ჯასა ეთერში კი ჟღერს ულამაზესი სიმღერა უკვდავი ჯენის ჯოპლინის შესრულებით „მი ენდ ბობი მაკივი“!“

— რაფერ მიხვთი მაგნაირ ზუსტ პასუხს, გოგო? — მკითხა ქმარმა ბანაობისას.

— აფერისტობაა, გოჩი, ეგ გათამაშებები!.. ვინღა უსმენს ჩვენ დროში რადიოს!.. ვინ დადის ფაეტონით და ცხენით? აერობუსებით და აერორიქებითაა ცა სავსე! თან მაინცდამაინც მაგ არხს?! როგორც ნესი, არავინ რეკავს და მერე ისევ საკუთარ თანამშრომლებს არეკინებენ!.. მაგრამ ახლა ჩვენ მოვუჯოკრეთ!

— და რაფერ მერე? სა ოხრობიდან იცი მაგნაირები?

— „ნ.ა.ს.ა.“-ს ტაბლეთები, გოჩი!!!

— ააა...

თიკნას და ნიკალეს ახალი დამთავრებული ჰქონდათ საუზმე და ცნობისმოყვარე სახეებით მელოდენე.

— დე, დღესაც გააძრე რა რამე ფოკუს-მოკუსი! — შემეხვებნა ნიკალე.

— ნამასკარ, ახალ თაობას! — ორივეს ერთდროულად გადაავუსვი თავზე ხელი, — დღეს თავში რადიოებს ვიჭერ!.. აგერ მამათქვენს 10 ბოთლი „მეველუდ-კოლა“ მოვაგებინე.

— აუ, მეც რო მინდა? — აიბზუა ცხვირი ნიკალემ.

— შენ ჯერ არასრულწლოვანი ხარ, შეილი! მამაშენი გაგიყოფს!

— ეუფ! — უქმაყოფილოდ მოღრიცა სახე გოჩიმ.

— ყველაფერი დასწრებაზეა! — თვალეები დავხუჭე, პირი მოვმუნე, ენა სასას ისევ მთელი ძალით ავაჭირო და თავში კვლავაც იგივე რადიო-დექტორის ხმა მომესმა:

„აქვე იმასაც გეტყვით, რომ დედაქალაქში დილის 9 საათია!.. და კვლავ მორიგი ვიქტორინა რადიომსმენელს. ვინც პირველი დაგვირეკავს სწორი პასუხით, მიიღებს სპეციალურ პრიზს ვიქტორინის სპონსორ ლუდ „მეველუდისგან“!.. 10 ბოთლი ბიო-ლუდი „მეველუდ-კოლა“! ყურადღებით, კითხვა შემდეგია: კერძოდ რომელ ნარკოტიკს ეძალეობდა ჯიმ მორისონი 1970 წელს ამსტერდამის ტურნეს დროს?... ჩვენ კი ვუსმენთ ჯგუფ „დორზის“ ლეგენდარულ „ლაე მი თუ თაიმსს“ რადიო-ჯასა ეთერში!“

პასუხი ისევ წამის მეასედში აღმომიცენდა თავში და მაშინვე გოჩის მივუტრიალდი:

— გოჩი, აკრიფა ნომერი 87654321 და უთხრა: სოკო „გოლდენ თიჩერი“! დროზე!

— დარეკე ჩემს მაგივრად! — გაამხნევა ნიკალემ მამა და გოჩისაც ბევრი არ უფიქრია, მაშინვე აკრიფა მარტივი ციფრები და ქალაქურად თქვა:

— სოკო „ოქროს მასწავლებელი“! — და ცოტა ხანში სახე ისევ გაეზარდა. — ისევ გოჩი... დიახ... აუცილებლად! — და კავშირი გათიშა.

— აუ, რაო? — შეეკითხა თიკნა.

— ხვალე უთენიას მეეთრე და წელიე სახში ოცი ბოთლი „მეველუდ-კოლაო“! ტიტუ, რა ჩეინთხლევს მაგდენს? — გაშალა ხელები გოჩიმ.

— თქვენ თვალში ხომ არ გეპატარაებთ?! წილში ვარ ორივესთან! — გავლიზიანი დე, — დამთავრდა ჩემი მასწავლებლობა!.. ზაფხულიც მოდის! სექტემბრიდან რობოტები ჩავგანაცვლებენ!

— აუ, როგორ ასწორებს! — მომუშტა ხელები ნიკალემ.

— რა გიხარია, ტუტუცო-ვირიშვილო?! — გავბრაზდი მე.

— რობოტები, თიკნა! — დაანახა ნიკალემ ხელისგული დას და მანაც ხელზე ხელი დაურტყა, — შენ კიდევ ისეთ ვიდზე ხარ, დე, მინიმუმ ტოპ-მოდელის კარიერა უნდა დაიწყო!

— თან ენებიც იცი უკვე!.. იქნებ რამე დიპლომატიური აგერჩია, დე? — მოუვიდა თავში თიკნას იდეა და ნიკალეს თვალი ჩაუკრა.

— ყველაფერი არ ვიცე, რო? — მზაკვრულად ჩამედიმა მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას.

— მორჩით ესლა დეეთქენის კენწვლას!.. ქუთუთის „ტორპედოს“ ბაზაზე კი არ ვართ! — დაუცაცხანა გოჩიმ შეილებს და ისინიც მაშინვე წამოიშლნენ.

4

ხუთგაბათი. მარისი დე. ნითელი ტაბლეთები

სალამოს, მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, ტაბლეთების მორიგი პორცია მივიღე და დღით ისევ ახალი შეგრძნებით გამეღვიძა. თვალის გახელისთანავე ვიგრძენი, რომ რალაც მნ-

იშენლოვნად შეცვლილიყო. ხელი რომ გადავნიე, მეუღლის ადგილი სანოლში ცარიელი დამხვდა. „მეველუდ-კოლაზე წასულან!“ — მოვიდა უცებვე თავში პასუხი და წინა დღის რადიო-ვიქტორინა გამახსენდა. სანოლზე წამოიჯდარს მაშინვე მეცა თვალში საკუთარი ზედმეტად ბალნიანი ფეხები. მერე ხელებზე დავიხვდე. ისინიც უცხო და უხეშად გამოიყურებოდნენ. „რა ჯანდაბაა?“ — ფეხზე წამომდგარმა კედლის სარკეში ჩავიხვდე და მოულოდნელობისგან ადგილზე გავილურსე: იქიდან ვიდაც ათლეთური აღნაგობის სიმპათიური მამაკაცი შემომცქეროდა.

— ეუფ! — აღმოხდა მოულოდნელობისგან და მაშინვე მივხვდი: „ნ.ა.ს.ა.“-ს ტაბლეთების მორიგ ულუფას მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვა, არც მეტი და არც ნაკლები, პირწავარდნილ მამრად ვექციე.

— ვაიმე! ბრედ პიტის და ბენისიო დელტოროს ნაჯვარს გავხარ, დე! — მომახსალა მამაკაცად ქცეულს სახლში მობრუნებულმა თიკნამ და სიხარულით ადგილზე ახტუნავდა. ჩემი ასეთი ცვლილება გოჩის და ნიკალეს დიდად არ გაჰკვირვებიათ.

— მაგარი კაცი ხარ, დე! — მითხრა ნიკალემ და თბოთლიანი შეკვრა მაგიდაზე დადო, — დილას შეგისწავლეთ უკვე! სანამ ტკბილად გეძინა!

— გოგო! სუ თავიდან აერო-პატრულის გამოძახება მომეფიქრა... — დაიწყო გოჩიმ ნერვიულად, — კილამ გული გამისკტა! რავარია, ვინცხა უცხო პიროვნებასთან ერთად რომ გეღვიძება კრაოტში, წარმეიდგინე? მარა მერე ქე გამახსენდა იექსპერ-იმენტო!.. მივწერ ბარემ მაი „ნ.ა.ს.ა.“-იე-ს?.. რას აღარ მეიგონებენ მაი ოხრები!

— ჯერ არა! — ავიქნიე ხელი კაცად ქცეულმა და აბაზანაში შევედი.

სხეული კარგად დავითვალეიერე, ახალი ორგანოები გულდასმით მოვისინჯე და ხალათში გახვეული კმაყოფილი სახით გამოვედი გარეთ. მოგებულ „მეველუდ-კოლასთან“ ერთად ოჯახობას სილიკონის თევზი და ხელოვნური დე-პურიც ამოტანა მტკვრისპირიდან. სუფრაც უცებ დაიყარ-გაიშალა. თიკნა ძაან აბრწყინებული თვალეებით შემომყურებდა ასე ერთბაშად განკაცებულს და ამკარად აღგზნებული ადგილზე ისე ცმუკავდა, თითქოს მისთვის სამახსოვრო ნეტოგრაფი უნდა მიმეცა.

— ბარემ ნამებიც ხომ არ ამოგვეყარა, დე? — ჩამიკრა თვალი ნიკალემ.


— არ თქვა ეხლა, რო ისევ ერთ კრაოტში უნა დაგწვეთ ღამით? — გადმომიჩურჩულა გოჩიმ და მკვრივ ტორსზე ხელი მომხვია.

— ბებიაშენისამ! იატაკზე დავიძინებ!.. — ჩამეცინა მე მამაკაცური ბარიტონით, — ხერხემალი კი არ მაქვს გამრუდებულნი?!

— გეუნევი მე შენ, ღამით არ მომეკარო! — თითის ქნევით გამაფრთხილა გოჩიმ.

— ეგ მე კი არა, შენ არ მომეკარო, გოჩი!.. ხომ იცი, ვერ მომერევი!.. ნახე, რა ბიცივსები მაქ?

დასასრული მე-7 გვერდზე





„გამგაზიის სამოთხის“ ნახვის გამო
ნინო სადღობელაშვილს

ჩხარუნების,
ნიჟარების
გროშებზე გამყიდველო,
მეოცნებევე,
ჩვენი დროის
დაკონკილო ელიოზ,
ცხოვრებისგან
თვით ჩაგრულო
და ქომაგო პირველო,
მოგვეშველე,
სათნობა
როცა გამოგველიოს.
სიყვარული
დავიხუროთ
ტალავრად და ზეცადა,
ენგურს იქით
და აქეთა
მოარულო ქართველო.
იქნებ ერთხელ,
იქნებ ერთხელ,
იქნებ ერთხელ გვეცადა,
უნდობლობის
სარეველა
რწმენის ხამლით გავეთელოთ.
ცრემლმომდინარ
ალაგებზე
მალე ია იხარებს
(ღვთისმშობელის
ქვეყანაში
მოყმის დედებს რა დალევს?!),
ელიოზიც
აჟღარუნებს
სიტყვებით — ნიჟარებს
და მომავლის
საქართველოს
ნაოცნებარს ადარებს...

ტაკილი ტრიოლჯი
თემურ ელიაშვილს

იმ ერთი ცალი აბილილით ისე მომშაქრე
და პოეზიით ავსებულნი წინწანაქართი,
ტანმრუდეს აღარ მემწარება ჩემი დოშაქი,
იმ ერთი ცალი აბილილით ისე მომშაქრე.

ისე მომშაქრე, მზეჭამია ერთი ლოქაფი,
ლექსის ლერწმოდან გებნეოდა თითქოს შაქარი.
იმ ერთი ცალი აბილილით ისე მომშაქრე
და პოეზიით ავსებულნი წინწანაქართი...

ოცნებები მქონდა
ზღვისხელა და ლურჯი.
და კოვზობით მასვეს
საცრისგულა სნეულს.
უოცნებო ხვალეს
როგორ გადავურჩე,
რალა დამაპურებს
ოცნებგადამშეულს?!

მტკივა გუშინდელი,
არ მწამს ხვალისდელი,
მაინც თიხა ვარ და მიწა ვარ.
ფესვი მომაჭრეს და
თავი გავიდელე,
მხოლოდ შენდა უწყი, ვინცა ვარ.
მტკივა გული, ფილტვი,
თვალი, შიგნეული,
ხვალის ტალახი და ნაცარი.
სული მიკანკალეს,
ტანში მიბნეული,
მომე, ხვალის იქით რაც არი...

გრძელი ღამე ეკიდება ქუთუთოებს,
მარტოობა დაჭმუჭნულ ფიქრს მიუთოებს.

კალენდარს კი, თავჩაქინდრულს ობოლივით,
დღენი ცვივა გაყვითლებულ ფოთოლივით.

მომავალი მოლაჯებს ზამთარივით.
უშენობა სულს მიფლითავს აფთარივით.

ჭრილობაზე მილამუნებს ღამე გრძელი,
გათენდება, გაღვიძება თუ შევეძელი...

სურამი

გადავილისხიქეთ
მარადმწვანე დაბაში,
განძი განძად ვიხელთე
გულეთის ყულაბაში.
ადამიან-ციხესთან
რა არ ვიჭორმართალე.
მნათობს ზეცის კიდესთან
ლოყა ჩამოვათალე.
მზე სირცხვილად წავისვი,
ვაი, დედი, გულამდე.
სურამულას წყალი ვსვი,
ანუ წავისურამე...

გურიას

მწვანედ მოურთვია დალალები
ჩემს პანანინა გურიას.
ერთხმად ჟივჯივებენ ბახალები
და მეც ბავშვობა მწყურია.
ჩუმად მოტეხილი ტაროების
ცეცხლზე შებრანული გვერდები...
ავრიე წარსულის თაროები
და დავასკვენი: ვბერდები...
დრო აჭკნობს სიცოცხლის გაზაფხულებს,
მწვანით შემოსილა გურია.
წარსული თვალებს აფახულებს
და მეც ბავშვობა მწყურია...

ფიქრმა საძირკველი რახან მოხნა,
სხეული გამიხდა მოსარწყავი.
მოდ, ტკივილები გადათოხნე,
მოდ, იმედები მომყარე,
მოდ, ოცნებები დამიპურე
და ჩაგიტკბილდები ნასამხრობი.
ტოტებიანად გავიტრუნე
ფესვებიანად გასახმობი...

ლხინო, საით იარები,
მომიძულე განალა თუ?
ამოდენა იარები
გულზე სევდამ დანალმა თუ
თავისთავად ღრმავდებოდა?
ან კი როგორ? ნეტა რადა?
ლხინო, რა დაშავდებოდა,
შენს სუფრაზე მეთამადა...

ადრის ყვავილები
მოვფინე გზადაგზა
და ისე ვეახლე
საუფლო ცისკიდეს.
სსოვნა დახორკლილი
თითქოსდა განაზდა
და ძლიერ მეტკინა,
წარსულს რომ მიგყიდე.

სინდისის მარცვლები
გულძაფზე აკვინძე,
სტაროსტამ აილო
და ყელზე მომაბა.
„ჩუ ლაჯამედაო“,
მივხედე „ამინზე“
დამწყალობებულ
უშენო მომავალს...

მაინც სულ სხვაა თოვა თებერვლის,
ხეებს ძვალ-რბილში ჩაუდგათ თოვლი.
მყიფე დღეები ისე მეტვერა,
ავედევნები შეფარვით, მოვლით
იმ დღეებს, ზამთარს რომ უდგას კვალში,
ხეებს რომ ტანში კვირტებს შეუნთებს.
თოვს თებერვლი, სითეთრით ვავსებ
თვალებს, მზენაკლულთ და დამშეულებს...

ლოცვისმავარი

რომელ გზას გავყვე, ნეტავ,
სად შევაფარო თავი?!
უფალო, შენც ხომ ხედავ,
ვარ შეცთომილი კრავი.

მიჭირს კორომში, ბნელში,
შიში მაქვს თოვლთა, ქართა.
ღმერთო, შენს სამყოფელში
გადამაფარე კალთა...

საპიტაფიო

ვზიდე ლოდები სიზიფესავით,
თუმც უმეტესი ვერც კი დავძარი.
ვიდექ ურწყული, გამხმარ ხესავით
და მედებოდა ტანზე ხანძარი.
რწმენა თან მდევდა სინათლესავით,
მინათდებოდა სულის ტაძარი...

ჭადრის ფოთოლი

„მადლობას გიხდით წინასწარ ყველას,
ჭადრის ფოთლებზე მომწერეთ რამე“.
ნომადი ბართაია

ჭადრის ფოთოლი
დაჭქროდა ქარში,
ვითარც უსტარი დროთა, სივრცეთა.
გამხმარ-გადამჭქნარ
ფოთოლთა ჯარში
ჭადრის ფოთოლმა ბევრი იცეტა.

ჭადრის ფოთოლი
ქარში დაჭქროდა,
ვითარც მიჯნურთა მწველი უსტარი.
შენი სათქმელიც
იქნებ თან ჰქონდა,
ვერ დავენიე, ვერ მივუსწარი...

დაგვიანებული პასუხი

„ერთად გავეყვეთ ამ გზის ბილიკებს,
ხალხი კი დანერს პოემებს ჩვენზე“...
ძველი ნერილებიდან

იქნებ მეშორა,
იქნებ მეძნელა
შენი სავალი,
ვინრო ბილიკებს
რომ ვარჩიე
მაგისტრალები.
და ჩვენ ორს შუა
კედელივით
ცხრა მთა გავავლე,
ახლა მუზებთან
ფეხაკრეფით
დავიპარები.
ალარც კი მჯერა,
არც კი მახსოვს,
მართლა მიყვარდი?
ისიც არ ვიცი,
ახლა რად მძულს
ასე კორიდა.
მე მოლოდინით
დაღლილ თვალებს
ძილად მივაგდე,
შენ დაუნერულ
ლექსებს გზავნი
ალბათ შორიდან...

ფუტკარის ლოცვა

„აგუნა, მაგუნა, ჯგერაგუნა დიდებულო“...

ჯგერაგუნას ფუტკარო,
შენს შვილს ლოცვად უთხარო: —
„ანანთვარას მადლობზე
დედები რომ სახლობენ,
სხვაში არ აგერიო,
თუნდაც თაფლი ერიოს
ფიჭვისა და იელის,
თუნდაც დარჩე მშიერი“.
უთხარ, — „გზანი გუმისთის
მიყვარს შენი გულისთვის.
აკუნ-იფა ხათაჟყვამ
მნახა და დარდს გადაყვა.
განა ვიყავ უგულო,
ჩემი მუხის ფულურო
ავავსე და მოვბურე
ჩემი იბლიშ თოფურით“.
ჯგერაგუნას ფუტკარო,
შენს შვილს ლოცვად უთხარო: —
„უფრო ცოტა ვიფიცხე,
უფრო მეტი ფიჭვის ხე
დავაპურე ფიჭვით;

გამიფანტე იჭვები,
 ანანთვარას მალლობზე
 დედები რომ სახლობენ,
 სხვაში არ აგერიო,
 თუნდაც თაფლი ერიოს
 ფიჭვისა და იელის,
 თუნდაც დარჩე მშიერი“.
 ჯგერა, დედა-ფუტკარო,
 შენს შეილს ლოცვად უთხარო: —
 „ციაცა და ჩანაცა
 ზამთრის სუსხმა ჩანაცრა.
 ბევრი ცრემლი მოხარმა
 გულმა ჩემმა საკირემ.
 შვილო, გალენ ორთაშას
 როცა გავინაპირებ,
 ანანთვარას მალლობზე,
 ხეობაში გუმისთის,
 გახსოვდეს, რომ ვსახლობდი,
 მხოლოდ შენი გულისთვის“.

სონეტი მეგობარს

მეგობარო, რომ არ მყავდე,
 როგორც მყარი ოთხკედელი,
 მაშინ ველარ ვიყვავილებ, სარეველად მოვედები
 დედამინას, ამიტომაც მომიმრავლდი, მომბევერე,
 მომეფონე, მომეშველე, მომაგებე, მომე ხელი,
 ეგ შენი ხელი ძლიერი, ვით ყავარჯენი საჭირო,
 რომ ხეიბარი ეული წამომყენო, მაცილო
 ყველა მტერი და დუშმანი,
 გულნამცეცა და მაცილი,
 ეჭვის ღრუბელი გაფანტო, წარბი გამიხსნა, მაცილო.
 მეგობარი მეგობრისთვის თუ გზაა და თუ ხილია,
 მე ვიქნები შენი ხიდი, ეს გზისპირი თუ კიდეა.
 მეგობრობის წმინდა გრძნობას
 თუკი ვინმე უკვირდება
 ეჭვის თვალთ, სულ ტყუილად,
 მზეს გულდაფზე უკიდა
 მეგობრობის ამულეტი, ცხრავე სხივით შეფერილი,
 ცხრა ღუმელში გამოწვრილი,
 ცხრა მჭედელის შეკერილი.

ჭია-მანია

„ჭია, ჭია-მანია,
 ხვალ თუ კარგი დარია?“
 უკან თებერვალა,
 მაინც არ მიხარია.

იქნებ დარდის ბუგრების
 მექცეთ ლარვად, ჭუპრებად.
 მარტო, რად მემუქრები,
 ან შენ ვინ გემუქრება?

გაზაფხულს თუ მივატან,
 ამ ზამთარს თუ მოვიღევ,
 მაპოვინე ჭია და
 მე დედას გაპოვინებ.

 „წინ — წყალი, უკან — მენყერი“, —
 წყევლავე, ვერ დამიბერდი!
 ის, რაც ვიდარდე, ვერ ვწერე,
 რაც მახარებდა, ვწერდი.
 ის, რაიც მჭამდა შიგნიდან,
 საგულდაგულოდ ვმალე-
 წარსული იქით მჯიჯგნიდა,
 აქეთ — პირქუში ხვალე.
 ეს ამოდენა ენგური,
 ადიდებული დარდი,
 ეკლის გვირგვინი მეხურა,
 ტკივილის ბელტებს ვჭამდი.
 „წინ — წყალი, უკან — მენყერი“, —
 წყევლავე, იცვალე მხარი
 და დიდი დათვის მერხერი,
 ყამირი მიწა ღარე...“

 მოვა წყალდიდი,
 იქნება გვალვა,
 ხშირად კალაპოტს
 იცვლის მდინარეც...
 მე რომ აქამდე
 ცოცხალი დავალ,
 ზოგს გაახარებს,
 ბევრიც ინანებს,
 რომ არ მელირსა
 მეგრული ნანა,
 ოჩოკოჩებზე
 შემდგარი ქოხი.
 გეზარეული
 უმიზნოდ დავალ
 და ჩემს გამომხმარ
 ტკივილებს ვთოხნი...“



 სისხამ დილით
 მძინარე თბილისს მეეზოვე
 იისფერი ლავანდების თაიგულით
 რომ ჩამოუვლის...
 (სხვაგან სად ჰგვიან
 ნეტავ ქუჩებს თაიგულებით?!)
 და ქუჩა-ქუჩა...
 ნაპრალ-ნაპრალ...
 ყვავილებს რომ მოთესავს მტვერში...
 მიწის ერთი ნამცეციც რომ საკმარისია
 Sea-Lavander
 Limonium-bellidifolium-ის
 იისფერი ყვავილებისთვის,
 მე კი მათი,
 მოფირუზისფრო-მწვანე ფოთლების დანახვისას
 ყურებამდე გალიმბულს
 ბახრამიანი ჭრელი თავშლით თავნაკრული
 მეეზოვე რომ მახსენდება,
 იისფერი ლავანდების მთესველი —
 ქურთი (უხშირესად!!!) —
 უნებლიე მეზაღედ რომ გადაქცეულა
 ჩემი მიწისთვის,
 მისადაც რომ იჩემებს გულში...
 ღიმილიან გამარჯობას
 ნუ დამამადლებ,
 ნურასდროს,
 ღმერთო!!!

 ო, რა ურცხვად,
 რა უღმობლად,
 რა სასტიკად,
 დაუნდობლად
 იგლეჯს არტახებს
 გაზაფხული
 ატმის ყვავილით!!!

სიყვარულის ნაქროლობი

გარდამეცვალა სიყვარული.
 სამძიმარზე ნუ მობრძანდებით!!!
 თქვენი
 უხეში
 ნაფეხურებით
 მიცვალეულს
 ნუ
 შეურაცხყოფთ!!!

 ერთ დღესაც,
 როგორც განძეულის,
 უძველეს და უძვირფასეს
 ოქროს ზარდახშებს,
 ლალ-ფირუზ-ზურმუხტ-
 აღმასიან-ოცნებიანებს,
 ამოვალაგებ
 მლაშე წყლიან-ზღვიან
 ქვიშიდან
 საგულდაგულოდ,
 მოქანდაკის გულმოდგინებით,
 საგანგებოდ
 ნარჩევ-ნარჩევ
 ჭრელ-ჭრულა
 კენჭებს —

უტყუარ დასტურს
 პირღიმილა, მზისფერ დღეების
 და სათითაოდ,
 როგორც მოვალე, —
 სიყვარულის
 ხარკს გადავუხდი...

 ასე მგონია, როცა ზამთრით
 შეცივნულებს ვაპურებ ჩიტებს,
 დგას მამაჩემი ძველი სახლის
 დარბაზთან პირმოცინარი,
 უჭირავს თავის ორი ხელით
 ჩემი ხელები და
 თავდახრილი
 სათითაოდ
 მიკოცინის
 თითებს.

 პირი დაალო ფეხსაცმელმა
 და შემეშინდა,
 — ეს რა დანგრეულ
 გზებით მატარებ! —
 არ დაეყვირა...

 ნეტა, როდის
 გამომიგაზაფხულდება
 და ენძელებს
 შემომანნის ნელზე მარტი,
 თვალედახრილს...
 ნეტა, როდის...
 ნეტა, მალე...

 დიდხანს აღარ მინდა, გნახო...
 არ მინდა ყვავა შაბათ-კვირის
 რძისფერ ჭიქიდან „მეიდ ინ (F)ფრანსე“ ...
 გამწარდა შენი სიყვარული,
 შენი ყვავა, შენი კისკისიც!..
 ფესვიანად ამომგლიჯე
 ჩემი გულის მოყვავილე ჯაკარანდა,
 ისეთი ძალით,
 ისე ბოროტად,
 ზანზალაკების ცისფერი მტვერით ამომივსე
 ცრემლიანი თვალების ფსკერი,
 სადაც სათუთად ვინახავდი
 ბავშვობის სიზმრებს,
 ჩვენს სიმღერებს,
 ლურჯ ღილილოებს,
 შენი თვალების ბალახისფერ, უცხო ნათებას...
 ცრუ ყოფილა სიყვარული, რითაც გინამე,
 რითაც გენდე,
 რითაც გიმშობლე...
 ცრუ ყოფილა ფუთი მარილიც!!!
 (ჰო, მარილი მითუმეტეს, ათასი ფუთი!).
 არ მინდა, გნახო!
 დიდხანს,
 დიდხანს...
 აღარასდროს არ მინდა, გნახო!!!
 სხვებთან მიირთვი შენი ყვავა
 შაბათ-კვირის რძისფერ ჭიქიდან
 „არკოპალ (F)ფრანსე“!!!

დასაწყისი პირველ გვერდზე

— უკვამ... — ჩაიკვნესა ცალთვალა მოხუცმა. გვერდით ეჯდა, ცალი სალი თვალთ ხის იატაკს ხვრეტდა.

უცებ გამოფხიზლდა, მოხუცს გახედა. მათ გარდა კიდევ ორნი იყვნენ მიწურში. ფეხები საერთო რკინის ჯაჭვით ჰქონდათ გადაბმული, ჯაჭვის ბოლო ჟანგიან ძელზე გაენასკვათ.

ფანჯრის მიღმა ვილაცამ გაიარა, გააბოტა მძიმე ნაბიჯებით და თითების ტკაცუნით. რალაცნაირად მუსიკალურად გაატკაცუნა — ორჯერ, მერე ყოვნი და მერე სამჯერ, დერეფნის ბოლომდე რამდენჯერმე შეცვალა რიტმი, საცეკვაო მელოდიასავით გამოუვიდა.

კედლის ძირში მიბმულმა ტყვემ თავი ასწია. დაძაბულმა გახედა დერეფანს — მარტო ზურგი ჩანდა, ვილაცის ბრგე, ბუშლატიანი ზურგი. თითებს ისევ ატკაცუნებდა — ორჯერ, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ, ან ერთხელ, მერე ყოვნი, სამჯერ, ისევ ყოვნი და ორჯერ. ტყვეს რალაც გაახსენდა და თავი ჩალუნა. ბუშლატიანმა დერეფანში მდგომ ჯარისკაცს ჰკითხა რალაც, მერე სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

ტყვემ იგრძნო სიგარეტის მძაფრი სუნი, წვიმიან ჰაერში შერეული, როგორც ნემსის წვერით არტერიამი შეყვანილი ძილის ნამალი. ის ძალაც გამოეცალა, წელან მხის დანახვაზე რომ მოეჩვენა საკუთარ სხეულში.

ბუშლატიანმა ჯარისკაცს რალაც უღრიალა ოსურად. იმან თავის სამართლებელი ნკმუტუნი დაინყო. ბუშლატიანმა სიგარეტი ეზომი მოისროლა და კარისკენ შემობრუნდა.

ფეხით შეალო. ტყვეები შეჩოქოლდნენ, ისედაც მკვდრისფერებს შავმა ნისლმა გადაუარათ. კედელთან კიდევ იმდრომაც ასწია თავი და პირდაპირ შეხედა ბუშლატიანს. რამდენიმე წამს თვალი არ მოუშორებია, რადგან საკუთარ ეჭვს ამონებდა, ის არის თუ არაო. ამანაც ოთხივეს დაკვირვებული თვალით გადახედა და კედელთან მდგომ ტყვეს ჩააშტერდა. ტყვეს სიგამხდრისგან ყბის ძვლები გამოსწოდა და დიდ თვალებს ისე აბრიალებდა, ცოტაც და გადმოსცივდებოდა ბუდიდან.

ბუშლატიანს ცალი ხელი ავტომატზე ეკიდა, მეორით ისევ იმ საცეკვაო ტაქტს ატკაცუნებდა. ოლონდ უფრო მსუბუქად, ყურად. უყურა კედელს მიყრდნობილ ტყვეს, უყურა და უცებ მოწყდა ადგილიდან და გავიდა.

ცალთვალა მოხუცმა ისევ ამოიხრა. — თურმე ცოცხლად წვავენ ვინც მოუწოდებთ, ჯერ გულ-ღვიძლს გამოაცლიან, ნაწლავებს სათითაოდ და მერე ცეცხლს უკიდებენ... — მოკუმული ტუჩებით გადაუჩურჩულა ერთმა ტყვემ მეორეს.

— მე კიდევ ვიცი, რო ზოგი დაინდეს, თუ ნაბრძოლი არა ხარ, გინდობენ, უნდა დაარწმუნო, რო არ გიბრძოლია... — გაეპასუხა მეორე.

სალამოს სხვა ჯარისკაცი შემოვიდა და კედელთან მიბმული ტყვე გაიყვანა.

სარდაფში ჩაეშენენ ჭრილა კიბით. ერთმანეთში აზელოლი ნესტის და ყროლის მძალე სუნმა წამით კინალა თავის ქალა ახად, მაგრამ არ შეიმჩნია, ფიქრობდა, ჩემი ცხოვრების ბოლო ნაბიჯებია და არ დავაკლო არაფერი, რაც შეიძლება მყარად გადავდგაო.

სარდაფში ის ბუშლატიანი მეომარი იჯდა, გაქუცული ტახტის კიდევში. ცალი მკლავი ტახტის საზურგეზე გადაედო და მოლოდინად იყო ქვეყნის.

შეიყვანეს ტყვე. ბუშლატიანმა თვალთ ანიშნა ჯარისკაცს, ვადიო.

ტყვემ მიიხედ-მოიხედა. კედელთან პატარა სამკუთხედი მაგიდა იდგა, მაგიდაზე — კომპოსის მწილი და შავი პურის ნაჭრები. იქვე მიდგმულ ხის ყუთში პლასტმასის ბოთლები ეყარა, ზოგი ცარიელი, ზოგში — რალაც მღვრიე სითხე ესხა.

— დაჯექი, — ხის გადმობრუნებულ ყუთზე ანიშნა ბუშლატიანმა ქართულად. ტყვე ყუთზე ჩამოჯდა.

ბუშლატიანი ადგა, დანა ამოიღო ჯიბიდან და ტყვეს წინ თოკით შეკრული მაჯები გაუთავისუფლა. ტყვემ ხელები მაშინვე სახეზე და მერე თმაზე გადაისვა, თავი მოინესრიგა თითქოს.

— ხო მიცანი, ილომას, — თქვა ბუშლატიანმა სულ სხვანაირი ხმით.

ტყვემ ისეთი თვალებით ახედა, ბუშლა-



ნინო სადღობელაშვილი

ჰანიბალის ფიც

ტიანის ადგილას სხვა რომ მდგარიყო, ლენავდა ინსტინქტურად. შეიძლება ამასაც ელენა ამ უტიფარ სიფათში, ამ გამხმარგალეულ მაგრამ რალაცნაირი სიამაყით გადატვირთულ სიფათში, მაგრამ თავი შეიკავა.

— მიცანი? — ესაც უტიფრად ჩაეკითხა. გამოცხადებული ომის სიმკაცრით.

— ბორია ხარ, მეექვსე ბე კლასიდან ჩემ სადამრიგებლოში სწავლობდი, ბობოს გეძახდი, ბორია რო არ მოგწონდა და ძალიან მიფასებდი ამას, — მშვიდად უპასუხა ტყვემ.

— მერე აქ საიდან? — ბუშლატიანი ისევ ტახტზე გაიჭიმა და ტყვეს ისეთი ინტერესით შეხედა, როგორც ძლივსჩართულ დიაფილმს.

ტყვეს გაეცინა. რა ეპასუხა, დაფიქრდა. ისევ ჯარისკაცმა უშველა:

— რა გინდობდა ჩვენი ტერიტორიაზე, რალას გადმოდიოდი, ხო იცოდი, რო დაგიჭერდნენ?

— ხბოს გამოვეყვი, ხბო დედამის გამოჰყვა, დედამისი — ხბოს მამას, ხბოს მამა — კარგ ბალახს. ასე, ჯაჭვურად.

— ჰოდა, მერე, ილომას?

ბუშლატიანი წამოიმართა, თვალები მოწკურა.

— რა, მერე? — რა გიყო მე შენ, ჰა?

ტყვემ მხრები აიჩჩია.

— გუშინ დილით გავიგე, რო დაგიჭირეს. აქაურობა მე არ მავარია, მარა მაგრად ვიჩაღიჩე და მე ავიღე ჩემ თავზე. ძლივს გიცანი, ისეთი გამხდარი ხარ... რამდენი ხანია რაც აქა ხარ?

— ორი კვირაა. მანამდე იზოლატორში ვიყავი სამი დღე.

— რა გინდათ, ვერ გავიგე მე, რა! აი, შენ ხო ისტორიის მასწავლებელი ხარ, ხო გვასწავლიდი, რო ყველამ თავის მიწა-წყალს უნდა მოუაროს და თავის ხალხს მიხედოს. რა გინდათ, რატო გვებრძვი, რას გვერჩით?

ტყვეს არაფერი უპასუხია, ოდნავ გაკვირვებული თვალებით უყურებდა მხოლოდ.

— შენც იბრძოდი, ხო? თუ არ იბრძოდი? გისვრია ადამიანისთვის?

ტყვე ისევ ჩუმად იყო. ბუშლატიანს უკვე აღიზიანებდა მისი სიჩუმე. თითქოს ნათქვამ სიტყვებსაც აზრი ეკარგებოდა ამ

სიჩუმეში. არადა, მთელი ღამე ემზადა ამ შეხვედრისთვის. თვალი არ მოუხუჭავს და ათასჯერ აწონა და დანონა ყოველი სიტყვა და შესაძლო პასუხი. მერე გაახსენდა, რომ ზუსტად ასე ემართებოდა მისი გაკვეთილების წინ, იმ წინაღობებს ეგრე ათენებდა, რასაც იმასხოვრებდა, იმასხოვრებდა, რასაც არა და ათასნაირი ხერხით ცდილობდა თავის მოწონებას.

— რა გიყო-მეთქი? — უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა.

— პაპიროსი მომანევი, — ისევ ძალიან მშვიდად სთხოვა ტყვემ.

ხარბად მონია, ორ ნაფაზში ჩაკლა სიგარეტი.

— არ მახსოვს, თუ ენოდი, — კიდევ მიაწოდა ბუშლატიანმა.

— არ გეწონი, — მეორე აღარ გამოართვა ტყვემ.

— ისე, იმ ბოლო გაკვეთილზე რაც მოხდა მაშინ, ჩემი ბრალი არ იყო, — ბუშლატიანი წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

— ვიცი.

ტყვემ თვალი გააყოლა — გაახსენდა, ერთხელ ზუსტად ასე გაიარა მის წინ, გაკვეთილზე, ჰანიბალის სპილოებიანი ღამსქრის ალპებზე გადასვლის ისტორიას ყვებოდა, თან ორივე ხელის თითებს გაუჩრებლად ატკაცუნებდა და ბოლოს ისე შეიჭრა როლებში, ჰანიბალის სპილოსავით ჯერ ხელები ასწია მთავარსარდლის თაყვანისცემის ნიშნად, მერე ოთხზე დაემხო ხოროთუმის მაგივრად მოიქნია ცხვირზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდი. კინალამ ჩაიფსა მთელმა კლასმა სიცილით, მარტო ილო მასწავლებელმა დაუფასა გარჯა და ისაც ჰკითხა, ჰანიბალის ფიცი მთელი კაცობრიობისთვის ცნობილია, როგორც ყველაზე დიდი ერთგულების ფიცი, შენ ვის წინაშე და რაზე დადებდი ჰანიბალის ფიცსო. სამშობლოს არ ვულალატებდი არასდროსო, დაუფიქრებლად უპასუხა ბორია-ბობომ. ძირს რომი, გაუმარჯოს კართაგენსო — დააყოლა და ბოლოჯერ გაატკაცუნა თითები.

შეიძლება ბუშლატიანსაც ეს ამბავი გაახსენდა ახლა, სარდაფში, რადგან ღიმილით გახედა ტყვეს და ხელები ალაპკრო უეცრად, რალაც ჩაიბურტყუნა ოსურად. ილომასმა არ იცოდა ოსური, ცოლი ჰყავდა ოსი და მაინც არ იცოდა, ქართულად ჩაუთავლავდა ხოლმე, ქალის ღამაზი ყურის

ძირში ჩაყურსული, ათასნაირ სიტყვას, თვითონაც უკვირდა, საიდან ვიცი ასეთი ენა ან სად წამოვკრიფე ეს სიტყვებიო. ოსებმა მოუკლეს ის ცოლიც, „მომმეთა ღალატისთვის“, როგორც ამბობდნენ, რახან არ აიკრა ქალმა გუდანაბადი და არ გაშორდა მტრად შერაცხილ ქმარს. თვითონ იმ დღეს ქალაქში იყო, სოფელში დაბრუნებულს ეზოს ბოლოში, მისივე გაშენებულ მობიბინე ბოსტანში პირალმა გადამხობილი დახედა ცოლი, შიშისგან რამდენიმე წამში გათეთრებული და სიკვდილისგან გაქვავებული, მკვლელსაც ეძებდა ცოტახანს მაგრამ მერე მაგასაც შეეშვა, სკოლაში დაჭერის დღემდე მუშაობდა, ათიოდე მოსწავლისთვის დადიოდა, ამ ათიდან ზოგი ყოფილი მოსწავლის შვილი იყო უკვე.

— საიდან იცი? — დანყებული საუბარი გააგრძელა ბორია-ბობომ.

ტყვემ გაუგებრად ახედა.

— ჩემი ბრალი რო არ იყო იმ გოგოს ამბავი, სხვებმა რო მიწერეს ის წერილი და იმ შტერმაც ეგრე მთელი კლასის თვალწინ დალია ის ერთი მუჭა შაბაბანი... — ისევ ბრაზი მოერია ბუშლატიანს.

— ჰოო... — ხელებში ჩარგო სახე ტყვემ და გაიყურსა თავის ფიქრებში.

— გახსოვს ხო ეგ გაკვეთილი? — დაკითხვის ტონით დაადგა თავზე ყოფილ მასწავლებელს.

— ყველა გაკვეთილი მახსოვს, — სახე არ აუნევიდა ტყვეს.

— ძალიან მეწყინა შენგან. აი, გეუბნები როგორც იქნა რა! ყველაზე მაგრა შენგან მეწყინა, რო არ დამიცავი მაშინ!

ვირთხამ გაიფიქრებდა ტახტის წინ, წამით ორივეს ყურადღება მიიქცია.

— თან გცოდნია, რომ არ ვიყავი დამნაშავე! — გამომცდელად გააგრძელა ბორია-ბობომ. ცოტა ხანს ელოდა კიდევ, ტყვე რამეს რომ უპასუხებდა, მაგრამ იმას თითქოს დუმისის ალექსა ჰქონდა დადებული — მტვრიან სახელოს იჭამდა მხოლოდ, სახეზე ხელებშიმონყობილი.

— შტერი, დებილი... სუ ფეხებზე არ მეკიდა მე მაგის სიმსუქნე? ან ეგრე რატო აფრენდა ჩემზე, რას ამომიჩემა? — კედელზე ნახევრად ჩამოფლეთილ კალენდარს აუსვა ხელი და ალმაცერად გახედა ტყვეს.

მერე სარდაფის თავში ჩამომდგარ ჯარისკაცს ასძახა. ისაც მაშინვე ჩამობრაგუნდა და გაიჭიმა უფროსის წინ.

— რამე აქამდე და მერე აიყვანე ზევით. თვითონ უკან აღარც მოუხედავს, დაავლო ავტომატს ხელი და ავარდა კიბეზე.

გამთენიისას ცალთვალა მოხუცმა ცალი სალი თვალი რომ გაახილა, ისევ თავის გვერდით მიბმული დაინახა ნაცრობი ტყვე და სიხარულისგან კინალამ იტორა. მეგონა, ცოცხალს ვეღარც გნახავდიო. ტყვეს უცებ ძალიან მოუნდა, ამ კაცთან ელაპარაკა და ყველაფერი მოეყოლა, რაც ახლა გადახდა, ან მანამდე რაც გადახდენია, ისე ძალიან მოუნდა, რომ ძლივს სძლია ამ სურვილსაც და მხოლოდ გაუღიმა მადლობის ნიშნად.

მოხუცი თითქოს მიუხედა რალაცას. მისკენ მთელი ტანით გადაიხარა და ჰკითხა:

— რომელიღაცამ გიცნო აქა, არაა?

კიო, ტყვემ.

მარა იქნებოდა, მეც სუ დაძაბული ვარ, ვინმე ნაცრობი არ გამომიჩნდეს უცებ და ხო ძალიან უნდა ჩამწყდეს გული... სუ ნაცრობები ვართ ერთმანეთის აქა, ვილაცის ვილაცა მაინცაა რო დაუარო და გამოკითხო... მარა რალა ძალა აქვს ან ნაცრობობას, დაგყავრეს ეგრე საქონელიც...

იმ ღამით ისევ გაიყვანეს მიწურდან, ოლონდ მარტო აღარ, მოხუცთან ერთად. ტყე-ტყე ატარეს კარგა ხანს და მდინარის პირს მიაყენეს გამთენიას. ცისკრის ოქროსფერი იცრებოდა მდინარეში, ზანტი და უხმაური თქორით. თვალეზახეულები იყვნენ მთელი გზა, ნაპირზე შესხნეს ორივეს ნაჭერი, მსუბუქად უბიძგეს ზურგში და მიაგდეს დანესტილ ურთხელთან.

ბორია-ბობომ გამოეყო მერე ურთხლის ტყეს და წარდგა ტყვეების წინაშე. ილო მასწავლებელმა ძირს დახრილ ავტომატზე დახედა.

ბორია-ბობომ რალაც უთხრა ოსურად ჯარისკაცებს, სულ ორნი იყვნენ მის გარდა. იმათაც მაშინვე მოხუცს წააგდეს მკლავებში ხელი და გატრიალდნენ მდინარისკენ. ბორია და ტყვე დარჩნენ მარტოინი.

— არ გამოდიოდა სხვანაირად, — კისერზე გაისვა ხელი ბორია-ბობომ, — მარ-

ტო შენ ვერ გამოგაპარებდი, ძაან დავინეებოდი.

— იმას რას უპირებთ? — გეგონება ყინული ჩაემსხვრა, ისე აუბრწყვიალდა ტყვეს თვალები.

— იმაზე რას დარდობ, მე საქმე შენთან მაქ. გიშვებ.

— არ მოკლათ, ბიჭო! — იყვირა ილო მასწავლებელმა.

— ეგ შენი საქმე არაა-მეთქი!

— არ მოკლათ, სამშობლოს გაფიცებ, ბოზო!

— რომელს? — ღიმილი ჩაყვა ტუჩებზე და სიმწრით გააკანკალა.

ტყვევ გაოცებული უყურებდა. ვერაფერი ვერ ნაიკითხა ბორია-ბობომ ამ გაოცებაში. უფრო სწორად, რაც ნაიკითხა, ის არ აღიარა და მოარიდა თვალი.

სროლის ხმა გაისმა ქალებიდან. ორივე შეხტა.

— ნადი! — უღრიალა ბუშლატიანმა ბოლოს.

თვითონ კუნძუე ჩამოჯდა და ბათინკის ქუსლით მიწა გაჩრქნა.

ტყვევ ნინ გაუარა. ბორიას მოეჩვენა, რომ რამდენიმე წამით მის წინ გაჩერდა კიდევ და ისაც მოეჩვენა, რომ ტყვევ ხელი გამოსწია მისი თავისკენ. როგორც ერთხელ, გაკვეთილზე, მის მერს რომ ჩაუარა და ძალიან ფრთხილად შეეხო თავზე, მისი ობლობა გაიგო იმ დღეს და ასე უხერხულად გამოხატა, ერთადერთხელ და უკანასკნელად, რადგან თუ რამე არ შეეძლო, სიბოზს საქვეყნოდ გამოხატავა არ შეეძლო.

— დაცა, — თავი არ აუწევია, ისე გასცხა ბორია-ბობომ, — მითხარი, საიდან გაიგე იმ ბოლო გაკვეთილის ამბავი?

შედეგა კაცი. უბეში შეიყო ხელი, თითქოს იქიდან ნივთმტკიცების გამოსაძვრენად.

— გიორგამ აღიარა, ბიჭებმა დავნერეთ ის წერილი, ბოლმა გეჭამდა ბორიასიო, ვერა ვქენით და ვერ ვემძაკავთ მაგ ბიჭსაო, მერე ეგ საწყალი გოგოც გამოჩნდა და მართლა დავიჯერეთ, რო დასცინოდა და დაესაჯეთო.

— როდის აღიარა? — ბელტში ჩამშრალი რუსავით გაენრიტა ხმა ბორიას.

— ნუკრის ქელეხში აღიარა. იბრძოლა ორივემ, მარა ნუკრი ჩამოგვიყვანეს დალუპული. გიორგა იყო ძალიან შეცვლილი, ყველას გვეხვეოდა, იქ რო ყოფილიყავი, შენც გადაგხვეოდა უსიკვდილოდ.

— რატო ვერ ვემძაკავთ... — თითები გაატკაცუნა ბორიამ.

— აბა, რა ვიცი...

— შენ რაღატო დაიჯერე მაშინ?

— არც ეგ ვიცი...

— ნადი, — ბოლოჯერ გასცა ბრძანება ბორია-ბობომ.

ტალახით გადახეული დამრეც ბილიკს ჩაუყვა ტყვე. უბეში შეყოფილ ხელს ღონივრად იჭერდა მკერდზე. აუშვებდა თითებს, ჩაისუნთქავდა ღორთქო ჰაერს, გაებერებოდა სხეული, მიიჭერდა ისევ. მეორე ხელის თითები უნებურად გატკაცუნდნენ — ორჯერ, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ, მერე შეცვალა რიტმი... თავქვე რომ ჩადიოდა, ისაც გაიფიქრა, ნეტა გადმოდგეს ბუშლატიანი ამ ბილიკის თავზე, მომიშვიროს ავტომატი და დაამთავროს ბოლოს და ბოლოსო. რაღაცნაირი ლოგიკაც დაიჭირა ამ აზრში და მოეჭიდა, როგორც ცალი ხელით საკუთარ გულს ეჭიდებოდა მთელი გზა.

მოიხედა უკან, ზევით, ბილიკის თავში მართლა იდგა ბუშლატიანი. რაღაცნაირად სევდიანად გამოდცქეროდა ტყვეს. მერე ხელისგულები პირთან მოიძებრა და რაღაც ჩამოსძახა. ექოებად ჩამოშვავდა მისი ხმა, ხელით შეკავებულ გულზე მიეხლინა და დაძრა ადგილიდან, ამოუგდო ბუდიდან.

ყური მიუგდო აბრაგუნებულ გულს — ორჯერ ამოარტყა, მერე ყოვნი და ისევ ორჯერ... მერე სამჯერ, ყოვნი და ერთხელ... ბოლოს ისევ ერთხელ და დიდი ყოვნი... ვეებერთელა ყოვნი, ოქროსფერი წვიმის სიჩუმე...

მასწავლებლის ღიად დარჩენილ თვალებში ტყის სული ირეკლავდა ვიდაცის სიხარულს, ჩუმად ჩამოძინდის ნესტით გაგლეხილ ხეთა ვარჯებზე, ვიდაცის სიხარულს ახდენილი სიზმრების გამო, გადატეხილი შიშისა და საკუთარ ჩრდილზე ამადლებების გამო.

ამ სიხარულს სამუდამოდ შეინახავდნენ თეთრად გაქვავებული თვალები. სხვის სიხარულს, როგორც ერთგულების ფიცს.

დასასრული

5 პარასკევი. სატურნის დღე. მწვანე ტაბლეტი

წინა საღამოს დაღუპული მწვანე ტაბლეტების გამო მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, მეორე შუადღით კიდევ უფრო უცნაურად გამეღვიძა: ბიო-ნაძვის მეგა-კუბოში ვესვენე და ზედ თეთრი სუდარა მეფარა, რომელიც სახიანტანიანად ყველაფერს მიფარავდა. მაშინვე მივხვდი, რომ გასულ შუალაშობაში დილის დროს გარდაცვლილიყავი და ოჯახის წევრებს უკვე ყველაფერზე ეზრუნათ. იქვე მივხვდი, სახლში ალიაქოთი რომ არ გამოემწვია, ფრთხილად უნდა მესუნთქა. ერთი პირობა კი ვიფიქრე, წამოვდგები და ცირკს მოვანყობ-მეთქი, მაგრამ მაშინვე წარმოვიდგინე ამ საქციელის სავალალო გაგრძელება. ვინმეს დაზიანება და „იმერული ესკიზები-2“-ის ჩატარება სულ არ შედიოდა ჩემ გეგმებში, ამიტომ ვარჩიე, ისევე თავი მომემკვდარუნებინა.

კუბო სასტუმრო ოთახში იდგა. გარშემო ჭირისუფლებს ელექტრო-ყვავილები-სგან შეკრული გვირგვინები შემოეწყობოთ, თავად კედლებთან ჩარიგებულ სკამებზე ისხდნენ, წარმოუდგენელ სისულელეებზე ყებდობდნენ და მხოლოდ ოთახში ახალი შემომსვლელის დანახვაზე დუმდებოდნენ. თიკნა თავისთვის ქვითინებდა. გოჩი და ნიკაულე აგრო-ნეილონის კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილი და ყოველ მომსვლელს მგლოვიარე სახით ართმევდნენ ხელს. „ვიზიარებ... ვიზიარებ... ვიზიარებ!“ — ხანგამოშვებით მესმოდა კუბოში მწოლს და მახსენდებოდა „ვიზიარებ“ სულ პირველი გადაფრენა ნიუ-ბუდაბუშტისკენ გოჩისთან ერთად. „ვიზიარებ... ვიზიარებ... ვიზიარებ!“ — არ წყდებოდა მომსვლელთა ნაკადი, რომელიც ამ სიტყვით მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, თითქოს მიღმიერი სამყაროს ვიზას მაძლევდა.

— ვიზე ამბობ? ააა! დედა, რა კაი ვიზუალი აქვს? — მესმოდა კუბოში მწოლს ჭირისუფალთა როშვა.

— აერო-მღვდელი როდის მოფრინდება ნეტა?

— მე ახალი მეტა-ერკემლის ხორცის გარემე არ შემიძლია...

— ჯართში რო გადაცვლიან ეს უნამუსოები!

— მთელი ცხოვრება სპეც-ლიცეუმს შესწირა საცოდავმა! მერე რამდენი სუბ-ერ-ცნობადი სახე გაუზარდა ქვეყანას, და ამათ კიდევ — რობოტიზაციაო!

რომ არ მომეწყინა, პირი მოვმუნე და ოდნავ გავიჭინეთ.

— გაზები გასდის! — მომესმა მორიგი რეპლიკა.

ღამით, როდესაც მომსვლელი დაილია და ქმარ-შვილიც დასაძინებლად მიწვა, მე, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგ ლელა მეთლუყვას, ფრთხილად წამოვდექი კუბოდან და გემრიელად გავიზმორე. მოშივე-ბულს სხეულში უცნაური ჟრუანტელი დამიდიოდა. მაცვივართან მიტანტალებულმა იქიდან მორჩენილი „მეველდ-კოლა“ და ნანო-თევზი გამოვიღე და კარგადაც მოვუღებინე. თან წამდადაუნუმ სასაზე ვიჭერდი ენას და რადიოებსაც რიგრიგობით ვუნაცვლებდი ერთმანეთს: ხან ნეპალურად ვლილინებდი „რესან ფირირის“ და ხანაც მანუჩაოს ფრანგულ-ბასკურ სიმღერებს ვრეპავდი. კარგად რომ შევზარხობდი, ტაბლეტების მორიგი წყვილს შევხვებოდი, დარჩენილი ორი ტაბლეტი გულისჯიბებში ჩავიდე, ისევ კუბოში ჩავნექი, სუდარა გადავიფარე და თვალები დავხუჭე.

6 შაბათი. იუპიტერის დღე. შავი ტაბლეტი

მეორე დღეს რომ გამეღვიძა და თვალი გავახილე, მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგ ლელა მეთლუყვას, ძალიან შემეშინდა: უკვე დამარხული ვიყავი. კუბოში მწოლს და სიზნელეში მყოფს უანგბადი არ მყოფნიდა. მივხვდი, კუბო საფლავში ჩავსვენებინათ და საფლავი მინით ამოეცსოთ. შევეცადე, კუბოსთვის თავსახური ამეხადა. ხელისგულებით ავანექი კიდევ, მაგრამ არაფერი გამოვიდა — მინის მასა ძალიან მძიმე იყო.

— მიშველეთ! — ვიყვირე მთელ ხმაზე, მაგრამ, აბა, ვის რას ვავაგონებდი.

მერე ჯერ ერთ გვერდზე გადავტრიალდი, შემდეგ — მეორეზე. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. კუბოში ჰაერი სულ უფრო ცოტადებოდა. ენა ისევ სასას ავაჭირე, რამაც — დიაპაზონის ერთ-ერთ სიზშირეზე მომმართა. რადიოსადგურზე ახალ ეროვნულ სიმღერას წარადგენდნენ. შემსრულებელი ბევრს საუბრობდა ქართული ანბანის უნიკალურობაზე, რომლისთვისაც სიმღერა სახელწოდებით „განდონტქება“ მიქდლვანა. რეპერულ-ფოლკლორულ სტილში შესრულებული ტექსტი ორიგინალური კი იყო, თუმცა თავიდან ვერაფრით მივხვდი, რა საერთო ჰქონდა ამ სიმღერას ქართულ ანბანთან, არადა, ვითომ ხომ ყველაფერი ვიცოდი?.. მაგრამ, ამ შემთხვევაში, გონებამ აშკარა „ერორო“ მისცა... მერე რადიო-დიქტორმა გამოიფრა ეს აკროსტიქი და აღმოჩნდა, რომ სიმღერის ყველა სიტყვის პირველი ასო ქართულ ალფაბეტს თანმიმდევრობით იმეორებდა:

„ალექსამ ბოზბაში გაუშვა დამკაში ვერესტს ვუყურებ“

ზემოდა თანხმობით ილონამ კროსვორდი

ლოგინში მოხაზა ნასკებში ომია პანუა უანგბადის როგორი საწყალი ტიპია უშანგი ფელამუშს ქუჩაში ღორულად ყიდიან შე ჩემა ცუდია ძალიან წამალი ქანჭური ხურმაზე ჯგიროა შამლეტ!“



მე, ქვეყნის დამსახურებულმა პედაგოგმა ლელა მეთლუყვამ, გულისჯიბიდან ბოლო ორი ტაბლეტი ამოვიღე და ბოლომდე გავეღე.

7 კვირა. ნავტუნის დღე. გამჭვირვალე ტაბლეტი

— სასაფლაოზე ასულ ჩემებს ჩემი საფლავი გათხრილი დაგხვდათ, ხოლო ბიონაძის კუბო — თავახდელ-ცარიელი!

„ფინიტა ლა კომედია, სიმონ!“ — აღმოგხდა ამის დანახვაზე, ჩემო გოჩი, და განზე სიმწრით გადააფურთხე.

„ღმერთო, რა ვანდალიზმია?“ — ასე აწრიპინდი შენ, თიკნა.

„რამე ხომ არ ჩაატანეთ ისეთი?“ — შენ მამას გადახედე, ნიკაულე.

„შენც იქ არ ედგე!“ — აწრიპინდი ისევ შენ, თიკნა.

„იქნებ გაცოცხლდა, აყვირდა და მე-

საფლავებს გააგონა?“ — დააბრეხვე შენ, ნიკაულე.

„შენ კიდევ გჯერა ეგებების?!“ — წრიპინიდან ნიკინზე გადახვედი შენ, თიკნა.

„აბა, მინცდამინც რობოტების უნაჯეროდეს ამხელა ოყლაყს?“ — ასე გადაეკითხე ჩვენ ქალიშვილს შენ, გოჩი.

„იქნებ, ვილაც მშვირმა ნეკროფილებმა მოყნოსეს, ამოთხარეს და შეჭამეს!“ — ეს საზარლობა მოგივიდა თავში აზრად შენ, ნიკაულე.

მერე იქვე მოზუზუნე რობოტი-მესაფლავე დაინახეთ და თქვენკენ იხმეთ.

„მგეთი არაფერი გავგიგია, უფროსებო!“ — უკვირდა მასაც.

„მაი „ნ.ა.ს.ა.“ იე გგონია მინც!“ — ბოლთას სცემდი ადგილზე ნერვიულად შენ, გოჩი.

მტვრის პატარა ნაწილაკებს სასაფლაოს სიო ჰაერში მზის სისტემის პლანეტებით მწყობრად ატრიალებდა. მე კიდევ, „ნ.ა.ს.ა.“-სგან ასე გულუხვად დაჯილდოებული (ყველაფრისმცოდნე, თან პოლიგლოტ და თავში რადიოსხმებიან, დაკუნთულ მამაკაცად დარჩენილი) ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი ლელა მეთლუყვას, უკვე სახლში ველოდი ოჯახის დანარჩენ ნევრებს და ფართო აივანზე მოვარჯიშე რკინის უმძიმეს გირებს ჰაერში ჰაერის ბუშტებივით იოლად ვათამაშებდი. თავში FM-დიაპაზონის რადიო-სადგურთა ზრიალი აღარ მედგა, ვინაიდან სასაზე ენაჭერილი, ვარჯიშის პარალელურად, რომელიცაც რელიგიურ რადიო-სადგურს ვუსმენდი.

„აერო-მამაო, ძალიან ცუდად ვარ იმიტომ, რომ დიდი გეო-ცოდვა ჩავიდინე! მე და ჩემს შეყვარებულს ქორწინებამდე გექონდა ურთიერთობა! მარსკვლავი ისე დავინერეთ, მოძღვრისთვის სიმართლე არ მი-თქვამს! მარსკვლავწერისას გვკითხა — გარნა ოდენ ახლა ხდებით ცოლ-ქმარიო?“ — მოთქვამდა ვილაც თავსაფრიანი გოგო ეთერში.

„Mitä ihmettä?“ — ფინურად შევეკითხე თავს და ენის სასაზე აჭერით სხვა რადიო-სადგურზე გადავერთე.

იქ უკვე გამამხნეველები ფსევდო-როკნოლო უღერდა და მეც ფართოდ გავი-ლიმე. სკოლების საყოველთაო რობოტიზაცია მე, ქვეყნის დამსახურებულ პედაგოგს ლელა მეთლუყვას, საერთოდ აღარ მადარდებდა:

სამუდამოდ ასეთად დარჩენილს ცხოვრება, სამომავლოდ, სრულიად ახლებურად ყველასგან განსხვავებულ აერო-პერ-სპექტივებს მთავაზობდა...



გიორგი ცხვიტარია

დაისის ყვავილება

მოხუცი მამა, ძირდანესტილი,
 მოხრილი ჭიგო.
 და დედაჩემი ოჯალეში
 თმებთოვლფერილი...
 ერთურთს იმედით ჩაჭიდებთან.
 დაისისას ყვავილებივით ღონდებთან,
 თავს ფიქრში ხრიან,
 გათენებას ნატრობენ და ელოდებან.
 ერთმანეთს პულსივით უსინჯავენ
 სუნთქვას.
 დამფრთხალ ჩიტვივით თვალეში
 ბზარივით გამოსჩენიათ
 მარტოობის, უერთმანეთობის შიში...
 რადგან შეიცნეს,
 დაინახეს,
 შეიგრძნეს,
 რომ ყოველდღე მიდის ეს დრო ტიალი
 სასაფლაოზე დაუკითხავად
 და ჩვენს სამარეს თხრის...

ბანცხალება

ფართობი:
 69700 კვადრატული კილომეტრი.
 კეთილმონყობილი,
 ლეთიური გარემო.
 ზღაპრული ხედები...
 ორ ზღვას შუა,
 თვალუნვდენელ
 მწვერვალების ქვეშ.
 ისტორიული ადგილი:
 დავითის, თამარის,
 შოთას, ილიას
 ნასახლარი და
 ნაკარმიდამო...
 მავთულ-ხლართებით
 შეღობილი
 და შესალობი...
 ფართობის მომატების პერსპექტივით
 იყიდება ან იცვლება
 საქართველო...

 იმ იმედით, რომ:
 დამნაშავენი ყოველთვის უბრუნდებიან
 დანაშაულის ადგილს,
 ჩვენი სიყვარულის ნანგრევებთან გელოდები...

 შემოსხდომოდნენ
 გლეხი ქალები
 სიმინდის ჩენგელებს ირგვლივ ყანაში
 და ტაროებს ფურჩებისგან
 ჭორმართალთან ერთად არჩევდნენ.

 ჩუმად, სირცხვილით,
 კაპიტულაციის დროშასავით
 ჩამოვკიდდე ჭიშკარს აბრა:
 იყიდება სახლ-კარი.

 ნელ-ნელა მარხავდნენ ობლის
 ოცნებას
 ცას მონყვეტილი ვარსკვლავები...

 აჰა, გავბედე, ისევ მოგწერო
 და გონებაში დავეძებ
 სიტყვებს,
 როგორც მინდორში
 შენთვის მოსართმევ
 თაიგულისთვის
 ლამაზ ყვავილებს.

 შორს
 ეშვებოვით მოსჩანს
 თოვლშერჩენილი მწვერვალები,
 თითქოსდა დედამინა
 ზეცას უღრენსო...

 არ მოკვდე, გულო,
 ამ ობოლ სიყვარულს
 უბინაოდ რა ეშვებლება...

 ეს ცხელი ღამე
 სულაც იქნებ
 იმის ბრალია,
 კაბა რომ გეცვა
 შენდამი ვნების
 მოთმენაზე
 მოკლე და ვინრო...

 ტყვია ჰკრეს ირემს,
 დაჭრილი ბლავის,
 შენ მყვირალობა ნუ გეგონება...

 ამოდის მთვარე,
 მზე თითქოს სიზმრად
 ბავშვობას ხედავს...

 სურიალისტურად დავშორდით ერთმანეთს:
 თითო კურცხალში
 ჩავატეთ,
 ცრემლს გავატანეთ
 ღმერთის ტოლი სიყვარული!

 მხოლოდ დედამ შენიშნა
 ჩემი თვალების ფსკერზე
 დახრჩობილ,
 არ დადენილ ცრემლთა
 სასაფლაო.

 სხვისი არ ვიცი...
 ჩემს ღმერთამდე მისასვლელი
 გზის გაკვლევა კი
 პატარა სანთლის
 შუქითაც შეგვიძლია
 ადამიანებს...

 სავსეა დარდების ხვიშირა,
 დოლაბში ნელ-ნელა იფქება.
 ჰა, ღმერთო, ეს ჩემი საფქვაკი,
 დამინდე,
 მიშველო იქნება...

 არ დააცდიდნენ უფალს
 გოლგოთას გზაზე
 ჯვრის ტარებას,
 ოქროს ან ვერცხლის
 რომ ყოფილიყო...

 რომ არა ომი,
 ამ ბავშვებს ალბათ
 გამეტებით
 ტყვიას კი არა,
 თოვლის გუნდასაც
 არვინ ესროდა.

 სანგარში ტყვიით განგმირულ
 მეგობარს გადახედა...
 ბავშვობა ინატრა,
 ომობანას რომ თამაშობდნენ...

 სიყვარულს ზოგჯერ
 აგვიანდება,
 თუმცა სიკვდილივით
 უთუოდ მოდის...

 ძალღმა ყველა რომ ნკმუტუნით
 ჩაანაცვლა,
 — ბავშვი იქნებაო, —
 მითხრა ბებომ
 და მამას წინკარში შეეგება...

 თქეშია...
 ზეციდან წვიმის წვეთები ჩამოდიან
 და ანცი ბავშვებით ასკინკილით დახტიან მინაზე.

 იფიქვე, ცაო,
 და ცოდვილ დედამინას
 თოვლის ოლარი წამოაფარე...

 მონატრებულ
 მშობლიურ სახლისკენ
 გზას მივუყვები...
 წინ
 ბავშვობა
 მიმიძღვის,
 კისკისით
 და ასკინკილით.

 თითქოს ვიგრძენი,
 სახრჩობელისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი
 როგორ უშლიდა და უსერავდა მუცელს,
 სამოთხეში ჩემზე მომლოდინე დედაჩემს.

 პირველად იმისთვის
 მოეჭიდა ხავსს
 კაცი,
 მისაშველებლად
 ხელი რომ
 არვინ არ გაუნოდა...


 იქნებ ეს თვალები
 მაყურებია,
 შინაგანი ღრიალის ხმას
 რომ ახშობენ —
 ცრემლად გვადენენ.

 — ისევ მიყვარხარო, — მითხრა.
 და თითქოს ბავშვად მოციქულები
 მომივლინა მოსახარებლად:
 — რომ სიყვარული აღსდგა.

 ფიქრების ბანქო
 ისე „ჩავანყვე“,
 ყოველ ჩემს კარტში რომ ამოხვიდე...

 მიტოვებულ ტაძარში
 გუმბათს ქვემოთ დაბუდებული
 ჩიტები
 არ წყვეტენ გალობას...

დაგიუბი



ვაკო ორმოცაძე

ჩამოიარა ჩემმა ვაგონმა,
ჩაბნელებული გვირაბიდან გამოჩნდა შუქი
და ყურსასმენებში შემომიძვრა
ვაჭრობის ხმები,
რომ შეგიძლია, თბილისის მეტროში
იყიდო ყველაფერი,
რაც სამყაროს შეუქმნია,
ან აპირებს შექმნას.

გთხოვთ, დამეხმაროთ ხურდით!
მე მშია!
იქნებ არ მოგწონთ თქვენი მუსიკა,
შეცვალოთ ჟანრი!
დაგხატავთ ისე, თითქოს
ბოშა ბაეში მოგსდევდეთ უკან
და გაშინებდეთ
პაემნისთვის გამზადებული ტანსაცმლის დასვრით.
ისიც ხომ დროს კარგავს,
გაეკიდოს იქნება იმას,
რომ არც ფული აქვს,
არც მისაცემი,
ან უბრალოდ,
გამოუზოგავს, დასჭირდება პირველ პაემანზე
და არ უნდა რომ შერცხვებს,
განითლდეს,
აერიოს ნაბიჯი და დაკარგოს ძალა.
როცა ცდილობ, რომ მოაწონო ქალს თავი,
ჯიბეში კი სიცარიელე,
სიცარიელე
არ გეშვება, გტანჯავს,
მაგრამ სული ხომ ცოცხალია,
დაფრინავს,
დაჰქრის.

ვაგონები იცვლიან სადგურს,
მე კი ვუსმენ რეი ჩარლზის „ამერიკას“,
და მატარებელი აჩერებს „ვაგზლის მოედანზე“,
რომ ერთმანეთთან მხარმიდებულ ადამიანებს
უფრო მეტი დისკომფორტი შეუქმნას,
აჩერებს,
დგას,
და ვეღარ მიდის,
დაგვიანებულ მგზავრს კი ხელებზე ყველა
სისხლძარღვი გამოუჩნდა,
მაგრამ კარებს არ უშვებს ხელებს,
იქნებ წყდება ცხოვრება მისი,
მაგრამ არ უშვებს,
იქნებ ვინმემ დაუთმოს გზა,
გადანიოს,
შესთავაზოს,
მოზრძანდით აქეთ.
და არ უშვებს,
რომ იმედი ადამიანობის შერჩენია
იქნება ვინმეს.

ჩემი გაჩერება კიდევ შორს არის,
რადგან ვაგონები არასდროს ჩქარობენ,
არასდროს არსად,
მიდიან ნელა
და მიჰყავთ ჩაბნელებული ბაქანისკენ
აჩქარებული მგზავრები,
არწვევენ გულს და არწვევენ ფიქრებს,
ყურსასმენებში კი,
ყოველთვის თითქმის,
შემოდგერება თბილისის ხმები,
რომელიც მინის ქვემოთ და დაბლა
ცოცხლობს,
ცოცხლობს,
და ადამიანებს შეუმჩნევლად
უჩნდებათ ხიბლი,
რომ მინის ზემოთ
ყველაფერი კვდება
და ქრება.

ჩაბნელებული გვირაბიდან გამოჩნდა შუქი
და მივალნიე ჩემს დანიშნულებას —
თავისუფლების მოედანი,
გაისმა ხმები —
თავისუფლების მოედანი,
ივაჭრეთ ყველამ —
თავისუფლების მოედანი —
გამკვირვდა ძვლებში.

თავისუფლების მოედანი
და ყურსასმენი შემოახვიე უცნობის ჩანთას,
და რეი ჩარლზის „ამერიკა“ კი დავტოვე გვირაბში,
თავისუფლების მოედანზე.

რომ გადიოდე ზღვაში,
სიკვდილს მიჰყავდე იქით,
სადაც ტალღები ღელავს,
ხან კი მდუმარედ იძვრის.

არც ნაპირები მოჩანს,
არც ქალაქები,
მხოლოდ ჰორიზონტია ვრცელი
და უსასრულო,
ისეთი, როგორც ჩვენი სურვილი — ვიცოცხლოთ
დიდხანს,
შენ კი შეხედავ ზღვას
და იტყვი,
რომ სიკვდილი სიცოცხლეა,
როცა ზემოთ თოლია ფრთებს გაშლის,
ქვემოთ კი ტალღა ღელავს
და წყალში მოქცეულ ყველა იმედს,
ყველა სევდას,
ყველა ცრემლს,
ყველა ზღაპარს,
თესავ და თესავ.

ნეტავ,
ზღვა იყოს დასასრული,
მაგრამ დანყება ახლის,
ნეტავ,
შევერიოთ ტალღების ბრძოლას
და არ დავივიწყოთ გადარჩენის სურვილი,
რომელიც ადამიანს
ამყოფებს ადამიანად,
ამ სურვილშია მოქცეული სიყვარული,
წუხილი,
სურვილშია სიკვდილის განცდა,
სურვილია სანყისი იმის,
რომ გადავრჩეთ,
რომ ვიცოცხლოთ.
ჩვენ ვიქნებოდით ზღვაში
და ვიქნებოდით
სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე,
ვიქნებოდით სამუდამოდ,
ადამიანად,
არ დავკარგავდით სულს,
ღმერთსა და იმედს.

რა იქნებოდა,
რომ გავდიოდეთ ზღვაში
და სიკვდილს მივყავდეთ იქით,
სადაც ტალღები ღელავს,
ხან კი მდუმარედ იძვრის.

რაკ, რაკ, რაკ, რაკ,
მდინარის ხმები ამშვიდებს სულს,
და ტყიდან მოვარდნილი სიო ააფრენს ფურცლებს,
რომ მათთვის გაზიარებული სიტყვები მიმოფანტოს
ძველ სახლებთან,

იმ სახლებთან,
შემწვარი კარტოფილის სუნი რომ ჩარჩენიათ ხის
კედლებში,
ისევ იმას ჭამთ?
ისევ ყველაფერს უძლებთ?

რა აზრი აქვს რამის წერას,
რამეზე ფიქრს,
უაზროდ ღელვას,
როცა მაგიდის ყოველი გაშლა
კარტოფილის სუნით მთავრდება
და ლოდინიც უკვე არაფრის არ ღირს,
არც სურვილია, ელოდონ რამეს,
არც სურვილია, ელოდონ ვინმეს,
მერე ხომ მეტია ღელვა,
მეტია შფოთი,
და სუფრაზე კარტოფილი
და სტუმრისთვის შენახული დამარებული ღვინო
ვერ გაავსებს სასმელს.

როცა მარტო დარჩებიან საკუთარ თავთან,
ან რაკ,
რაკ,
რაკ,
რაკის ხმაზე გახედავენ ჰორიზონტს,
ჩაფიქრდებიან,
ვერ გადაუნყვეტიათ,
ეშინიათ იმის მხოლოდ,
რომ ზვალ მაგიდას დაამშვენებს ძმარი
და შემწვარი კარტოფილის სუნი მოგონებად დარჩება,
თუ?
სტუმარია გადამწყვეტი,
მას მოაქვს მაღლი,
როცა — მოზრძანდით, ჩემო ბატონო! — დაპატიჟებ
და არ გინდა, რომ შემოვიდეს,
ნეტავ, შეგეძლოს, სთხოვო,
ნეტავ, შეგეძლოს, უთხრა,
ნეტავ, შეგეძლოს, მოყვე.

და მერე?
აზრი აქვს კი რამისთვის წერას?
ვინმესთვის კითხვას?
როცა სიო დაუბერავს ტყიდან,
ჩემს ლექსებს მიმოფანტავს მთელს სოფელში,
მშიერ სოფელში,
მშიერ ხალხში,
და მე ხალხს რა უნდა ვუთხრა?
და მე ხალხს რა უნდა ვთხოვო?

და რაკ,
რაკ,
რაკ,
მდინარის ხმები,
და რაკ,
რაკ,
რაკ,
ვეღარ ვმშვიდდები,
მხოლოდ ძმრის დამყვება გემო.

შემოდგომაზე,
სიცივეში,
შიშველი ფესვები ელოდებიან წვიმიან მინას,
რომ ჩაასვენონ,
დაუფარონ გასახმობად გამზადებული ცოდვები.
სიცივეში,
შემოდგომაზე,
როცა ჩამოყრის ხეები ფოთლებს,
გადაშლილ ტოტებს დაახვედრებენ
სუსხიან,
თეთრ ზამთარს,
მარტოობის და სიჩუმის მოძმეს.
შემოდგომაზე,
ყველაფერი ხელის გულზე რომ გამოჩნდება,
მე შენთან მოვალ,
და მოგიყვები ჩვენს სიყვარულზე
ყველაფერს ახალს და უცოდველს,
ისე, როგორც მინაში გაშლილი ჩვენი ფესვები,
შემოდგომაზე.

არაფერია ეს სამყარო,
იჩივლა კაცმა,
როცა სანოლზე მომაკვდავი
ბოლო ამოსუნთქვას ელოდებოდა,
უნდოდა მეტი.

არაფერია ეს სამყარო,
ატირდა დედა,
შვილის საფლავეზე ამოსულა ეკალი,
ძეძვი.

არაფერია ეს სამყარო,
იფიქრა მღვდელმა,
როცა შეასხა ნაკურთხი წყალი,
კუბოში ჩანოლილ გაშეშებულ სხეულს.

არაფერია,
არაფერია,
უსმენდა ღმერთი
და სამშობიარო სახლიდან გავიგონე
ზავვის ტირილი.


დასაწყისი პირველ გვერდზე

არასდროს არცერთ ბინაში არ ჩამომსვლია წყალი... გადმოსვლიდან დაახლოებით ხუთი თვის მერე, ერთხელ ვზივარ ლეპტოტან, ჭაჭაგარეული ცხელი ჩაი მაქვს მოდგმული, ვნრუპავ და თან ბლოგს ვწერ. ხანდახან ვიხედები ფანჯარაში — აქვეა. მთა ილანდება ჰორიზონტზე და მთამდე — უშნოდ აჩხორილი ბეტონები, თავზე ამწეკრანებით. გავა წლები და მაღალი კორპუსები იდგება ალბათ მათ ნაცვლად და არც ეს მშვენიერი ხედი იქნება ჩემი ფანჯარიდან. ფეხებზეც მკიდია. კაი ხნის გადასული ვიქნები იმ დროისთვის. ფანჯრის ჟანგის გისოსზე მოჩანს რამდენიმე ყვითელი ვარდი. არც ვიცოდი, რო ასე ლამაზად ყვავდა. თავიდან სურო მეგონა. მოკლედ, სრული იდილია. ვარდები, გამლილი ჰორიზონტები, სიჩუმე. მეტირა უნდა უნდოდეს კაცს, რომელიც ბლოგებს და სტატიებს წერს კულტურაზე. ჰოდა, ამ დროს კედლიდან ზოლად გადმოირკალა წყლის ნაკადი და შუა ოთახში, იატაკზე, გაყარა შეფეხები. გეგონება, ვილაც უჩინარი შარდავსო. ერთხანს გაუნძრევლად, გამტერებული ვუყურებდი. ნაკადი არ ჩერდებოდა და გუბეს აყენებდა უკვე. ბოლოს კედელთან მივედი და გავარკვიე, რო პატარა ნახვრეტიდან ასხამდა. თითი მივაჭირე და ნაკადი შეწყდა. ავუშვი და ისევ წამოვიდა. მთლიანად გავილუმპე, მაგრამ სიტუაცია ისეთი აბსურდული და სასაცილო მეჩვენა, ხარხარი დავიწყე გიჟივით. ამასობაში ნაკადმა ნელ-ნელა იკლო და ბოლოს შეწყდა. გამოვიღე კარადიდან ძველი მაისური და იმით მოვწმინდე იატაკი. მერე მაისური ნაგვის ყუთში ჩავავადე და ისევ ბლოგს მივუბრუნდი. ვერაფერი დავწერე. ავედი ზედა მეზობელთან და რო გამომხედა, ვუთხარი, თქვენგან, მგონი, წყალი ჩამომდის და მიხედეთ-მეთქი. ჩემგან ვერ ჩამოგივა, გამართული მაქვს ყველაფერი, თუ გინდა, შემოდი და ნახეო. ხელი ჩავიქნე და ჩამოვედი.

შემდეგ დღეებში ვწერდი ბლოგს, ვსვამდი არაყარეულ ჩაის და მთის და ვარდების ნაცვლად კედლისკენ, იმ წყეული ნახვრეტისკენ, მიმირბოდა თვალი. წყალი ჭერიდან რო ჩამოსულიყო, უფრო ლოგიკური იქნებოდა. შევუდგამდი ვედრის, გავიხსენებდი ყველა იმ წინგსა და ფილმს, სადაც ლარიბ ტიპებს წყალი ჩამოსდით ხოლმე სახლში, და მოკლედ, ცოტახანს სიამოვნებით ვიქნებოდი რომანტიკულ განწყობაზე, სანამ ზედა მეზობელს ვაგინებდი და წყალსადენის ოსტატს დავურეკავდი, მაგრამ აესე უაზროდ, ზედ შუა კედლიდან გამოფსმული წყალი, რომლის მიღმა არც სხვა ბინა იყო და საერთოდ, არც არაფერი, ცოტა მაბნევდა.

ორიოდე კვირის შემდეგ, გვიან ღამით მოვედი სახლში და თან მოვიყოლე მავანი გოგო. ლიტერატურულ საღამოს დავესწარი, რო მერე ამ საღამოზე რეზიუმე დამენერა. ოღონდ რამეზე რამე დამენერა და ყველაფერი ვწერდი. ოღონდ ვორდის ერთი ფურცელი შემეგხო. ერთი ვორდის ფურცელი კი ერთი კვირის სამყოფი ფულია. მთვრალეები ვიყავით. გოგო სკამზე შედგა და ლექსების კითხვა დაიწყო — პოეტი გამოდგა. მერე გამოვათრე მატრასი შუა ოთახში და ჟიმოზა დავწყეით. სწორედ ამ დროს ისევ გამოასხა იმ დედადივთებულმა კედელმა. თითქოს დავვიმინაო. გადაგვასხა ზედ და გამოგვაფხიზლა ორივე. გოგოს აუტყდა სიცილი. ველარ გაჩერდა. უყურებს კედელს და კვდება სიცილით. მე არ მეცინება. და აღარც სექსი გამოდის გოგოსთან, რომელიც სიცილით იჭაჭება. გამოვუძახე ტაქსის და სანამ მოვიდოდა, ვისხედით და შადრევანს შევყურებდით. მეთქი, რა გაციინებს, შეჩემა. რა გაციინებს. ჩავსვი ტაქსიში და შემოვბრუნდი. ნაკადი შეწყვეტილიყო, მაგრამ იატაკზე ჩუსტი ტივტივებდა, ისეთი გუბე იდგა. გამოვიღე კარადიდან მაისური, რაც ხელში მომხვდა და იატაკი მოვწმინდე. წმენდას რო მოვრჩი, თენდებოდა უკვე. დავწეკი და დავიძინე.

წყალსადენიდან იყენენ. შეამონმეს გაყვანილობა და აღმოჩნდა, რო არც ზედა მეზობლის და, საერთოდ, არც არავის ბრა-



ლუკა ბაქანიძე

წვარიული სახლი

ლი იყო — უბრალოდ, ლამის სამი საუკუნის ხნის შენობას შესაბამისი წყალსაკანალიზაციო სისტემა ჰქონდა. დამპალია მთელი მიღებო, მუშამ. აქამდე რო გაძლო, სალოლო. მეთქი, ჰოდა, გამოცვალეთ, ეს დედანაქაჩი, თორემ ასეთი რენდომ შხაპები შუა ოთახში ძან არ მომწონს, მეგობარო. არც ეგ გამოვაო, მუშებმა თქვეს, ისეთი ასაკის სახლია, ჩაქური რო მიარტყა მთლიანად დაიშლებაო. მერე დაშალეთ და ააშენეთ ნორმალური — უკვე ცყვიროს. რალა მაინცდამაინც ჩემს ბინაში ხდება ესე ყოველი. ესაა სიმყუდროვე, მე ამათი? და ერთმა მუშამ — ეს სახლი არიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ვერ დაეღებო ხელი — ამ უბნის გამგებელი ვიყავი ადრედ და ვიცო; ვერა ნახე, რა ძეგლები აქვს გარედან მიმაგრებული, ანდა ცხენების მისაბმელები კართან ვერა ნახეო? მერე ეგ ცხენის მისაბმელი რაში მარგია — ყოფილ გამგებელს და ახლა მუშას ვეუბნები — მე რომელი ზორო მნახეთ, მაგის დედაც!

ორიოდე მაისური რო გადავირჩა ტანსაცმლის კარადაში, ავდექი და იატაკის სანმენდი ჯოხი ვიყიდე. ბინის ძველ მეპატრონეს ვურეკავ ერთი კვირაა, არ იღებს. ბოლოს მივაღეკი სახლში, ჩემს ყოფილ სახლში, რომელშიც ეს წყეული ბინა გადავუცვალე. გაუყიდა და გამქრალა. შემრჩა მოკლედ ესა. ცხენის მისაბმელებით. ამას ახლა არც არავინ გადამიცვლის, არც გაიყიდება იმ ფასად, ნორმალური სახლი რო ვიყიდა: უკვე ძალიან ეტყობა, რაც არის. ვინც არის. ქუჩაზე რო ამოვდივარ და სახლის კედელი გამოჩნდება, მეჩვენება, რო მოძრაობს. ვილაც ძალიან ბებრის, ხანდაზმულის სხეულს, კანს ჰგავს, ნაოჭებით და ხალეებით, და ყმანვილობისდროინდელი დიდი იარით, და იბურცება, როცა სუთქავს. საღებავგაცილილ აგურის ფერს შერევია მომწვანო ლაქები, ნესტისგან გაჩენილი, და ობივით თუ ქაფივით მოსდებია ზედ თეთრი ზოლები. თითქოს იდგა თავისთვის ამდენი წელი და მე რო დამინახა, მე რო შევბაჯე შიგნით, მერე დაიწყო კვდომა. ნგრევა. ლპობა.

გადის დრო და ის ნაზი ჩინური ვარდის ყლორტები, ასე რო მომხიზლა თავიდან, გადაიქცა დაბურულ ეკლნარად. ისე სწრაფად იზრდება, ვუყურებ, ჩემს თვალწინ როგორ მოცოცავს ფანჯრის ჟანგის რიკულზე. სეკატორი ვიყიდე და როგორღაც

ვახერხებ გაკაფვას, თორემ გარედან შემოსულ დღის და მზის შუქს არ უშვებს უკვე შიგნით და მთელ ბინაში მომწვანო ბინდი დგას, როგორც წყალქვეშ. გავკაფავ, გავისისხლავე ხელებს ამ წყეულ ეკლებზე, დაიძვრება თითქოს შუქიც, აავსებს შემოსული მზე ოთახს, გაფანტავს მთვლემარე ბინდს, მოვდივარ ხასიათზე. და ორიოდ დღეში ისევე ჩამობურავს ეკლიან ფარდას. როგორც დავაკვირდი, მარტო ერთხელ ყვავის ნელინადში, და ამ დროს სახლი გარედან ძალიან ლამაზი სანახავია. უამრავი ტურისტი მოდის. ფოტოებს უღებს. ინტერნეტში რომელიღაც კატალოგშიც ვნახე ჩემი სახლის ფოტო, როგორც ქალაქის უნიკალური ხედი. და ამ ფოტოზე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შიგნით ბაფთებიანი მხიარული ბავშვები და მათი უზრუნველი დედ-მამა ცხოვრობდნენ. ჰეფი ჰოუემის ტიპურ ნიმუშს გულისხმობს ამ ფოტოებზე ჩემი სახლის გარე იერი. და რა იციან უცხოელებმა, კატალოგში ფოტოთი მოხიბლულნი რო მოინევენ აქეთ, ეს სახლი ტყუის. რო ჩემი სახლი ბოროტია. და ვყავარ შიგნით მოქცეული მარტოკაცი, თავის მყრალ სტომაქში, და ფეთქავს და თრთის, ვითარცა ცოცხალი.

სამი-ოთხი თვეა, აღარ გაუსხამს. დამავინყდა კიდეც. დილაობით აღარ ვიხედები კედლისკენ. სტატიების წერის საქმეც წავიდა წინ. ფანჯრებზე ეკლნარის კაფვასაც ისე შევეჩვიე, ერთხელ არ მეკანრება ხელი; უცებ დავსხიპავ სეკატორი და ეგაა. წლის საუკეთესო ბლოგერის ნოდებაც მოვიპოვე, თავისი დიპლომით და პრიზით. დიპლომი კედელზე დავკიდე, ჰეკლბერი ფინის დიდი პოსტერის გვერდით. საერთოდ, სულ ვთვლიდი, რო ის ხალხი, მწერლები თუ სპორტსმენები, საკუთარ დიპლომებს თუ სიგელ-მედელებს რო გამოფენენ ხოლმე კედელზე, მაგარი გოიმი ტიპები იყვნენ. მაგრამ რო ჩამივარდა ხელში მეც, აღარ მეგოიძება. ავხედავ და მემამყება. შეიძლება, მეც გოიმი გავხდი და ვერ ვხვდები? რომელი გოიმი მიხვდება თავის სიგოიმეს... ვერცერთი.

ჟურნალისტებმა დარეკეს. საუკეთესო ბლოგერი რო ვახდი, ინტერვიუ გვინდაო. მეთქი, ოკ, რატომაც არა. ნეტ-პორტალების ლმერთი ცნობილ ბლოგერს მეტ ჰონორარს გადაუხდინა. მისამართი ვუთხარი, ოღონდ ისე, პირდაპირ ცხენის მისაბმელე-

ბიან სადარბაზოს რო მოდგომოდნენ: არ მინდა, ის გამომპალი კედელი ნახონ. მოვანესრიგე ოთახი, მოვწესრიგე მეც და ჟურნალისტებიც მოვიდნენ. დადგეს ოთახში პროექტორი, აქეთ კამერა, ჟურნალისტი ჩამომიჯდა წინ და მეკითხება რალაცებს. მეც ვზივარ სავარძელში ფეხიფეხგადადებული და ვპასუხობ. უცებ მეკითხება — ძნელია ბლოგების წერა? მახსენდება ჩემი სისხლიანი ხელები და კარადა მაისურების გარეშე, და სიმწრით ვიღიმი — არც ისე... არც ისე... და ამ დროს რო გამოასხა! ადრე თუ ერთ ნაკადად, ერთი ადგილიდან მოჩქეფდა, ახლა ჯერ რალაც უცნაურმა ხმამ დაუარა მთელ ოთახს, თითქოს ვილაცის მუცელში ვზივართ სუყველა და მუცელი ბუბუყებს თუ ყურყურებსო — როგორც მოპივებულზე იცის ხოლმე, და უცებ წამოვიდა ყველა მხრიდან. ძველი ადგილიდანაც გაასხა და ჟურნალისტი განუწა. მეორე ნაკადმა სხვა მხრიდან გამოსჩქეფა და პროექტორი განბანა. პროექტორი აშიშინდა, იფეთქა და ჩაქრა, თეთრი კვამლი აუშვა. ამასობაში ჭერიდანაც კლასიკურ სტილში დაუშვა შხაპმა და ტბა დააყენა. ოპერატორი იგინება, ჟურნალისტი კვის ბოლო ხმაზე, მე კიდე ვზივარ ფერწასული სავარძელში და კამერას ვუღიმი — ეგ არაფერია, ხალხო, ახლავე მივხედავ! და ამიტყდა ხველება, კვამლი იდგა ოთახში ნისლივით. ჟურნალისტები გაიქცნენ, ყავაზეც არ დამეწვივნენ. გამოვიღე იატაკის ჯოხი. კარადაში ჩემი საყვარელი მაისურიღა დარჩენილიყო და სვიტრებს მივადექი. წამოვაცვი იატაკის ჯოხს ძველი სვიტრი და დავიწყე წმენდა... ტილო მაინც მეყიდა, ამის დედაც. თუ იყიდება საერთოდ. არ მიყიდა ცხოვრებაში.

ჟურნალისტებმა გამანიუსეს. არც გადაცემა, არც ჩვენი კითხვა-პასუხი — პირდაპირვე „სად და როგორ ცხოვრობს ცნობილი ბლოგერი“ — სათაურით, და ჩემს ბინაში დიდი განბანვის ვიდეოკადრებით. არც ის დამპალი კედელი დავინვიბით გარეთ. თავიდანვე გადაულაით. ვიდეოში ვზივარ სავარძელში სველი, ჩამონუწული თმებით და ვიღიმი ფერწასული, ნიუსი კი მთავრდება სადარბაზოს კარის თავზე ბარელიეფის მსხვილი ხედით. ჩართე ტელეო, მეგობარი მწერი და რო ჩაერთო ლეპტოპი და ვუყურე, კედელს ვეცი და ადამიანივით დავუწყე ცემა, თან ვაგინებ ბოლო ხმაზე. ვურტყამ მუშტებს, ვერ ვგრძნობ ტკივილს. მერე გადავედი ნიხლებზე, და თითქოს ყოველ დარტყმაზე იზნიქება და თახთახებ კედელი, ცოცხალივით. და ბოლოს რალაც გატკაცუნდა, გავუტყე ალბათ ნეკნი, და ბათქაშის ნატყელები ჩამოცვივდა ზემოდან, ქერტილივით დამეფინა თავზე და მხრებზე თეთრი მტვერი... მართალი უთქვამს ყოფილ გამგებელს და ახლა მუშას, ერთი რო მიარტყა, ჩამოიშლებაო.

გავიდა ოთხიოდ წელი. სახლის ეს ფრთა დატოვა უკვე ყველამ. ზედა ორი სართული ცარიელია. არავის უნდა ნანგრევებში სიკვდილი. მელა შემოვრჩი. სეკატორს აღარ ვხმარობ და ბინაში მუქი მწვანე ბინდი დგას დღისით, ისეა ჩამობურული. და ვცხოვრობ ვილაცის სტომაქში, და სახლში გადაადგილების დროს სითხის წინაღობას ვგრძნობ, ნელა და მძიმედ ვმოძრაობ. წვერი მოვუშვი ბენ ლადენივით. მეზარება გაპარსვა. ხანდახან ოთხივკუთხივ გადამოსჩქეფს წყალი. ფეხებზე მკიდია. იატაკის ჯოხი უქმად მიგდია სადღაც. ვზივარ და შევყურებ გუბეს იატაკზე. ქვემოთ არკაა და იქ მონანკარებს წყალი, როცა ჩემს ოთახში იწრეტება იატაკის ფიცრებს შორის. ვცადაე ახალი ბინის მოძებნაც. იყვნენ კლიენტები ბევრჯერ. მაგრამ არავის უნდა ეს სახლი. არც საყილად, არც გადასაცვლელად. პირველად შევრჩი ერთ სახლს ამდენი ხანი. დროდადრო გარეთ ჟრიამული ისმის: გიდი მოიყვანს ხოლმე ტურისტებს და უყვება რალაც სისულელეებს, ტურისტებიც იციან და ფოტოებს იღებენ გაუთავებლად. როცა ფანჯრებზე ყვითელი ვარდები აყვავდება, ის რამდენიმე დღე კი ტურისტების ტევა არ არის ჩემს ქუჩაზე. გავყურებ ბენდირ, უზრუნველ სახეებს და ლამის ერთი გემოზე დავუღრიალო: ნუ იცინით! ნუ ხართ ბენდირები, თქვენი დედაც! რამეთუ თქვენს წინაშე სახლი-მკვლ-


ელა! და მიგლოვით მე, ადამიანი, შიგნით გამომწყვდეული, რომელიც სახლთან ერთად ინგრევა ნელ-ნელა...

რახანია, ბლოგებს და სტატიებს ვეღარ ვწერ. ჩემს ბოლმთან და ბოროტ ტექსტებს ქვეყანაში ერთადერთი ბულვარული გაზეთი თუ მიიღებს მხოლოდ, კაპიკების ფასად. ჰოდა, მეც ვწერ გესლით ალსავსე პასკვილებს პოლიტიკაზე. ხანდახან რომელიმე პოლიტიკური პარტია დამიკვეთავს რაიმეს მოწინააღმდეგე პარტიის ლაფში ამოსასვრელად და მეც გადავდევარ პოლიტიკოსიდან პოლიტიკოსზე. აღარც მრცხვენი უკვე, რო ასეთ სიბინძურეს ვწერ. ფეხებზე მკიდია, ძველი ნაცნობ-მეგობრები თავს რო მარიდებენ კაი ხანია. მოცალეობის დროს სოც-ქსელებში ტროლის ან ბოტის ფუნქციასაც წარმატებით ვითავსებ. ხანდახან ავხედავ კედელზე დაკიდებულ საუკეთესო ბლოგერის სიგელს და ვიკრიჭები მგელივით. მოჩვენებასავით დავიარები სახლის მწვანე ბინდში და კბილებში ვცრი — შენი ბრალია. შენი ბრალია. თან ნიხლს ვურტყამ სახლის კედელს. ისიც ყრუდ კენესის და რომელიმე მორიგ ჩამტვრეულ ძვალს ჩამომავშენის თავზე.

ერთ დილას რო გავიღვიძე, ვიგრძენი, რაღაც ნებოვანი და სველი დამახოხავდა ლოყაზე. გიჟივით წამოვხტი, სწრაფად მოვიშორე ლოყიდან გაურკვეველი სუბსტანცია და იატაკზე გავაღვინე ტყაპანი. დავიხედე. წურბელასავით არსება დახოხავდა ძირს. ოღონდ დიდი. ლოკოკინას რო ნიჟარა არ ჰქონდეს, აი, ეგეთი. გავხედე სინესტისგან ჩამპალ კედლებს და ვხედავ, მთელ კედლებზე უნიჟარო ლოკოკინები და ცოცხალი საცეცების რხევით, და ბრწყინავ, ლორწოიან კვალს ტოვებენ... შემდეგ რა მომივიდა, აღარც მახსოვს. გონს რო მოვეგე, სახლის წინკარში, ზედ კართან ვინეკი და თავზე ორი პატრული და ერთი ამქუჩელი ნაცნობი ძიკაცი მდგა, რომელიც ხმის კანკალით უხსნიდა პატრულს: ღრიალი ისმოდა ფანჯარაში... ჯერ მე ვრეკე ხარი კარზე, ვაბრაზუნე, და რო არ გაალო, მერე თქვენთან დავრეკე...

ორი დღე ვესტიბიულში მეძინა, იატაკზე დავაფინე მატრასი. მარტო დასაძინებლად შემოვდიოდი სახლში. უკვე ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მექნა. გამიარა შფოთვამ, პანიკამ. მკაცრი ვიყავი და მშვიდი. და ველოდებოდი. რამდენიმე დღეში მესიჯიც მოვიდა გაბიბრე: „ვიმოკვ. სამხედრო ბაზიდან ვაყიდვს. ძველია, საბჭოთა ჯარის დროინდელი, მაგრამ უშუაბო. გატესტილიაო. სამი ცალია. რად გინდა კი მარა?“ საღამოს მანქანამ დაასიგნალა, გავედი და შემოვიტანე პატარა ყუთი. ოთახში, მაგიდაზე დავდე. მერე გავხედე კედლებს, სადაც უნიჟარო ლოკოკინები დახოხავდნენ და საცეცებს ამოძრავებდნენ — ახლა ხო დაგერხა. ახლა ხო დაგერხა — სახლს გავუღვიძე და კარადა გამოვალე. ბევრი არც არაფერი მქონდა დარჩენილი. უცებ ჩავკუჭე სალაშქრო ზურგჩანთაში რაც ხელში მომხვდა. ლეპტოპიჩ ჩავდე და თავი მოვუკარი. მერე მთელი ღამე შუქჩამქრალ ოთახში ვიდექი ფანჯარასთან და ვუსმენდი სახლის ფშვინვას. მზე ამოიწვერა თუ არა, ყუთიდან სამი ცალი დინამიტის კოჭა ამოვიღე და შევათავალიერე. ორს ჰქონდა მარტო ფითილი. სკოჩით შევკარი სამივე და ორი ფითლი ერთმანეთს გადავანანი. ასე ალბათ იმუშავებდა მესამეც, უფითილო. ბავშვობიდან ჩემს საყვარელ ფანჯარაში, ვესტერნებში, თუ მინახავს ასეთი დინამიტის კოჭები და მეღიმებოდა. ესეც ზორო, შენი, პეი, ცხენისმისაბმელებიან სახლო. ახლა ავაფთქებ ყოველ შენს საუკუნეს, ასე რომ უნდათ ჩემი გაჭყლეთა... სამი ერთად შეკრული კოჭა ოთახის კუთხეში დავდე, სადაც უკვე იმხელა ბზარი იყო, გარეთა პეიზაჟი მოჩანდა. შემდეგ ზურგჩანთა მოვიკიდე. ვიდექი და ფანჯარაში ვიყურებოდი, სადაც ანწიების ჟირაფისებრ კისრებს მზის პირველი სხივები ეხლართებოდა. მერე ზურგჩანთა ისევ მოვიხსენი, ძირს დავდე და მეც იქვე ჩამოვჯექი. სანთებელა ამოვიღე, სიგარეტს მოვუკიდე, ღრმა ნაფაზი დავარტყი და სიგარეტის ანთებული თავი მივადე ფითლს...

ბავშვობიდან მინდოდა ამის გაკეთება.



სამსახურიდან რომ წამოვედი, ბარათზე ზუსტად 5 ლარი და 47 თეთრი მქონდა. დიახ, ხუთი და ორმოცდაშვიდი. ასეთი ხალხი ვართ, სამლარიანი სასმელი (ან რამე სხვა) ფასდაკლებით ორი და ოთხმოცდავინდი ლის, რაღაც ეგეთი. ჰოდა, ზუსტად იმ დღეს გამოვიქეცი. გამოქეცევა ერქვა, აბა, რა. ახლა არ დამინყოთ! მეც თქვენსავით მეზიზღებოდა ჩემი სამსახური. ისე კი, ყველას უნდა უცინო, წესები კარგი აქვთ, იცოცხლებ. ვინ გეკითხება, გეცინება თუ არა! თვითონ კი დადიან გაბლენილები. აქაოდა, უფროსები ვართ, ასე შეგვშვნიისო. საერთოდ, მე ეგეთი ვარ, მიჩვენია, ადამიანს რაც აქვს გულში, სახეზეც ის ეწეროს, დამაღლებული არც სიცილი მინდა და არც რამე უკეთესი.

რას ვამბობდი... ხო, იმას ვყვებოდი, რომ რაღაცნაირად ისედაც არეული ცხოვრება ბოლომდე ამბებურდა და ყელში ამოსულ სამსახურსაც მინა მივყარე, ბოლოს და ბოლოს. ვერც ერთი სამუშაო ვერ მოგცემს იმდენს, რამდენსაც თავად აძლევ — ცხოვრების საუკეთესო წლებს. თან ხომ იცით აქაური ანაბლაურები — 400 ლარი და რამე. გამოცდილება ხუთწლიანი, როცა 20-სა ხარ და არასრულწლოვანს სამსახურში არავინ მიგიღებს. ხო, ლამის არ დამავიწყდა?! სამი-ოთხი ენა უნდა იცოდე, რაც მეტი — უკეთესი. მოკლედ, მაგარი აბსურდების ქვეყანა ვართ. რაცაა ეგაა. მე მაინც ყველაფერი მიჩვენია ჩემი ქალაქი. ასე მგონია, სხვაგან ვერსად ვიცხოვრებ-მეთქი. ისე, ორი ქალაქი კი მქონდა აკვირებული — ნიუ-იორკი და კიოტო მიყვარს, რაც ფოტოებში მინახავს. მაგარი აცდენაა, არა? სად ერთი და სად — მეორე, ყველაფრით განსხვავდებიან, რა ექნა, ორი უზომოდ მეღამაზება. ერთი ეგაა, ფრენის შემინია, თვითმფრინავს ახსენებენ თუ არა, მე ჩემი მემართება. სტატისტიკურად ყველაზე უსაფრთხოაო, ეგ ხო საერთოდ თავის გასულელება და მეტი არაფერი. თუ მოხდა, მერე სად მიდიხარ. და მე ხომ ვიცი ჩემი ამბავი, არა? ვიცი, მართალი ხარ, მეც მაგარი ჟიმჟიმი მაქო, მთვრალზე წამოვაცდენინე იმ ღამით დეიდა ალექსანდრას. ეგ რა გამახსენდა. ახლა არ გინდა, დეიდა ალექსანდრას აუხსნა ყველაფერი? აუჰ, ეს რა გამახსენდა — ალექსანდრა დეიდა. უკვე ვიცი, რასაც მეტყვის — თავისებურებს რო დაცხებს, ვინაა გამჩერებელი. ეს ბინის ქირაც ყელში მაქვს ამოსული. თან თებერვალიც, ჩემს ჯინაზე (კი, მეტი სადარდებელი არ აქვს), ოცდარვით არის. რაღა დარჩა.

გაჭირვებულს რომ ქვა აღმართი ეწევა და მიათრევს სიზიფსავით, მეც ეგ დამემართა და ერთი-ორი გაჩერების ფეხით გავლა გადავწყვიტე. არც ამინდი მიწყობდა ხელს და, მით უმეტეს, არც ხასიათი. რაც გინდა, ის თქვი, ეშმაკი თუ შეგიჩნდა ადამიანს, დამთავრებულია ყველაფერი. ცოდევა გამხელილი სჯობს და დილით, სამ-

სახურში ცოტა გადავკარი. მიყვარს ხასიათის გამოსაკეთებლად — განსაკუთრებით, ლუდს თუ შემომთავაზებენ. საქართველოში კარგ ლუდს კი ვერ დალევ, თუმცა მაინც მიყვარს. ზამთარ-ზაფხულ, მნიშვნელობა არ აქვს.

ადრე ამბობდნენ, ხელოვან ადამიანს უხდებაო, თუ ეპატიება, როგორცაა. სისულელეა. სტატისტიკის არ იყოს, ეგეც არიფების (ახლა ლუზერებს ეძახიან) გასაბითურებლად მოგონილი ამბავია. გალაკტიონი თუ სვამდა, მიდიოდა მერე და თავის ადგილს ანებდა. ერთი ლექსიც არ დაუწერია თურმე მთვრალს. ყოველ შემთხვევაში, ასე ნამიკითხავს და მომისმენია. ისტორიას კი არ ვენდობი, ყველაზე საეჭვო მეცნიერებაა, თუ რაც არის. ვილაც რაღაცას მოჩმახავს, მიდი მერე და არკვიე ტყუილმართალი. ვერც ვერაფერი დაამტკიცებ. გალაკტიონზე კი მჯერა რატომღაც, მეც არ ვიცი, რატომ.

თბილისის ქუჩის ასახვევთან ერთი ტურისტი გადამეკიდა. რა მინდოდა, წავსულიყავი სახლისკენ, დეიდა ალექსანდრასთან. კი ვთქვი, შემინდა ეშმაკი, მართლა არ სძინავს თურმე. ტურისტს, რა თქმა უნდა, ჭაჭის სუნი დაჰკრავდა. უცნაური ტიპი კი იყო. ტყუილივით მოკლე ფეხები და ნაბახუსევზე მყოფი კაცივით დიდი თავი ჰქონდა.

— სიგარეტი ხომ არ გაქვს? — პირდაპირ მომახალა ჭაჭისსუნინამა გატეხილი ინგლისურითა და ტურისტული თავაზიანობით.

დიდად არც მე მილხინს ინგლისურში, სამაგიეროდ ყალბ ლიმილს კი ვარ მიჩვეული და თავაზიანად გავუწოდე გულის ჯიბიდან ამოძვრენილი „სობრანის“ საცხე კოლოფი. სამი ლერი არ ამწანა იმ თავხედმა?!

— ერთი კვირაა, აქ ვარ და უკვე ველაფერს მაკლებს ეგ თქვენი ჭაჭა, — კი, ეტყობოდა. გავიგე, რასაც ამბობდა. არა, კი მესმის. უბრალოდ ვერ ვლაპარაკობ, როგორც ჩვენთან უყვართ თქმა, — ოთხმოცგრადუსიანი იყო თანაც.

— ჰო, — ვუპასუხე უხალისოდ. — მოდუნდი, მეგობარო, — გადამეკიდა ჭაჭისსუნინი, — ერთი, ეს მითხარი, ვინ ხარო, რა ხალხი ხართ, თქვენ, ჰა?

ჩვენ ვართ, რაც ვართ, ჩვენ ვართ! ერთი უცნაურობა გვჭირს უბრალოდ. თავის საქმეს ვერავინ აკეთებს, ყველა სხვა რაღაცაშია ჩაფლული. ფეხბურთელი ფეხბურთის არ თამაშობს, მწერალი არ წერს, მოცეკვავე არ ცეკვავს, ყველა პოლიტიკაშია თავით ჩამჭებული. იცი, რა, მე თუ მკითხავ, შენ რომ სახელმწიფო ხარ (თუ ხარ), მხატვარს ხელი უნდა შეუწყო — ხატოს, მუსიკოსს — მუსიკა შექმნას, ფილოსოფოსს — იფიქროს. ვირივით კი არ უნდა ამუშაო და ის ხელფასიც დაამადლო. თუ შეწყობა არ შეგიძლია, მინიმუმ ხელი მაინც არ უნდა შეუმალე. ლუდი რომ არ მქონოდა გადაკ-

რული, იქნებ თავიც მომება და მეთქვა როგორმე, რა ვიცი. მინდოდა, ასე ამეხსნა. ჭაჭისსუნინი მელოდებოდა, ვგრძნობდი, მოთმინების ფილა ევსებოდა. ვიტყვი, ალბათ. გაქცეულ ინგლისელს კი მოვაბრუნებ. რუსული ვიცი, კარგადაც, მაგრამ ეგენი გაიქცეოდნენ და სულ არ ამოვიღებ ხმას. პოლიტიკა და ამბები არაა ჩემი საქმე. არც ვერევი. ისე, სიტყვას მოვაცოლე.

— აბა, რა ხალხი ხართ?

არა და არ მანებებდა თავს.

ჩემი ოფლით ნაყიდ „სობრანის“ კი აბოლებდა მხიარულად.

უცნაური ხალხი ვართ, ძალიან უცნაური, ჭაჭისსუნინი. ვერ, ახალი წელიც ახლახან გავაცილეთ. ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც ჯერ ქრისტესობიდან დროის ათვლას აღნიშნავს და მერე თავად ქრისტეს დაბადებას. ჩვენ ის ხალხი ვართ, შვიდ იანვარს რომ ვუმდრით მაცხოვრის შობას: ოცდა, ოცდახუთსა დეკემბერსაა! მოკლედ, ჩვენ ერთი ლალი, კეთილი ხალხი ვართ, სტუმრის ფასი რომ ვიცით, სიყვარული რომ შეგვიძლია. მაგრამ ახლა თუ არ შემეშვები, ერთს კარგად გაცხებე ყურისძირში, მერე გაიგებ, რა ხალხი ვართ.

ის თუ ვერ ვუთხარი, ამას როგორ მოვაბამდი თავს?

ბოლოს, როგორც იქნა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. ვინ იცის, რა აღარ იფიქრა ჩემზე. ვის ადარდებს, ხვალ ვემახსოვრები თუ რა. თბილისის ქუჩას აუყვავ ბორძიკით, მე ქალაქის საათთან დავდექი, გაჩერებულზე.

ვაჰ, გავიყინე. ვიფიქრე, აქ დგომას აჯობებს, კიდევ ერთი გაჩერებაც გავიარო ფეხით-მეთქი. მწვანე ბაზრისკენ გავუყვები, თან იმ ტურისტზე ვფიქრობდი. ვითომ ჩემი პრობლემები არ მყოფნიდა, ახლა იმის სუშნიაკზე არ მეფიქრა. მიყვარს ეს სიტყვა, ვისაც გამოუცდიია, მიხვდება. ისეთია, არც უნდა ჰქონდეს ქართული შესატყვისი.

— მალლაფერიძე, — მომამახა ვილაცამ, — სად გაქვს ტელეფონი, ბიჯო.

— ლომბარდში, — ისე ვუპასუხე, არც გამიხედავს. მივხვდი, ვინც იყო. ჩემი კლასელი, დიდი ბუნტისთავი და პირველივე კლასიდან ყველაზე ნიჭიერი — გიგა მანაგაძე. მერე მივბრუნდი, ხელი გავუწოდე, მარცხენა ჯიბეში ჩავიციურე და ტელეფონი გამოვრთე. არ იცოდა, ნომერი რომ შევცვალე, სხვამ არ დამირეკოს-მეთქი.

— არ ეშვები, ხო? მოგკვდიო შენი ძებნით მე და ამირანა. სირცხვილი არ არის, ბიჯო? დედაშენი მაინც მოიკითხე ხანდახან, შენუხებულია ქალი.

— ხო, გამოვიტან ტელეფონს და დავურეკავ.

— გამოიტან არა ის.

— რა გინდოდათ შენ და ამირანს?

— კლასელები ვიკრიბებით და... სკოლის დამთავრების ათი წელი აღვნიშნოთ თუ რაღაცა...

— როგორც ხუთი აღვნიშნეთ?

— იცინე, ხო, იცინე. ჩვენ კი გკითხულობთ მთელი კვირა. სამსახურში მოვალთ და დამთავრა უკვე სამუშაო საათებით, გირეკავთ და გათიშულია, შეგვეშინდა მართლა. რა გაციხებს, ბიძია, ვიკრიბებით დღეს რვა საათზე.

— არ მიყვარს, გიგა, ეს ბანკეტები და ამბები, ხო იცი.

— ჩემი ხო გვეხატება გულზე. ერთი მოვილხინოთ ჩვენებურად და ეგ იქნება.

წავსულიყავი ჩემი გაჩერებიდან. არც გიგას ვნახავდი, არც იმ ტურისტს, მერე მთელი კვირა რომ მესიზმრებოდა. არ სძინავს, არა.

კლასელების შეკრებამდე საკმაოდ დიდი დრო იყო — ჩემთვის დიდი დროა შუადღიდან საღამომდე — და, როგორც იქნა, დავარწმუნე გიგა, აუცილებლად მოვალ-მეთქი. მერე მთელი თხუთმეტი წუთი ვიდექი მწვანე ბაზრთან, გაჩერებულზე, უსამსახუროდ და გაყინული.

აჰა, მოაღწია.

უკვე წვრილად ცრიდა. აქაური თოვლი ხო თოვლი არაა. თუმცა მე მაინც მიყვარს. გადათეთრებული უფრო ლამაზია ჩემი ქალაქი, ვზივარ ხოლმე და ვუყურებ გამტერებულს. ახლაც ასე დამემართა. ჩავფიქრდი, ჩავფიქრდი და როგორც იცის ხოლმე ასეთ დროს, ხეველა ამივარდა, ცხველებ და ვახველებ გამწარებული, გავწითლდი სახეზე. ოხ, ნეტა ახლა ლუდი თუ არა, წყალი მაინც ჩამაშვებინა-მეთქი, ვიფიქრე.



დასასრული

— პირბადე გაიკეთე, თუ ძმა ხარ, კორონა არ გქონდეს, არ დევიდუპოთ, — დამარიგა გვერდიდან ვალიკოსავით ულვაშინა კაცმა და თავისი პირბადე ნიკაპიდან თვალუბამდე აიწია.

— არა, ბატონო, რა კორონა. ფილტვების კიბო მაქვს, ბოლო სტადიის, მაგიტო ვარ ასე ძალღივით რომ მახველებს.

ყველას მოეშვა. ერთდროულად, ღრმად ამოისუნთქეს.

ვიხუმრე, რა თქმა უნდა. უნიჭოდ, როგორც მჩვეოდა, მაგრამ ხომ ვიხუმრე. სრულიად ჯანმრთელი და სუფთა ვიყავი.

ვგრძობდი, ისევე ხველება უნდა დამეწყო და ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვედი, ისედაც სულ სამი იყო მწვანე ბაზრიდან სახლამდე. ანუ ხველებით, ხომ? მაგარი სისულელე გამოვიდა. ჯერ სამი გაჩერება ფეხით ვიარე, შემდეგ ორი ავტობუსით და ერთი ისევე ფეხით.

ბირუა ცარიელი დამიხვდა. იმნამსვე ცუდად მენიშნა, სულ რომ ქვეყანა იქცეოდა, ხუთი კაცი მაინც დგას. ლუდი, მზესუმზირა და სიყვარული. კოვზი ნაცარში ჩამივარდა. არ უჩანდა იმ დღეს კარგი პირი.

— რა ხდება, კოკა? მურმანიჩი, რა ხდება, სადაა ეს ხალხი?

— ბაბუა გარდაიცვალა და სახლიდან გამომიშვეს, ნადი, ვინაა შენი ტოლიო, — ატირდა ბავშვი. რა მინდოდა, მივიდოდი სახლში და გავიგებდი.

დეიდა ალექსანდრა ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. მე მეხუთეზე მაქვს ნაქირავეები მისი ბინა. თვითონ მეოთხეზე ცხოვრობს, ჩემს ქვემოთ. აბა, რა, ზემოდან ქვემოთ სჯობსო, თავისი ჭკუით მასხრად მიგდებენ მეზობლები. კი არ მწყინს, რა სისულელეა. იმათ თავისი ცეცხლია.

— სამსახურიდან წამოვედი, დეიდა, — არ ვაცადე მისალეში შემოსვლა. არ მიყვარს ეს შეპარება და ამბები, მიდი, უთხარი პირდაპირ.

— უყურე შენ, — შეიცხადა და ხელები წელზე შემოიხედა, რა წელი ჰქონდა, წვრილი, გამოყვანილი, — აბა, ახლა რა უნდა აკეთო?

- გადაგიხდით როგორმე ქირას.
- უზრდელი ხარ შენ.
- რატო, ადამიანო?
- სულ არ მომიცე თუ გინდა, მაგიტო არ გეკითხები.

— მაშინ ის უნდა ვაკეთო, რაც ყველაზე კარგად გამოდის, — გავთამამდი, ხასიათიც გამომიკეთდა, — დავხატავ.

— ტოჟე მნე ვან გოგ, — კბილებიც როგორი ჰქონდა.

მართალი იყო, რას ერჩით. ერთი ის ვერ გავიგე, ეს ვან გოგი საიდან იცოდა. რომ გეკითხათ, მეორე მხატვარიც მითხარო, ვერაფერს გიპასუხებდათ. ეგრეა, ვან გოგი ყველამ იცის, ყველაფრის საზომია.

თითქმის ერთი წელია, ვიცნობ და უხასიათოდ არ მინახავს. აბა, სადაური დეიდაა. რა დეიდა, რის დეიდა. ასაკითაც, ჰა-ჰა, შვიდი-რვა წლით დიდი იყოს.

ალარაფერი უთქვამს, გაბრუნდა და ისე წავიდა, როგორც იცის. თქოები ისე მოძრაობდნენ, მეგონა, გული წამივიდოდა. ბიჭები ამბობდნენ, იქ, ბირუაზე — თქოების ქნევა და კიდევ ერთი რაღაცის კეთება იცის კარგადო, თან ბოროტად ხითხითებდნენ.

კაცმა რომ თქვას, აქაური ბიჭები მაგის გამო დამიძმაცადნენ. მიდი, ბიჯო, გაანძირე ტრაკი, მიდექ-მოდექი, ნომერი მაინც გაგვიგე, აბა, ფეისბუქი მაგას არ აქვს და არაფერი, შენ გარდა ვინ იზამს ახლა მაგასო, მაქეზებდნენ თავისი ჭკუით. ცოდვა გამხელილი სჯობს, ნომერიც მაგათ გამო შეეცვალა, დღე და ღამე მირეკავდნენ.

წინა წელს, როდესაც აქ გადმოვედი, დეიდა ალექსანდრა ჯერ კიდევ ფსიქოტროპულზე იჯდა, როგორც ამბობენ. საშინელი გამოთქმაა. ისე ვერაფერს შეატყობდი, მაგრამ შეიძლება, მთელი კვირა არც გამოჩენილიყო. მეგონი, სულ სახლში იყო გამოკეტული. მერე ნელ-ნელა გადაადგო, ვერც ამ გამოთქმას ვიტან, თუმცა როცა ადამიანი „ფსიქოტროპულზე“ ზის“, იმას „გადაგდება“ უხდება. ჰოდა, ასე. ფსიქოტროპულზე ვისკით გადაადგო. მე არასდროს მინახავს, როგორ სვამდა, თუმცა რამდენჯერმე ნაგავში შევიწინე ჯეკის ბოთლი. მშვენიერია.

სანოლზე მივეგდე და ფიქრებში გადავეშვი. გეგმებს ვანწყობდი, მე როგორ გადა-



მეგლო კლასელები. თან მინდოდა, რამე დამეხატა, აბა, სამსახურიდან რისთვის წამოვედი. მერე უარესი გამახსენდა, კოკას ბაბუა რომ გარდაიცვალა და პანაშვიდზე ვიყავი გასასვლელი, სხვა რაღაა მეზობლობა, იმ დროს თუ არ უთხარი, რამე დაგჭირდება და აქ ვარ, არ მოგერიდოსო.

ზარის ხმამ გამომაფხიზლა. ამ კარს ყველა სხვა კარისგან გამოირჩეული ზარი ამშვენებს. „ვახ, — გავიფიქრე, — ვინ უნდა იყოს, მთელი წელია, სტუმარი არ მყოლია, რაღა ახლა მოუნდათ, ჩემი გამჭირვება“. კართან ახალგაზრდა, დაბნეული ბიჭი იდგა.

— ეს ალექსანდრა კარპენკოს სახლია? ანუ აქ ცხოვრობს, — ძლივს ამოუშვა სიტყვები. ამ სიტყვები როგორია, იარე ფეხით მთელ ქალაქში. აბა, ტრანსპორტით თუ მოივლი ყველა უბანს, ხელფასი რაღა დარჩება?

— ჰო, ალექსანდრა, — არც მე დავაკეული დაბნევა, — გვარი არ ვიცი, კარპენკო იქნება, ალბათ. სხვა ალექსანდრა აქ არავინ ცხოვრობს, ამ უბანში.

— გზავნილია, ჩაიბარებთ? ხელი მოვანერე. მოვანერე და მერე დაინყო, რაც დაინყო. ეშმაკი ხომ დიდიდანვე შემოჩენილი მყავდა, არ მომასვენა და არა. არც ფეხით უნდა გამეველო ის ორი გაჩერება, ვერ ვნახავდი იმ ჩემს კლასელს, ნიჭიერ გიგა მანაგაძეს, ტურისტიც სხვას ჰკითხავდა, რა ხალხი ხართ თქვენო და ვინ იცის, იქნებ წესიერი პასუხი მიეღო. ჰოდა, ხომ შეიძლება, კურიერის მოსვლისას კოკას ბაბუასთან ვყოფილიყავი, მტერი მივიდა იმასთან უკვე. მაგრამ არა, მე მოვანერე ხელი და ჩავიხარე.

რაც ყველაზე მეტად მეზიზღებდა, ის გავაკეთე — სხვის საქმეში ჩაყვავი ცხვირი — გზავნილი გავხსენი. არაფერი უცნაური იქ არ დამხვედრია. რაღაც ნივთები იყო სრულიად გაუგებარი, თუმცა მკაფიოდ გასაგებნი წარწერით: დაბადების დღეს გილოცავ. მიყვარხარ.

უფრო უცნაური მერე დამემართა. თავში ეჭვიანობის ცული ჩამესო, თავშიც და გულშიც. რა მაეჭვიანებდა, რის გამო? ეგ კიდევ არაფერი, ყველაზე უარესი მერე გავაკეთე. ის საჩუქარი საგულდაგულად ჩავეკეტი კარადაში, წერილი დავხვიე და ჯიბეში ჩავეკეტი.

დეიდა ალექსანდრას დაბადების დღე. ალბათ ოცდაჩვიდმეტის გახდა. შეხედავ და ოცდაშვიდის გეგონება, მეტის — არა.

ალარც კოკას ბაბუა მახსოვდა, მურმანის მამა, მით უმეტეს — კლასელები. ღამდებოდა და უნდა მიმესწრო, სწრაფად დავემვი კიბეზე.

ტყუილიც აღარ გამოვიდოდა, როგორმე მივასწრებდი ლომბარდს, ოლონდ დაკეტილი არ ყოფილიყო — ექვსის შემდეგ, ზამთარში განსაკუთრებით, ქალაქი უკვე ღრმა ძილშია.

იმდენი ჭკუა კი მყყო, ტაქსით წავსულიყავი და დრო არ დამეკარგა.

რამდენიმე წუთით რომ დამეგვიანა, ის ორი გაჩერება ფეხით რომ არ გამეველო, კლასელთან რომ წავსულიყავი...

— მოდი, რა, ამ ერთხელ მომეცი 350

ლარი, ერთ კვირაში გავიტან და თვალთ ვეღარ მნახავ, ვეღარასდროს.

— აბა, კი. ჰა-ჰა ათი დღე დამომადგები ისევე აქ. ტექსტი მაინც შეცვალეთ, რა ყველა ერთნაირები ხართ.

— კაცო, შენ აქ მევახშე ხარ თუ მღვდელი, რას ქადაგებ? — აქეთ ვიყავი დიდ გულზე, — თუ მძალე მომეცი, თუ არადა ამ დასაწვავ ლომბარდებს მიაქვს მთელი ქალაქი.

— მევახშეები შენკენ მოიკითხე, ვმუშაობ მე აქ.

— მიდი რა, მონიკა, რაღას მალაპარაკებ, როდის არ გამოიტანია. პროცენტი დროზე შემომაქვს, გატანითაც დროულად გამაქვს, ატრაკებ, რა.

ასე იყო თუ ისე, 350 ლარი მივიღე და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი სავაჭრო ცენტრისკენ. სუნამოს სახელს ვერ ვიხსენებ, რაღაც გრილი სუნი კი დაჰკრავდა. აღარ მეჩქარებოდა. ნელა მივდიოდი ალკოჰოლის მაღაზიისკენ და სიგარეტს ვაბოლებდი. „ვახ, ნეტავ ვინ მისწერა ის წერილი. ან რაღა დროს ეგეტებია, — ვფიქრობდი, — ისე, რა ექნა, ფეისბუქი ამას არ აქვს და არაფერი. ქმარი თუ იქნებოდა, ან ყოფილი ქმარი, რა მნიშვნელობა აქვს“.

მაგარი დასანახი კი ვიქნებოდი სუნამოთი და ჯეკის ლიტრიანი ბოთლით.

სახლამდე რომ მივალნიე, საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. ჩემი კლასელები ალბათ ახლა მართლა იკრიბებიან-მეთქი, ვიფიქრე. ერთი, რაც ზუსტად ვიცი, თამადა თავგასივებული საბა გურგენიძე იქნებოდა და ყველას სათითაოდ ჩაჰყვებოდა პირში, სანამ ყანს არ გამოაცლებებდა.

ეგეთი ტიპია, რა, გიფდება, როცა ხედავს, მისი მეგობრები როგორ ბანაობენ საკუთარ ნარწყევში. მოკლედ, ამაზრზუნო ბიჭია. თავის სიცოცხლეში 6 ქულაზე მაღალი არ მიუღია. ახლა, მეგონი, რომელიღაც კომპანიის მენეჯერია, დისტრიბუცია და მთელი ამბები. ისე, კაცმა რომ თქვას, დღემდე არ ვიცი, რა უარესია — რაც მოხდა, თუ რაც მოხდებოდა, ჩემი იქ ყოფნის შემთხვევაში.

დეიდა ალექსანდრა არა და არ ჩანდა. მე ვიჯექი სახლში გასულელებული. სუნამოთი და ჯეკის ლიტრიანი ბოთლით, აქაც არ ვიქნებოდი ნაკლები დასანახი. რაღაც ტკბილეულობებიც ვიყიდე, არ დამავინყდეს. აბა, რა მექნა, ასეთ სასმელს ქოთნის ლობიოს ხო არ დავაყოლებდი? ცოდვა გამხელილი სჯობს — ეგეც მიქნია, ან პრობლემია. ტრაგიკომედია ნალდა.

მეგონა, ყველაფერი გავიგე უკვე-მეთქი. თურმე ჯერ სად ხარ, გაოგნება მერე გენახა, სადღაც ორი-სამი საათის შემდეგ. დრო ხომ უნდა გამეყვანა, სამსახურიდანაც საპატიო მიზეზით წამოვედი, ხატვისთვის მეტი დრო უნდა დამემთო. ჩვენ, ძამიკო, ხელოვანი ხალხი, ჩვენ ვართ, რაც ვართ, უცნაურები, ამოუცნობნი. გალაკტიონი — „უცნობი“. მაგარი წიგნი გამოვიდა, ქედს ვიხრი ავტორის წინაშე — თან ერთი სქალაქიდან ვართ და ხომ იცით ხელოვანთა სოლიდარობის ისტორიები?! არ ვარ მხატვრული ლიტერატურის მოყვარული, თუმ-

ცა როცა დოკუმენტურ პროზას ეხება საქმე, სხვა კაცი ვხდები. ირვინგ სტოუნის „უცნობი“ და მთელი თავგადასავლები.

იმას ვამბობდი, დრო უნდა გამეყვანა-მეთქი და გადავწყვიტე, დამეხატა. სადაა ეგრე, მუზა უნდა მოგივიდეს და დაინყო, ისე კი არა, მე რო მივხეხეთ ქატარა ბავშვივით. ჰოდა, უცებ მივხვდი, მაგრამ მინდოდა, ჩემი „ხაზიკა“ დამეხატა (როგორც ბიჭები ეძახდნენ, მასხრად როცა გვიგდებდნენ ორივეს). არც ეგაა მარტივი საქმე.

პორტრეტს თუ ვხატავ — სულ რამდენიმე მაქვს ეგეთი — სახეს უნდა ვხედავდე, იჯდეს ჩემს წინ და ჩემი სჯეროდეს. თვალები დავხუჭე და... არაფერი გამოვიდა, მის სახეს ვერ ვიხსენებდი. „სულ თვალწინ მიდგას, დასანვაგი, — კარგად გამოვლანძღე თავი, ახლა რა დამემართა“. ერთი გულიანად გადავაფურთხე. როგორც გინდა, ისე დახატე, მიბრძანა რაღაცამ შიგნიდან.

ფერები იყო... რა ფერებს ვიყენებდი, ნეტა იცოდეთ.

როგორც შეეფერებოდა ზუსტად ისეთს. ერთი ეგ იყო, მაგამი არ შეეცდებოდი არაფრით. „ტოჟე მნე, ვან გოგ“.

როდის დავამთავრებდი, მაგის განსაზღვრა არ შემეძლო, მაგრამ საქმეს მაინც ნავიგდებდი წინ. დაწყება მთავარი. ეგ კიდევ არაფერი, დაწყებით დაიწყებ, მეორედ მისვლა, გაგრძელება ყველაზე რთული.

მაგასაც თუ შეძლებ, მერე მიდის და მიდის. შენც მულამში ხარ, დაამთავრებ და ყველაზე მაგარი გრძნობა მერე გეუფლება — თავისი უფლება, განდიდების მანია.

დრო გამეფანტა. ვინ გამომაფხიზლებდა, ქალბატონი დაბრუნდა. ზარი, ოხ, რა ზარი ჰქონდა იმ დალოცვილს.

— ახლავე გამოვალ, ხუთი წუთი, რა, მეტი არ მინდა, — დავუძახე და ვიგრძენი, გული საგულეს აღარ მქონდა.

ერთი ჩვევა მაქვს ხატვის დროს, საიდან მომივიდა, ვის დაფუნახე, არ ვიცი. ალბათ არც არავინ იზამს ჩემნაირი ჭკუათმყოფლის გარდა. რა ფერებსაც ვიყენებ, ყველა სხეულზე გადამაქვს. მოიცა, მოიცა. ანუ რას ვაკეთებ: თითებს ვიღებ, მერე რომ არ დამავიწყდეს მუშაობის გაგრძელება. ეს ისე, მიზეზია. სისულელე.

ხუთი წუთის მერე, კარს რომ ვაღებდი, თითები აჭრელებული მქონდა. რა ფერები იყო... ნეტა იცოდეთ...

შემომიშვევ ახლა, თუ როგორ იქნება ჩვენი საქმე, — გამინყრა. ესეც უხდებოდა. ბავშვს რომ ტუქსაცენ ტალახში თამაშის გამო, ზუსტად ისე მექცეოდა, დედაშვილური სიყვარული ყველაზე ნაკლებად მისგან მინდოდა. ოლონდ ეგ არა, რა.

შეფუთული იყო, ზამთარს როგორც შეეფერებოდა ისე, თუმცა მისი თქოები მაინც გამოკვეთილად ჩანდა. ნამდვილი ჯაშუშები იყვნენ. ნეტა თვითონ თუ აქცევდა ყურადღებას, ვინმე თუ ეუბნებოდა.

— ეს რა გიქნია, სულელი, ჰა-ჰა-ჰააა, — ხელებზე რომ დამხედა გულიანად გაიცინა, — ახლა მთელი კვირა ეგრე უნდა იარო.

უცებ, ისე, რომ არცერთი ველოდებოდა, საიდანღაც სუნამო გამოვაძვინე. „ეს დაბადების დღისთვის, რაც მოვახერხე, ეგაა, მცირედი“.

საკამზე ჩამოვჯდა, თუ ჩამოსხდა. ფერდაკარგულიც ისეთივე იყო, როგორც მანამდე. „ეს როცა მოკვდება, მაშინაც ახალგაზრდულად მშვენიერი იქნება“, — გავიფიქრე ინსტინქტურად. წყალი მივანოღე.

— რა იცოდი? — ძლივს ამოილულულა, შემეცოდა, რა სჭირდა ჩემი შესაცოდებელი, მაგრამ რაღაც ხდებოდა, სხვანაირი.

— მე ყველაფერი ვიცი, ალექსანდრა დეიდა, რაც თქვენ გეხებათ.

— ხომ ვამბობ, სულელი ხარ ნამდვილი, — გამიღმია.

მერე ვსვამდით. ვსვამდით უაზროდ, უგანაჩენოდ. იმ დროს ვინმეს რომ დავენახეთ, ირლანდიელს, ან შოტლანდიელს, იმ ჯეკის ბოთლითვე გავვიხეთქავდა თავს, სრულიად სამართლიანად, სხვათა შორის. ვისკის ვსვამდით არყის პატარა ჭიქებით, როგორც — არაყს. დავასხამდით და, ჰოპ, უცებ გადავკრავდით. ყველა ასე სვამს საქართველოში, დიდი ამბავი. ვაშლის წვენი კი მქონდა ზუსტად შეხამებული. სადღაც გავიგე ადრე და დამამახსოვრდა, ძლივს არ გამომადგა!

— შენ გაგიმარჯოს, ალექსანდრა დეიდა...

— ბიჭო, შენ მართლა სულელი ხომ არ ხარ?! — შოკოლადიანი თითი ნაზად გაილოკა, მე ჩემი დამემართა, — სადაური დეიდა ვარ, ლამის ერთი ხნის ვართ, რას აიჩემე ეს დეიდა ალექსანდრა.

— ჰოდა, შენ გაგიმარჯოს, ჩემო ალექსანდრა, შენ ხარ ქალი! — ფუჰ, იმასავით გამომივიდა: „ქუთაისი ქალაქია“, აი, მესმის სლოგანი, თუ რაცაა, ქალაქი ყოფილა, ეს კიდევ ქალი, ახალი ამბავი, — შენ ხარ თუ ხარ, — სისულელეს ორმაგი სისულელე დაეყოლე.

იქით, კლასელებთან, საბა გურგენიძე სვამდა საქართველოს სადღეგრძელოს, უწევდა უკვე დროის მიხედვით. სულ ზეპირად ვიცი იმის სადღეგრძელოები. „მთელ სამყაროს დასწავადა, კავკასიონის მარადიული მყინვარი რომ არ აგრილებდეს და აშოშინებდეს...“ ასე დაამთავრებდა და ყანსაც ჩაიცილიდა, როგორც ეკადრება. მე თუ არა, ვინ უნდა იცოდეს ეს ამბები. ვილაცამ ასწავლა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, დაზუთხული ჰქონდა ეს სიტყვები და იმეორებდა ყველგან.

სვამდა საბა გურგენიძე. მოადგილე, ალბათ, გიგა მანაგაძე იყო, სვამდა ობოლი ამირანა, და ესვამდით ჩვენც: მე და ალექსანდრა, უკვე ყოველგვარი „დეიდას“ გარეშე, სრული სვლით წინ.

— მთვრალი ხარ უკვე შენ, — ამოიოხრა ალექსანდრამ, — ერთი ღერი მომანევი, თუ არ გენანება.

ის ტურისტის გამაზინდა.

შხამს როგორ დავამადლიდი, პირდაპირ მაგიდაზე დავაგდე.

— რას ჰგავს აქაურობა?! — ისევ შემომიტიდა.

— კიდევ მე ვარ მთვრალი, არა? — არ დავიხიე უკან, — რამდენი საათია სვამ, ცდილობ, დამათრო, ახლა შეამჩნიე? თუ არ მოგწონს, ავდგეთ, ბატონო, ჩავიდეთ შენთან და იქ დავლით, — ოი, რა დამიარა, ფრენის შიში კი არა, ეს იყო თუ იყო ჟიმჟიმი. აი, აქ დამთავრდა ჩემი ცხოვრება ამ სახლში.

— რას მაშინებ, წამოდი მერე.

ბიჭოს, ისევ თითი გაილოკა. ისედაც სქელი ტუჩები ბოლომდე დაებერა. ახლა მიყურებდნენ მეზობლები, გასკდებოდნენ შურით.

— არა, მართლა, საიდან იცოდი ჩემი დაბადების დღე? — მეოთხე სართულზე კარი გაიღო, საერთოდ არ ჰგავდა ჩემს ბინას, ანუ მონესრიგებული იყო.

— ერთხელ მაინც დამიჯერე, ყველაფერი ვიცი შენზე, — შევიფერე. შევიფერე და მაგ დროს ყველაზე დიდი სიძულვილი ვიგრძენი საკუთარი თავის მიმართ. ის, ვილაც, ზის ალბათ, იქ, სადაცაა, და ელოდება ალექსანდრას პასუხს. პასუხი კი არ ჩანს, ყველაფერი დამთავრდა, გაქრა დღევანდელი თოვლივით.

ყოველი მომდევნო ჭიქა მეტად მწარე და გრადუსიანი იყო. არ მიყვარს რა ეს ვისკი, არ ვარ მაგის კაცი.

— ისე, რა გვიჩი ხარ? ამდენი ხანია, გიცნობ და არ მიკითხავს. თუ გინდა, გამოვიცნობ, შენ ხარ მშვენიერი ქალი, ალექსანდრა კარპენკო, გადმოხვენილი აქ, ამ პატარა ქალაქში, — გამარჯვებული ვიყავი, ახლა დარწმუნებდა.

— არ გცოდნია ყველაფერი, — თვალი ჩამიკრა.

დაბნევაც არ დამცალდა.

— მე ვარ ალექსანდრა სნიტიკინა, გადმოხვენილი კი ვარ, გეტანხმები.

ვერაფერი გავიგე. მგონი, არ ხუმრობდა. ეს რა ამბავი იყო, დავინყე გახსენებები. „ირონია სუდბი“, და მთელი კლასიკები. ოლონდ — პირიქით. რა მექნა ახლა, მთელი ბავშვობა, ყოველ ახალ წელს, მაგ ფილმს აჩვენებდნენ. ოლონდ დენი ყოფილიყო, ვინ დაეძებდა, რა ფილმი გადიოდა. არა, მგონი, მართლა არ ხუმრობდა. რა გამოვიდა, ფიქრიც აღარ მინდოდა. გადაამეკიდა ალექსანდრა, გინდა თუ არა, ჩემი მობილურით დარეკეო. გამოვართვი და გვერდით ოთახში გავედი, ვითომ ზრდილობისთვის. მობილური ჯიბეში ჩავიდე და სახლის ტელეფონიდან დავრეკე, ასე ჯობდა. მთელ ქალაქს აქვს ეს სახლის ტელეფონები, ნოსტალგიის ამბავში, გამოყენებით კი არაინი იყენებს, იყოს, ვის რას უშლის. ერთი ნომერი ვიცოდი მარტო ზეპირად. უკვე მთვრალი ვიყავი. მთვრალი კი არა — გალემილი. ის ნომერი მაინც მახსოვდა, ახლაც მახსოვს, ეგ თუ დამავინყდა, მართლა წასულია ჩემი საქმე, აღარაფერი მეშველება მერე.

აი, ეგ პაუზა, სანამ მიპასუხებენ, ყველაზე მეტად მეჯავრება.

ორი წლის შემდეგ პირველად რეკავენ, ალბათ, შეეშინდათ.

იქით საბა გურგენიძე ყოვლადმინდას სვამს, დაშლის დროა. ამ ბოლო დროს მშვიდობიანად ვისწავლეთ, გადავეჩვიეთ ჩხუბებს და აყალ-მაცალს.

— გისმენთ.
— მე ვარ.
— ცუდად ისმის.
— მე ვარ! — ჩავძახე როგორც შემეძლო ხმამაღლა, — დედას დაუძახე, რა.
— თემო, ბიჭო, შენ ხარ? — ჩემი ძმა იყო.

— ახლა არ დამინყო შენებურები, — რას ვერჩიდი, — სადაა?

— ასე უნდა დაიკარგო? ლიზიკო გკითხულობს სულ. ხო არაფერი გიჭირს?

— დაუძახე, რა, დედას.

კი ტიპია ეს ჩემი ძმა. რაღაც ისეთია, დიდად არაფერი აინტერესებს და თან ყველაფერს ეძებს. როცა უნდა, იძინებს, მოეხალისება და გაიღვიძებს. რამეს სთხოვ და ხმას არ ამოიღებს, დაგეხმარება, კიდევ ცოდევა რად მინდა, ვალიარებ.

— თემო, დედა, როგორ ხარ? — რანაირი ხმა იყო. დასუსტებული. ჩემზე ნაფიქრი.

ნაღვლიანი. ნახევრად შვილმკვდარი.

— მე შენ მიყვარხარ, დედაჩემო.

— ხო კარგად ხარ, თემო?

— რა, არ შეიძლება მშობელი დედა უყვარდეს ადამიანს? მიყვარხარ-მეთქი. ადამიანი ვარ მეც და, ასეა თუ ისე, მიყვარხარ. პასუხსაც არ დაველოდე. გავითიშე. სხვა მიზნით დავრეკე. გულს გამოვუკეთებ, გავახარებ ქალს ან რამე ეგეთი-მეთქი და უარესი გავაკეთე, როგორც იმ დღეს ვაკეთებდი საერთოდ ყველაფერს.

ალექსანდრა მარტო სვამდა.

მივუჯექი. რა უნდა მექნა. ბოლომდე ვერ გავბედე და ისევ პირისპირ ვისხედით. ნეტა ალექსანდრა კარპენკოც თუ იყო ასეთი ლამაზი. მოსაკლავი ხარ შენ, თემო მალაფერიძე. ნაძირალა!

ვახ, რა ხდებოდა!

ნახევარი საათიც და მისტერ ჯეკისგან აღარაფერი დარჩა. ბოლო ჭიქაც გადაეკარით. მაჯობა. მაგარი მთვრალი ვიყავი. იმას არაფერი ეტყობოდა. ლილიტი იყო ნამდვილი.

ვინმეს რომ ეთქვა, მეტჯერ ველარ ნახავო, არ ვიცი, რას ვიზამდი, ალბათ არაფერს განსხვავებულს იმისგან, რაც გავაკეთე, უბრალოდ არ დავიჯერებდი, ახლა ასე მგონია. რატომ ვერ უნდა მენახა? ისეთი საღამო იყო, ჯადოსნური, მიზეზი არ არსებობდა, რის გამოც გაქრებოდა, ნავილოდა, ფხებზე დაიკიდებდა ყველაფერს.

თემო დამიძახებდა.

თემურ მალაფერიძე.

ხელოვანი.

მხატვარი.

იმ საღამოს შემდეგ ალექსანდრა აღარასდროს მინახავს.

მინახავს კი არა, სულ უბრალო ამბავიც კი არ გამოვიდა.

ვცადე და ვერ გავიგე? არა. ისე, თავისთავად მინდოდა, ამბები ჩემამდე მოსულიყო. ეგრე არ ხდება. არც უნდა ხდებოდა.

ისე, სადაც გულის სიღრმეში, ვიცოდი, ტანი მიგრძნობდა, იმ ხმას კიდევ გავიგებდი. საშინელი ხმაა, ყველა ერთმანეთის მსგავსია. მართლა დარწმუნებული ვიყავი, თუმცა არ მეგონა, მეორე დღით თუ მოხდებოდა...

სასმელი რომ აღარ დარჩა (ცოტა ფული კიდევ მქონდა, ერთ ლიტრიანს მაინც ვიყიდდი, მაგრამ აღარ გვიწოდოდა დალევა, მე აღარ შემეძლო), ვისხედით უკვე გვერდივერდ და სიგარეტს ვაბოლებდით.

ახლა მე ის კაცი არ ვარ, დეტალები მოყვებ. რა მოსაყოლია, ბავშვიც მიხვდებოდა. დილის ხუთი საათი იქნებოდა, ალბათ. სატრაბახოც არაფერია. ის ტრაბახობს, ვინც მომენტს იყენებს, სიტუაციით სარგებლობს. ჩვენ უბრალოდ რაღაცას ვგრძნობდით. დიდს, განსხვავებულს.

ჯერ კიდევ ღამე იყო. ის ბანაობდა. მე ვინეკი და ვფიქრობდი, როგორ გამეგრძელებინა ხატვა. ბოლოს და ბოლოს, სამსახურიდან მაგის გამო არ წამოვედი? თავში უკვე ყველა მონახაზი მქონდა, ერთი ეგ იყო, პირი მიშრებოდა, დავიტანჯე. ჰოდა, თავში რომ ყველაფერი დალაგებული გაქვს, მერე ფურცელზე გადატანა მარტივია, სიზარმაცე თუ დაგიდგება წინ, სხვა

ვერაფერი. „რა კარგია, სამსახურში წასასვლელი მაინც არ ვარ ხვალ, — გავიფიქრე, — შეგვიძლია, მთელი დღე ვიძინოთ“. ხომ გაგიგიათ, კაცის ბჭობის და ღმერთის სიცილის ამბავი, ეგრე იყო ჩემი საქმე.

წამოვედექი, იქნებ ვაშლის წვენი დარჩამეთქი, თავი დავიიმედე. დავინახე და რა დავინახე, ვინ დამიჯერებდა. „ახლა რომც მინდოდეს, ვერ ვიტრაბახებ, — პირველად ამ აზრმა გამიელვა, — რამდენიც უნდა ვიფიცო, კაციშვილი არაა დამჯერებელი“. ეს რა დავინახე. ზენარს დავხედე. ისე, თვალი გამეცქა უნებლიეთ. ვერ გამოიცნობთ, რას ჰგავდა. მეც ვერ გამოვიცნობდი.

დროშას ჰგავდა.

ამომავალი მზის ქვეყნის დროშას.

იაპონიის დროშას.

ვაახ, ალექსანდრა. სანდრა. შენ ყოფილხარ ქალი!

კი ვიცოდი, როცა იქნებოდა, იმ ხმას კიდევ გავიგებდი, მაგრამ იმავე დღით? ასე მალე როგორ! გაიგონებ მაგ ხმას და ჩათვალე დალუპული ხარ, აღარაფერი გეშველება. განსაკუთრებით მაშინ, თუ სამსახური უკვე მიატოვე.

— მიდი, ახლა, — მომახალა სააბაზანოდან გამოსულმა, — აღარ აპირებ სახლში წასვლას? გათენდება სადაცაა.

— არ უნდა დავრჩე? — პირდაპირ თვალში შევხედე. მგონი, იმიტომ უფრო, რომ ზენარზე არ შემეხედა. ასე ნაკლებად უხერხულად გამოდიოდა.

— ეეს, ტემო, ტემო, — წაუმტვრია თავისებურად, მაინც ვერ გამოთქვამდა გამართულად ყველა ბგერას, — ნიჩეგო, ჯერ კიდევ ბავშვი ხარ.

გავშრი.

სიმართლის მოსმენა კი არ მწყენია. მართლა გულით მინდოდა დარჩენა, თუნდაც არ დავგოძინა. რა საჭიროა საერთოდ, რამდენს დროს ვკარგავთ, არა? ღამე თუა. ფიქრები, ლამაზი ქალაქი, განსაკუთრებით ზამთარში, დროის ნაყოფიერად გამოყენება. რამდენი ერთი ჩამოვთვალა...

კამათს თუ დავინყებდი, ყველაფერს გავაფუჭებდი. „საჩუქრებსაც“, მთელ წინა საღამოსაც და, რაც მთავარია — მომავალს. ამდენს კი ვხვდებოდი. არც მთლად ეგრეა ჩემი საქმე.

სახლამდე ძლივს ავალწიე. თავი იმ ტურისტით (ან საბა გურგენიძესავით) მქონდა გასივებული. ასე არცერთი სასმელი არ მომიკლებია. მთავარია, თავი არ შემირცხვენია-მეთქი, თავს ვიმხნევებდი.

რა დამაძინებდა. ვინეკი და ათას სისულელეს ვფიქრობდი. ზუსტად არ მახსოვს, თუმცა ძირითადად ეგეთი ფიქრები მაქვს და მაშინ რა მეტაკებოდა, სად მქონდა აზროვნების თავი, ყველაფერი ტრიალებდა.

მინდოდა, დამეხატა. სანდრა — არა. ველარ გავაგრძელებდი, ასეთ მდგომარეობაში ვერ ვიკადრებდი. გადავიხედე ფანჯრიდან და ინსტინქტურად დავინყე. ყველა სისულელე გადამქონდა, რასაც ვხედავდი.

— რა სირობაა, დაანებე თავი, ძმურად, — გამამხნევებდა გიგა მანაგაძე, რომ დავენახა. მაგრამ ვერ ხედავდა, არც არასოდეს უნახავს. უბრალოდ ასეთი იყო, მოეწონებოდა თუ არა, მაინც ხასიათში ჩავიჯვამდა. ავიმყარე პირი, რა. რამ გამახსენა ეს გიგა მანაგაძე. იქნება ახლა გალენილი, ვერც სვამს და არც თავს ანებებს, წვეთს არ ტოვებს ჭიქაში, სულ მოზრდილებით სვამს თანაც.

ხელისგულზე გადავიტანე საღებავი. რა ფერები აღარ იყო, სულ და გულო, მიდი — აირჩიე და დანარჩენი ჩემზე იყოს. მართლა აღარ მინახავს იმ ღამის მერე. ვინმეს რომ ეთქვა...

როცა ელოდები, კიდევ ხო. ისე, მოულოდნელად, მაგარი მურტალი რამეა. შეიძლება, გული გაგისკდეს კაცს. გეუბნებით, ყველას ერთმანეთი ხმა აქვს, რა ვიცი, მე სხვანაირი არ გამოვიდა. სპეციალურად აკეთებენ, ჩემი აზრით.

ერთი კი ვიფიქრე, მოდი, ჩავალ-მეთქი. „არა, ეძინება უკვე და რომც არ ეძინოს, ატრაკებ უკვე, — გავბრაზდი, — უნახავივით იქცევი“.

ისე, რომ ჩავსულიყავი? საერთოდ, რომ არ წამოვსულიყავი? ერთხელ მაინც რომ მეცადა, სიტყვა შემებრუნებინა?

უკვე თენდებოდა. ერთბაშად გამომეცალა მთელი ენერჯია. როგორც იქნა, ვიგრძენი — მეძინებოდა. მაგარი მცივანა კი ვარ. ამდენი ვისკი ვყლაპე და მაინც მციო-

და. ძლივს გავთბი. მერე მალევე ჩამეძინა.

აი, მანდ ვიჭედები. სიზმრებს ვერ ვიმახსოვრებ, მარტო ის ჩემი ცოდვით სავსე ტურისტის მესიზმრებოდა მთელი კვირა. ბედი არ გინდა? თვალებს გავახელ და აღარაფერი მახსოვს. არც ის ღამე ყოფილა გამონაკლისი. იქნებ, იმიტომ ვერ ვიმახსოვრებდი, რომ სულ ვილაც ან რაღაც მალევიძებდა. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის გავიღვიძე საკუთარი ნებით. დაძინებამდე ბედნიერი ვიყავი და, რაც მთავარია, ვიყავი თავისუფალი. ვხედავდი კლასელებს, მთვრალებს, იქნებ ერთმანეთთან ნაჩხუბრებსაც — აბა, გიჟები ხომ არ იყვნენ, სუცხოები ეცემათ — ვხედავდი ტურისტს, ისევ ჭაჭისსუნთანა თვალბრწყინებულს, და, რაღა თქმა უნდა — დეიდა ალექსანდრას.

ხმა ძველებური იყო. შემზარავი.

აჰა, ანკრიალდა.

აგუგუნდა.

შემინებულმა დავჭყიტე თვალები. სადღა იყო წუხანდელი ლოთობის კვალი. ათასში ერთხელ თუ შემანუხებს, დიდ რაღაცას ნიშნავს ჩემთვის, მართლა.

არა და არ ჩუმდებოდა. ძლივს მივაგენი. ეგრეა, მალვიძარა ახლოს თუ დადე, დამთავრებულია შენი საქმე. ერთი ხელის განვდენაზე ეფექტი არ აქვს — ჰოპ, გამოერთავ და ეგაა. აგრძელებ ტკბილად ძილს. წინა წელს კი ვისწავლე ჭკუა, კარგად რო გამომლანდეს (და ეგ რაა, იმ დღის ხელფასიც დამიქვითეს დავიანების გამო), მას შემდეგ კარადის თავე ვდებ მალვიძარას.

ტელეფონზე თუ დამავინყდა დაყენება, ძველებური მალვიძარა სულ მომართული მაქვს. ვერ ვეჩვევი რა, ოთხმოცდაათიანების თუ არა, ორიათასიანების ხომ მაინც ვარ, რამ გაყო.

გაჭირვებით წამოვედექი.

მეზარებოდა, რა. თან ორშაბათი დღე იყო, მგონი.

ხელებზე დავიხედე და... სუფთა იყო. რა საღებავი, რის საღებავი. რა შემეშინდა! მტერს არ ვუსურვებ. ნამებში გამოვფხიზლდი. ახლა არ გინდა, ყველაფერი გაიხსენო? დავებდა გონება, როგორც შემეძლო, ვცადე, თან თვალები დავიწვრილე, ფილმებში მინახავს, ეგრე აკეთებენ და ეხმარებათ, კადრები ინყობა ფაზლივით და მთელი ისტორია აღდგება, როგორც ფენიქსი ფერფლიდან.

არა, რა. მომკალით და სუფთა იყო. ეგ კი არა, რაღაც კვალის მაინც ხომ დარჩებოდა, თქვენც არ მომიკვდეთ, ისეთი იყო, როგორც არასდროს.

კიბზე დავეშვი, კარგად გათენებულიყო. იმდენი კი ვერ ვიფიქრე, ნახატები მომეძებნა. „ფუი, დაუსრულელები თუ ვაჩუქე, მომეჭრა თავი და ეგაა, — პირველი ეგ გავიფიქრე, — მგონი, მართლა ეგრე იყო. კი, ნაღდა“.

ბირჟა შეკრულიყო. ლუდს წრუპავდნენ დილიდანვე, ზამთარში. მაგარი ბიჭები არიან, მეც არ ვიტყობი უარს, დრო რომ მქონოდა.

— მოდი ერთი აქ, თუ ძმა ხარ, ლადო, მოდი რა, — ყველაზე მეტად იმას ვენდობოდი, რა მექნა. იმიტომ ვენდობოდი, რომ ზედმეტი არაფერი უკითხავს ჩემს „ხაზე-იკაზე“.

— რა სახე გაქვს, ბიჯო.

— დაიცა ერთი, — აღარ გავაგრძელებინე, — სადაა სანდრა?

— რა სანდრა, თავი ხო არაფერს მიაჩნტყი?

— ახლა არ დამინყოთ, არ იცნობ ალექსანდრას?

— არა.

— როგორ?

— ნომერი არ მოგვეცი არცერთს და,

— გადაუყვანიათ თავის ჭკუაზე, — ეძებე ახლა. კარგი ხო, რა დაგემართა, არ დამინახავს დღეს. არც ამათ, — თავი გადაიქნია მთელს შემაღვნილობაზე.

ისევ მალვიძარას ხმა მესმოდა. მივდიოდი. სად — არ ვიცი. ჰო, არ უნახავთ. ნავიდა, ალბათ, გათენებამდე. მაგრამ წინაღობით დახატული ხელები რომ სუფთა მქონდა?

გვრძნობდი, რაღაც უნდა შეექმნათ ამ ხელებს, რაღაც ძალიან დიდი, უკვდავებისთვის, ოლონდ ისე, მეც რომ გამეგო, სიცოცხლეშივე! მე თუ ვერ მოვესწარი, მერე ან გავიგებ ან — არა. რატომ მქონდა ხელები ასეთი სუფთა?

ვუყურებდი ხელებს და მივდიოდი სადაც. თოვდა. მერე ტელეფონმა დარეკა და მე ვუპასუხე...

მინწო ქუჩა და მუდმივი აღმართია იქ, სადაც მე ვცხოვრობ. გზა იგივე დარჩა, მადლობა ღმერთს, მაგრამ სახლია სხვანაირი.

ადრე ამოშავალი მზის წითელი სინათლე გამჭვირვალე ფარდაში ატანდა და ტუმბოზე შემომდგარ ოთახის ყვავილს კვებავდა. განათებული კედელი ფოთლების ჩრდილს ირეკლავდა.

სახლში ვიყავი. სახლი მქონდა.

სისხამ დილით თეთრულში გახვეულს თავი ყველაზე დაცული მეგონა.

ახლა აღარ მახსოვს, სახლი როგორი მაქვს და ისიც მაზინყდება, რა ხდება, როცა შინ ვარ.

შემოდგომის ფერადი ფოთლებით მოფენილი გზა მახალისებს. ჩემი მეზობლები დავიანხებ. მომინდა, მათთვის გამეღიმა და ხელი დამეჭინა, მაგრამ ახლა იშვიათად ვიღიმი. ასეთია ჩემი განაჩენი.

ადრე მეზობლებთან ვმეგობრობდი. კარგი ხალხი იყო.

მივდივარ და მოვდივარ. გავივლი და გამოვივლი.

ეგ იქცა ჩემს დანიშნულებად. პასუხისმგებლობა ცოტა შემრჩა. უნდა ვიარო და გამხმარი ფოთლები ვახრახუნო ფეხით. თავს მარტოსულად სულაც არ ვგრძნობ, არადა, უნდა, რომ ვგრძნობდე.

ძალიან ბევრი რამე კი მენახება და, უპირველესად, საკუთარი თავი. რაღაცას ჩურჩულებენ ქუჩის კუთხეში მდგარი ქალები და მიყურებენ. არ ვიცი, რაზე საუბრობენ, არცაა მაგის გარკვევა ჩემი მოვალეობა. მოპირდაპირე მხარეს სადარბაზოდან კაცი გამოვიდა, თვალი შემავლო და უმაღლვე ამარიდა. თითქოს ჯარიმის დაწესებული მათზე, ვინც ნამზე მეტ ხანს შემომხედავს.

ადრე ყველაფერი ვიცოდი — უკლებლივ ყველაფერი. კარგადაც ვსაუბრობდი და სხვებსაც ვაკვირებდი ჩემი გონებას მახვილობით. ახლა როლი ამერია: ვეღარავის ვნუსხავ და სამუდამოდ დამადუმეს. ჭკუას მაინც ვერ ნამართმევინ. თითქოს, ამ სამყაროს სასაფლაოდ ვიქცი — ყველაფერი ვიცი, არავის ვეუბნები.

ერთი რამე, რაც არავის შეუძლია, მოგონებების წაშლაა. მართალია, ჩემი ახლანდელი სახლი არ მახსოვს და მაინც...

გთხოვ, დამაბრუნე!

ბათუ

ამბობენ, რომ ადრე ვილაქა ქალი მიყვარდა და მერე ცალმხრივმა სიყვარულმა გამაბოროტა. ნუ, როგორც ხდება. არ ვიცი. მე ეგ ქალი არ მახსოვს, მაგრამ რაღაც ისტორია უთოდ მექნება ჩემი ხასიათის ასახსნელად.

აქ ყველა ავად მიყურებს. ალბათ მეც ერთი-ორი ავი თვისება რომ გამოვავლინე, იმის შედეგია.

სიმართლე ითქვას და, ყველას უნდა სიყვარული. მაინცდამაინც რომანტიკას ან ხელიხელგადახვეულ სიარულს არ ვგულისხმობ, მაგის დრო კარგა ხანია, მოეჭამე. თან ახალგაზრდა ვარ, თუმცა მრავალი კარგი და სასიამოვნო რამეა ჩემთვის დრომოჭმული.

სიყვარული ისეთი მჭირდება, ვინმეს რომ უბრალოდ გული შესტიკვა — შეცოდება არა, მაგრამ თანაგრძნობანარევი სიყვარული. ძალიან თუ არ ვეყვარები, ეგეც არა უშავს, ცოტათიც კმაყოფილი ვიქნებოდი.

კმაყოფილების გამოთქმა და მადლიერება ნამდვილად არ შემიძლია, მაგრამ რამენაირად ვაგრძნობინებდი.

იმ დღეს ქუჩაში გავედი. ბავშვს ჩანთა დაუვარდა და მივანოდე. ძალიან გამიხარდა, ეგეთ რამეებს იშვიათად ვაკეთებ. მაგის მერე ვილაქ კეთილ იდიოტს ვეჩხუბე, თავ-პირი ბეტონის კედელზე ვარტყმეინე. არ მომეკვდარა. გადარჩენა ხო კეთილი იდიოტების ხედრია.

აბა, მე რა ვთქვა? ბოლოს ერთი აუზრი დამეცემა და კარგად მეყოლე.

ისე, კეთილ იდიოტს თავლისფერი თვალები აქვს. ძალიან რომ არ გვეზიზღებოდეს ერთმანეთი, მეგობრობაც გამოგვივიდოდა. მაგას ყველა ჩაგრავეს, მე — ყველას ვჩაგრავე. შევავსებდით ერთმანეთს.

მე თუ მკითხავენ, მეგობრობა სულაც არ ნიშნავს ბევრ საერთოს. მთავარია, განსხვავებულს იღებდე, თორე თავისნაირი ისედაც ყველას მოეწონება.

ერთი სიტყვით, იმ კეთილ იდიოტს ლაზაზი თავლისფერი თვალები აქვს. ცემატყეპისას შევხედე და გეგონება, მარტო კეთილიაო, იდიოტის სათქმელად უცებ ველარ ვიმეტებდი... შინაგანად.

ცემატყეპის პროცესში ვილაქა დავინახე. ვილაქა კი არა, აგრაფინა. ხშირად ვხედავ მაგ გოგოს — ამ ბოლო დროს, თითქმის, ყოველ დღე.

რაღაცნაირი დეჟავუ ვიგრძენი. გეგონება, ის წუთი და ის დღე აქამდე მრავალჯერ გავგეტარებინოს ერთად. ამოშლილ ფურცლებს დავემსგავსეთ. უკვე დანერილი იყო ეგ სცენარი, როცა ერთ ქუჩაზე ერთმანეთს ვეკვეთებოდით. მერე ამოხიეს თითქოს.

ისევე თავიდან დანერეს. ისიც ამოხიეს.



გზავნილი ავტორს

და, საბოლოოდ, ამოხეულები დავრჩით.

არადა, მანამდე ჩვენი გზები იშვიათად თუ გადაიკვეთებოდა.

მე რომ ხშირად ვხედავ ვილაქას, ეგ იმ ვილაქის სასაფლაოა.

მაგანაც რამე დააშავა ალბათ.

აქ ვერა, ყველა რაღაცას ვაშავებთ, მაგრამ არ გვახსოვს, არცაა ჩვენზე დამოკიდებული.

მე ხო სულ სიყვარულს ვეძებ? მინდა, ვინმეს მაგრად შევუყვარდე და თუ ოდესმე აგური დამეცა თავში და მოვეკვი (რაც უთუოდ მოხდება), ერთი მაგრად გამომიტროს. მაგრამ აგრაფინა როცა შემომხედა, სხვანაირი რამე ვიგრძენი. მომინდა, შინაგანი გრძნობებისთვის ყურადღება აღარ მიმექცია. დავრჩენილიყავი მარტო, ყველაგან მოძულებული და უარყოფილი.

მოემკვდარიყავი იმ დანყველილი აგურით ან ვირუსით. რა მომკვავდა, მაგას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ის გოგო არ იმასახურებს მსგავს ალსასრულს.

მე თუ ვინმე მკითხავს (თუმცა არავინ მეკითხება), ეგაა მარტო სიყვარულის ან პატივისცემის ღირსი.

ადრე უყვარდათ კიდეც. ნეტავ ვინმეს თუ ახსოვს.

ნეტავ თავად თუ ახსოვს, რომ იმ დღეს იმ ქუჩაზე უნდა გამოველო, მაგრამ სახლი სხვა ჰქონდა.

მე მაინც მომეწონა, შემოდგომის ფოთლებს რა ხალისითაც აბიჯებდა. იმდინანი მომეჩვენა, თუმცა მარტოსული. მაგას ძველებური მეგობრები აღარ ჰყავს.

და ისინიც... ან გაიხსენებენ მაგის სახელს, ან — არა. ასეთი რა დააშავა?

მე კი ბევრი მივქარე და მომავალშიც არ დამიშლის ჭკუა. მაგრამ აგრაფინამ ასეთი რა დააშავა?

აბრაფინა

ადრე ძალიან ამაყი ვიყავი. ჩემს სიამაყეზე ლეგენდები დადიოდა. კონკრეტულად ეგ ლეგენდები მართლა დამაზინყდა, ვაღიარებ.

მგონია, ველარ მოვითმენ თუ ჩემი სახლის სურნელს ვერ შევიგრძნობ. აი, იმ ყვავილს დავემსგავსე, ტუმბოზე რომ მედო. მზე მანათებს.

ვხმები. წყალს აღარავინ მისხამს.

ნეტავ ერთი ნატვრა მქონდეს. გადავავიჯებდი მაგ ჩემს ნალოლიავეს სიამაყეს, რომელიც სულ აღარ შემრჩა, რაც ახალ როლში გადავიანაცვლე (პრინციპში, ახლა აღარაფერი შემრჩენია) და შევევედრებოდი, მუხლებში ჩავუვარდებოდი შემოქმედს, გავამთელებინე.

ჩემი სამეფო დაებრუნებინა — გადამწვარი, დანახშირებული, ჩამონგრეული. ოლონდაც ნულარ დამალალატებდა. დავებრუნებინე.

თუ ერთდროულად ვძულვარ და ვუყვარვარ, მოკვლას მიპირებს და ცოცხალი ვეიმედები, იქნებ, მოეხმო იმ თავისი ძალისთვის, რომელიც ასე უხვად დააბერტყა გამჩენმა და ჩემი დაბრუნებით დაებრუნებინა შელახული იმედი?

მიშორებს, ძალიან მიშორებს, მაგრამ შინ ყოფნა როცა უნდება, კვლავ ჩემზე ფიქრებს უხმობს.

მენატრება ჩემი ციხესიმაგრე. ის გამჭვირვალე, ოქროსფერი ფარდა და აისის სინათლე, ჩემს ფანჯრებს რომ ასკდებოდა. ჩემში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ალბათ, მოკვლას მიქადის მისი სას-

ტიკი ბუნება და მნიშვნელობა არ აქვს, ვისი შთაგონებით შთამბერა სული.

ფაქტია, იმ შთაგონებამ დააღალატა, გული ატიკინა და მსხვერპლად გამოილო.

ვილვევი, ვიყინები, სუნთქვა მიჭირს.

ჩემზე ფიქრი მარტო ყოფნას უმსუბუქებდა, მაგრამ ახლა ისე შეისისხლბორცა სიმარტოვე, გეგონება, ჩემი ბრალი ყოფილიყო ყველა ადამიანი, რომელმაც რისხვით აუვსო გონება.

ბათუ

იმ დღეს აგრაფინას გადავეყარე. გვერდით ჩამიარა და არ ვიცი, როგორ, მაგრამ მივესალმე. პირველად გამოვცადე შიში.

თვითონ შიშისაც შემეშინდა და იმისიც, რამე ისეთი არ მეთქვა ან მექნა.

სილამაზე ყველასთვის სხვადასხვანაირია. მე მარტო ეგ მეღამაზება.

ისიც მომესალმა.

ტრაგიკული წუთები იყო. მეგონა, ჩემზე უარესად არავინ გრძნობდა თავს.

ეგ რას განიცდიდა, ვერ ვიტყვი. ვერასოდეს ვარკვევ, რას ფიქრობს, რა უნდა.

მგონია, მაგას შემოქმედიც ვერ არკვევს და იმიტომ აებნა გზა-კვალ, იმიტომ აურიო მისამართი აგრაფინასაც.

ცამ ბარდნა იწყო, თოვამ მოგვისწრო.

შემოდგომის შუა რიცხვებში მზით განათებულ ქუჩაზე ოქროსფერი ფოთლებით მოფენილ გზას ფანტელები ეხეთქებოდა.

ორივემ მალლა ავიხედეთ, გავოცდით.

მერე ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეღიმა.

მგონი, გარდაუვალ აღსასრულს ჰგავდა. სიცოცხლის ბოლო წუთებში რაღაც სასწაულის მონმე რომ ხდებოდა. ალბათ იმის ნიშანი იყო, რაც უნდა მომხდარიყო და ვერ მოხდა.

გამომშვიდობებას ჰგავდა.

ის ვიგრძენით, რაც არ უნდა გვეგრძნო, რასაც არავინ გვეკითხებოდა, რაც ჩვენი საქმე არ იყო. ამოიშლებოდა ეს ფურცელიც ჩემი ხანმოკლე ცხოვრებიდან.

ვერც ვერავინ ნახავდა. მხოლოდ ჩვენ ორს გვეცოდინებოდა და თან არ შევიმჩინევდით.

ვინც არ უნდა მომეკლა ან მეცემა, როგორი ბანალურიც უნდა ყოფილიყო ჩემი ანტაგონისტური ბუნება, მაინც მემახსოვრებოდა. მემახსოვრებოდა, რომ ის გოგო უსამართლო ხასიათისა და უსამართლო სცენარის მსხვერპლი იყო.

თვითონ — სამართლიანი, ჭკვიანი, ლამაზი.

და, რაც მთავარია, მივიწყებული.

ნეტა სხვა რას ფიქრობდა მის შესახებ ან ვინმეს მაინც თუ დარჩენოდა ფიქრის უფლება?

ეჭვი მაქვს, რომ შეთქმულებას მიწყობენ და მალე მოვკვდები. ღირსიაო, ყველა გაიფიქრებს. აგრაფინა მეცოდება. მარტო დარჩება. თორემ მე ისედაც კარგად ვიცოდი, ვერ გადავურჩებოდი სიკვდილს.

ისე, განა ჩემი ყოფნით რამე სარგებელი აქვს იმ გოგოს? უბრალოდ, ერთადერთი ვარ, ვისაც კარგად ახსოვს პირველი ფურცლიდან, რანაირი იყო და რად აქციეს.

ფიქრობ, ვეიმედები.

თვალეში მიყურებს და ხვდება, რაღაც ისეთი ვიცი, რისი ცოდნის და მახსოვრობის უფლებაც არ მაქვს.

მერე იმედი ეძლევა.

ალბათ, ის დროა, ხორცი შევისხა, ამოვდგე ამ ჩემი გახუნებული, გაფშეკილი მინიდან და ყველა წიგნს ბოლო ფურცელი ამოვუხიო.

იმ გოგოს სახელს დავანერდი ყველას. აის?

ათასს?

ნეტა სულ რამდენი წიგნი არსებობს? და თუ ბევრია, თუ იმაზე მეტია, ვიდრე წარმომიდგენია, ესე იგი, ჩემნაირიც ბევრი იქნება.

იქნება კეთილი, რომელიც ბოროტებას დანატრის და იქნება ბოროტი, რომელსაც სულ არ ანალვლებს, რომ ბოროტია. უბრალოდ, ერთი კეთილი საქმის ჩადენა გაუხდია ცხოვრების მიზნად.

მიზნებს ვერ ვაკონტროლებ.

მაგრამ თავისუფლება რომ მერგებოდეს, სწორედ მაგ მიზნით მოკვდებოდი — რამე კარგს გავაკეთებდი ვინმე კარგისთვის.

ძნელია, როცა წიგნის პერსონაჟი ხარ — მითუმეტეს, ბოროტი.

აგრაფინას ადრე ვერც კეთილს დაარქმევი, ვერც — ბოროტს.

უბრალოდ, მთავარი გმირი იყო.

მერე კუთხეში მიიკუნჭა, დაპატარავდა, გაილია.

აბრაფინა

ყველა ბოროტი პერსონაჟი უნდა დამარცხდეს, მოკვდეს და ყველა კეთილი პერსონაჟი გმირად შეირაცხოს.

მე რა დამრჩება?

რა დავგრჩება იმათ, ვისაც მთავარი როლი გვერგებოდა და ავტორებმა განზე გაგვნიეს, კუთხეში მიგვკუნჭეს?

უკვე აღარ მსურს უკან დაბრუნება — შენყნარებას დავემსგავსება. მე სიბრალული არავისგან მომითხოვია და არც მოვითხოვ.

გაყავდეს ეგ შენი სხვა გმირები, ჩემ მერე გამოგონილი და სტროფებში ძლივძლივობით ჩამატებული.

ისიც დაიტოვე, ვისაც ჩემს შემდეგ განადიდებ!

ჩავესვენები უხილავ აკლდამაში იმ უხილავი სხეულით, რომელიც არასოდეს დაბადებულა და განვტყევენებ დიდხანს, უბედურად, უბრალოდ და უხსოვროდ.

შენ მაინც ვერ მოისვენებ.

ფიქრებად დაგებედეები, სინანულად დაგებედეები.

ყველა პერსონაჟის წყევლას შევისხამ, ვისაც მთავარი როლი ეკუთვნოდა და თან წაართვეს. სულ ერთიანად შეგაფრქვევი მაგ წყევლას, შნო რომ მქონდეს.

მერე ჩემნაირებს აღარავინ მისცემდა ცრუ იმედს, თითქოს, მნიშვნელოვანი ყოფილიყო.

ვინლა გენდობა? საკუთარი თავიც გაგირბის. ჩემზე ფიქრებს რომ ეხეთქება შენი გონება, დგები და გარბიხარ, რადგან სხვა გზა, ჩემგან დასახსნელად, არ გაბადია.

სჯობს, მართლა აღარ იფიქრო. აღარ ვარსებობ.

სამეფო გვირგვინი რომ დამადგი და ხელმწიფობა მარგუნე, მერე სუდარაც გადამაფარე ზედ სახეზე. სიკვდილიმისჯილის გზას გამიყვანა.

შენკენ მომავალ ბილიკს ველარ ვიპოვი, ძალიანაც რომ მოინდომო. ყველა ხიდი გადაგინვია. გამთელების ნიჭი არ გაქვს. მსჯი...

და მსჯი... და მსჯი...

ვისი ცოდვებისთვის?

კაცმა არ იცის.

მაინც იმ პერსონაჟად დავრჩები, მთავარი როლი რომ არ გუნე, მერე წაართვი და ახლა ბრაზისა და დანგრეული სამეფოს გარდა აღარაფერი შეერჩენია.

ჰენდრიკ ჰეიმანი ორმოცდაათი წლისას ჰგავდა, თუმცა ჯერ მხოლოდ ოცდათხუთმეტისა იყო — მეტისმეტად ახალგაზრდა მალაღობიანი თანამდებობისათვის. ფერმკრთალ სახეზე, რომელზეც რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, უდრტვიწველი სიმშვიდე ეფინა, რითაც ძალზედ ნერვიული და მეტისმეტად ქედმაღალი ადამიანები ინიღბებოდნენ, როცა იცინებდნენ, რომ უამრავი ადამიანი აკვირდებოდა. მის მელოტ თავის ქალას არისტოკრატიული მოყვანილობა ჰქონდა. დასივებულ, მოთეთრო-მონაცრისფრო სახეზე მალაღობიანი თანამდებობისათვის დაძაბული, მგრძობიარე და ნატანჯი ძარღვი გასდევდა. მაშინვე თვალში მოგვხვდებოდა შესანიშნავი მოყვანილობის ძლიერი ნიკაპი, რომელსაც ამაყად წინ გამოსწევდა ხოლმე, რათა ყურისა და ნიკაპის შემართებული მშვენიერი ხაზი დიდებულად და თამამად გამოეხატა. ფართო, ფერმკრთალ ტუჩებზე გაყინული, მრავლისმთქმელი, თან ქედმაღლი და თან სანყალი ღიმილი დასათამაშებდა. სათვალის უზარმაზარ, პრილა შუშებს უკან მხოლოდ დროდადრო ილანდებოდა თვალები. ასეთ მომენტში ადამიანი შიშით აღმოაჩენდა, რომ ჰეფგენის რბილი, მელანქოლიური გამოხედვა სინამდვილეში სუსხიანი და შემზარავი იყო. მომწვანო-მონაცრისფროდ მოელვარე თვალების დანახვისას ან უბედურების მომტანი ძვირფასი ქვა გაგახსენდებოდათ ან ბოროტი და სამიში თევზის ხარბი თვალები. უკლებლივ ყველა ქალბატონი და მამაკაცები უმრავლესობა თვლიდა, რომ ჰეფგენი არა მხოლოდ მნიშვნელოვანი და უაღრესად მოხერხებული ადამიანი იყო, არამედ გამორჩეულად ლამაზი მამაკაციც. მისი დარბაისური, საკუთარ მომხიბვლელობაში დაჯერებული კაცის თავდაჭერის მანერა, მოზომილი და წინასწარ გათვლილი მოძრაობები და უძვირფასესი ფრაკი ასე თუ ისე ფარავდნენ იმას, რომ ჰეფგენი ძალიან მსუქანი იყო — განსაკუთრებით, თეძოებსა და საჯდომზე.

„ძვირფასო, სხვათა შორის, მსურს, მოგილოცოთ წარმატებული ჰამლეტი“, — უთხრა პროპაგანდის მინისტრმა, — „არაჩვეულებრივი შესრულება იყო. გერმანული თეატრი აბაყობს თქვენით.“ ჰეფგენმა თავი ოდნავ დახარა, რის გამოც მშვენიერი ნიკაპის დაბლა დაწვევა მოუხდა. მალაღობიანი, გაქათქათებული საყვლის თავზე კისრის უამრავი ნაკეცი გაჩნდა: „ვინც ჰამლეტს ვერ იტანა, არ არის იმის ღირსი, მსახიობად იწოდებოდეს“, — მოკრძალებით აწკავენა ჰეფგენი. „ჩანდა, რომ ტრაგედია მთელი არსით შეიგრძენით“, — ამის თქმალა მოასწრო მინისტრმა, რომ დარბაზს მღელვარებამ გადაუტარა. თვითმფრინავების გენერალი და მისი მეუღლე ლოტე ლინდენტალი, ყოფილი მსახიობი, ცენტრალური კარიდან შემობრძანდნენ. სტუმრები მქუხარე ტაშითა და ხმამაღალი შეძახილებით მიეგებნენ. ბრწყინვალე წყვილი ორად გაყოფილ ხალხში მოაბიჯებდა, სიხარულის ყიჟინა არ ცხრებოდა. ბევრ იმპერატორსაც კი არ ღირსებია ასეთი მშვენიერი დახვედრა. მღელვარება სულ უფრო და უფრო მატულობდა. ორი ათას გამორჩეულად კეთილშობილ სტუმარს სურდა, საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის და პრემიერ-მინისტრისთვის შეძლებისდაგვარად ხმამაღალი ყვირილითა და ტაშისცემით დაემტკიცებინა, რომ მთელი გულით და სულით მონანილებოდა უზენაესი ხელისუფლის დაბადების დღის აღნიშვნასა და, ზოგადად, ქვეყნის ბედ-იღბალში. ირგვლივ გაისმოდა: „გაუბრარჯოს!“ „ჰაილ!“ და „გილოცავთ!“ ყვავილებსაც ისროდნენ, რომელთაც ქალბატონი ლოტე თავდაჭერილი კეკლუცობით იჭერდა.

კაპელამ ხანგრძლივი ტუში დაუკრა. პროპაგანდის მინისტრს სახე სიძულვილმა მოუღრიცა, მაგრამ მას აღარავინ აცქევდა ყურადღებას ჰენდრიკ ჰეფგენის გარდა, რომელიც თავის მწყალობელს სუნთქვაშეკრული და გაქვავებული ელოდებოდა. ხალხი წინასწარ დანაძლევდა, თუ როგორი ფანტასტიკური უნიფორმით გამოჩნდებოდა დღეს საღამოს სქელუა. ამჯერად მან ასკეტური კეკლუცობა არჩია და საზოგადოება ყველაზე უბრალო ჩაცმულობით გააოცა — მწვანე ბოთლისფერი ქურთუკი ეცვა, რომელიც სადად შეკერილ სამიწაო ხალათს უფრო ჰგავდა. მკერდზე ერთი პატარა, ვერცხლის ვარსკვლავი უბრწყინავდა. ნაცრისფერ ვარვალში

გამოკვართული ფეხები, რომელთაც, ჩვეულებრივ, გრძელ მოსასხამებში მალავდა ხოლმე, განსაკუთრებით სქელი უჩანდა: თითქოს ორი ბოძიო, რომელთა დახმარებითაც ნელ-ნელა გადაადგილდებოდა. უზარმაზარი ფიგურის კოლოსალური სიმაღლე და სიგანე მნახველში მხოლოდ შიშსა და კრძალვას იწვევდა, სიცილს და ქრქილს ვინ გაბედავდა. ყველაზე გულადსაც კი სახეზე ღიმილი ეყინებოდა, როცა წარმოიდგენდა, ამ ფერხორციანი და ქონიანი გოლიათის ხელის ერთი აქნევით რამდენი სისხლი იყო დაღვრილი და მის პატივსაცემად კიდევ რამდენი დაიღვრებოდა. მოკლედ და სქელ კისერზე შემოდგმული თავი თითქოს წითელი წვენით მოერწყოთ: ცეზარის თავი, რომელსაც სკალპი ახადეს. სახეზე ადამიანური აღარაფერი შერჩენო-

ისტრის მრჩველად იქცა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი როლი ლედი მილფორდი იყო შილერის „ვერაგობა და სიყვარულში“. ლედი მილფორდი ერთ-ერთი დიდგვაროვნის საყვარელია. ის სამკაულების ბრწყინვალეობასა და თავადთან სიახლოვეზე უარს ამბობს, როცა გაიგებს, რით იხდიან ძვირფასი ქვების საფასურს.

როცა ლოტე უკანასკნელად გამოვიდა სახელმწიფო თეატრის სცენაზე, მინა ფონ ბარნჰელმი ითამაშა: სანამ თვითმფრინავის გენერლის სასახლეში გადავიდოდა, კიდევ ერთხელ წარმოიტქვა იმ პოეტის სიტყვები, რომელსაც მისი მეუღლე და მეუღლის თანამოაზრეები აუცილებლად დევნას დაუნწყებდნენ, იმ დროში და იქ რომ ეცხოვრა. ლოტეს თანდასწრებით განიხილებოდა სახელმწიფოს ყველაზე შემზარავი

კლავს მანი

მეფისტო



პრელუდია

1936 წელი

და, თითქოს ხის მორია ან უმი, უფორმო ხორცის ნაგლეჯი. უზარმაზარ მუცელს, რომელიც პირდაპირ მკერდს უერთდებოდა, ღირსეულად მიაგორებდა ბრწყინვალა ბრბოში და იკრიჭებოდა. მის მეუღლე ლოტეზე კი ამას ვერ ვიტყვით. ისე მოწყალედ არიგებდა ღიმილს, თავად დედოფალ ლუიზეს შემურდებოდა. საღამოს კაბა, რომლის ღირებულებაც აქ მოწვეული ყველა ქალი ლაპარაკობდა, მართლაც რომ საუცხოო იყო: მოელვარე ვერცხლისფერი ქსოვილისგან შეკერილი სამოსი იატაკამდე ეშვებოდა და გრძელი, მეფური შლეიფით მთავრდებოდა. ჩალისფერ თმაში ჩაბნეული ბრილიანტების დიადემა, მკერდზე მიმაგრებული მარგალიტები და ფირუზები თვით ამ პომპეზურ თავყრილობაშიც კი ბრწყინვალეობითა და ნონით ყვლაფერს აჭარბებდა. პროვინციული მსახიობის უზარმაზარი მორთულობის ღირებულება მილიონებს აჭარბებდა. ყოველივე ამას ლოტე, ერთი მხრივ, თავისი მეუღლის გალანტურობას უმაძღვოდა, რომელიც საჯაროდ ლანძღავდა რესპუბლიკელი მინისტრებისა და ქალაქის თავების ფუფუნებისადმი ლტოლვასა და კორუმპირებულობას, მეორე მხრივ კი, პრემიერ-მინისტრის რჩეული, მდიდარი ქვეშევრდომების ერთგულებას. ქალბატონი ლოტე არაჩვეულებრივად ახერხებდა, ასეთი დიდი ყურადღებაც კი ბუნებრივი სიხალისით მიეღო, რომ მთელს ქვეყანაში გულუბრყვილო, მზრუნველი და სათაყვანო ქალის სახელი გაუვარდა. მას სპეციალური ღირსებათაპურყვენელ და უანგარო ადამიანად მიიჩნევდნენ. ლოტე გერმანელი ქალების იდეალად ქცეულიყო.

პრემიერ-მინისტრის მეუღლეს დიდი, წყლიანი, ცისფრად მოციმციმე, ოდნავ გადმოკარკლული ძროხის თვალები, ლამაზი ქერა თმა და ქათქათა მკერდი ჰქონდა. თუმცა ისიც მოსუქებულიყო — როგორც ჩანს, პრეზიდენტის სასახლეში კარგად იკვებებოდნენ. აღფრთოვანებით ჰყვებოდნენ, ლოტე ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ თავის მეუღლესთან მალაღობი საზოგადოების ებრაელებს გამოეყო-მაგოსო, თუმცა ეს ებრაელები მაინც ხვდებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკში. მას პრემიერ-მინისტრის კეთილ ანგელოზსაც უწოდებდნენ, თუმცა ბოროტება არ შემცირებულა მას შემდეგ, რაც ის პრემიერ-მინ-

საიდუმლოებები, ის კი დედური მზრუნველობით იღიმებოდა. დილაობით, როცა პრემიერ-მინისტრს მხარზე ანცად ჩამოადებდა ხოლმე თავს, რენესანსის მაგიდაზე გადაშლილი მისი მეუღლის ხელმოწერილ უამრავ სასიკვდილო განაჩენს ხედავდა. იმავე საღამოს კი თავის ქათქათა მკერდს და ჩალისფერ თმას ოპერის პრემიერებსა და იმ რჩეულთათვის საზეიმოდ განყობილ სუფრებზე ამზერებდა, რომელთაც მასთან ყოფნის პატივი ხვდათ წილად. ლოტე იმდენად სენტიმენტალური და გულუბრყვილო იყო, მისი უმნიშვნელო განსჯას არ ექვემდებარებოდა. სჯეროდა, რომ „ხალხის სიყვარული“ იყო გარემოცული, რადგან ორი ათასი პატივმოყვარე, სულგაყიდული სნობი მის პატივსაცემად ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა და ტაშს უკრავდა. ისიც ამ ბრწყინვალეობაში დააბიჯებდა და ღიმილს არიგებდა — სხვა არც არასდროს არაფერი გაუცია. მთელი სერიოზულობით სჯეროდა, რომ ამდენი სამკაული ღვთის წყალობა იყო. ფანტაზიისა და ჭკუის ნაკლებობა მომავალზე ფიქრისგან იცავდა, რომელსაც ამ მშვენიერ ამწყობთან, ალბათ, ცოტაოდენი მსგავსება ექნებოდა. როცა თავანუელი, სინათლითა და საერთო აღფრთოვანებით გარშემორტყმული მიაბიჯებდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ჯადოსნური სამყარო მარადიულად იარსებებდა, ის კი მუდამ ბრწყინვალეობით იქნებოდა გარშემოცული. ნანამები ადამიანები არასოდეს იძიებდნენ შურს, სიბნელე ხელს ვერასოდეს ჩაავლებდა. ტუში ისევ მეტისმეტად ხმამაღლა და გულსგამანერვილებლად უკრავდა. ჯერ კიდევ გრძელდებოდა საზეიმო შეძახილები. ამასობაში ლოტემ და მისმა სქელუამ პროპაგანდის მინისტრამდე და ჰეფგენამდე მიადღინეს. სამივე ბატონმა მისალმების ნიშნად სწრაფად ასწია ხელი. შემდეგ ჰენდრიკი გულითადი და მრავლისმთქმელი ღიმილით იმ დიდი ქალბატონის ხელისაკენ დაიხარა, რომელსაც სცენაზე ხშირად გადახვევია. და აი, ასე იდგნენ ისინი რჩეული საზოგადოების მწველი ცნობისმოყვარეობის შუაგულში: ამ ქვეყნის ოთხი ყველაზე ძლიერადმოხილი ადამიანი, ოთხი ხელისუფალი, ოთხი კომედიანტი — სარეკლამო სამსახურის უფროსი, სასიკვდილო განაჩენისა და ბომბდამშენების სპეციალისტი, გათხოვილი სენტიმენტალური ქალბატონი და ფერმკრთ-

ალი ინტრიგანი. რჩეულმა საზოგადოებამ კარგად დაინახა, როგორ დაჰკრა სქელუამ ბატონ ინტენდანტს მხარზე ხელი, თან ისე ძლიერად, რომ იქაურობა შეაზანზარა, მერე გაუღიმა და ამოიღრუტუნა: „აბა, როგორ ხარ, მეფისტო?“ ესთეტიკური თვალსაზრისით ჰეფგენი თავისთვის მეტად მოგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა: ჩასუქებული წყვილის გვერდით ტანწინი ჩანდა, სარეკლამო სამსახურის ცქვიტ, მაგრამ ხეობარ ჯუჯასთან შედარებით კი — მალაღობი და ღიმილი. მისი სახეც, როგორც ფერმკრთალი და საზარელიც უნდა ყოფილიყო, დანარჩენებთან შედარებით მაინც უფრო სასიამოვნო სანახაო იყო. საფეთქლები, რომლებიც პატრონის მგრძობიარე ბუნებაზე მიუთითებდა, და ძლიერად გამოყვანილი ნიკაპი იმაზე მეტყველებდა, რომ ამ ადამიანს უცხოვრია და უტანჯია. მის ხორცსაცხე მფარველს კი სახე დასივებოდა, პრემიერ-მინისტრის სენტიმენტალურ მეუღლეს ბრიყვის ნიღაბი მოერგო, ხოლო პროპაგანდისტს საერთოდაც ცხვირ-პირი დაღრეჯოდა. სენტიმენტალურმა ქალბატონმა თბილი მხერა მიაპყრო ინტენდანტს, რომლის მიმართაც მალულ, თუმცა არცთუ მთლად მალულ სიმპათიას გრძობდა, და უთხრა: „ჰენდრიკ, მგონი, თქვენთვის აქამდე არ მითქვამს, რა საოცრად მომწონს თქვენი ჰამლეტი?!“ მანაც მდუმარედ ჩამოართვა ხელი, მერე კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა და შეეცადა, მისთვის ისეთივე სენტიმენტალური მხერა მიეპყრო, როგორც კი ქალი თვითონ ბუნებას დაეჯილდობინა, მაგრამ მცდელობა უიღბლო აღმოჩნდა: ჰენდრიკს თავისი თევზის თვალებით ამდენი სიბოძს გამოხატვა არ შეეძლო. ამიტომ სერიოზული, ცოტა გაბრაზებული, ოფიციალური გამომეტყველება მიიღო და ჩაილაპარაკა: „რამდენიმე სიტყვის თქმა მსურს.“ შემდეგ კი ხმას აუწია. მჭექარე, დახვენილი, კარგად დამუშავებული ფოლადისებრი ხმის ტემბრი ჰქონდა, რომელიც დარბაზის ყველაზე შორეულ კუნჭულებშიც კი აღწევდა და სათანადო ეფექტს ახდენდა: „ბატონო პრემიერ-მინისტრო! თქვენო ბრწყინვალეობა! თქვენო უმაღლესობა! პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენ ვამაყობთ, დიახაც, რომ ვამაყობთ და მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია, ამ დიდებულ შენობაში ეს დღესასწაული თქვენთან ერთად, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს უმშვენიერეს მეუღლესთან ერთად აღვნიშნოთ...“ მისი პირველი სიტყვებისთანავე ჩაცხრა ორიათასკაციანი საზოგადოების ცხარე მასლაათი. სრულ სიჩუმეში, სულისშემზრთველ უძრავობაში გაისმოდა გრძელი, პათეტიკური და ბრწყინვალე რიტყვილის მისალოცი ფრაზები, რომელთაც ინტენდანტი, სენატორი და სახელმწიფო მრჩეველი თავის პრემიერ-მინისტრს უძღვნიდა. იქ მყოფთა აღფრთოვანებული მხერა ჰენდრიკ ჰეფგენისკენ იყო მიმართული. ის უმაღლესი ხელისუფალთა რიტყვილში შედიოდა და სანამ მათი ბრწყინვალეობა გასტანდა, მისი ნაწილი იყო, მისი ყველაზე ნატიფი და გაქნილი წარმომადგენელი. მბრძანებლის 43-ე დაბადების დღისადმი მიძღვნილ სიტყვას აღფრთოვანებული შეძახილებით მოჰყვა. ჰეფგენს ნიკაპი წინ გამოეწია, თვალში უელავდა, მის თამამად მოზომილ ყვანტებს საოცარი აღმაფრენა ეტყობოდა, ძალიან ოსტატურად ახერხებდა სიმართლის თქმისთვის თავის არიდებას. სკალპირებული ცეზარი, სარეკლამო სამსახურის უფროსი და ძროხისთვალე ქალბატონი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რომ მის ბავშვებს მხოლოდ ტყუილი ელადა და არაფერი ტყუილის გარდა: ამას მოითხოვდა დარბაზსა და მთელს სახელმწიფოში მოქმედი დაუნერვილი კანონი. როცა ჰეფგენი ოსტატურად აჩქარებული ტემპით თავისი მისალოცი სიტყვის დასასრულს მიუახლოვდა, ერთმა ლამაზმა, ბავშვური გარეგნობის ქალბატონმა, რომელიც ცნობილი რეჟისორის მეუღლე გახლდათ და დარბაზის შორეულ კუთხეში მოკრძალებით იდგა, თავის მეზობელს გადაუჩურჩულა: „როგორც კი ლაპარაკს მოჩვენა, უნდა მივიდე და ხელი ჩამოვართვა. რა ფანტასტიკურია, არა? ისე, უკვე კარგა ხანია, ვიცნობ, ჰამბურგში ერთად ვმუშაობდით თეატრში, ნამდვილად კარგი დრო იყო! და მას შემდეგ ასეთი წინსვლა კარიერაში!“



ტომას სტერნზ ელიოტი

ფშუტა ადამიანები

მისტერ კურცი მოკვდა. გაიმეტეთ პენი ბებერი გაისტვის.

I ჩვენ მხოლოდ ფშუტე ტიკინები ვართ — ერთად შეყრილებს თავიც ჩალით გვაქვს გატენილი, ჩვენი მშრალი ხმით ერთხმად ვჩურჩულებთ — ჩუმად, უაზროდ, როგორც ნიაფი გამხმარ ბალახში, როგორც დამსხვრეულ მინაზე ვირთხა ჩვენს მშრალ სარდაფში.

ფორმა — უმსგავსო. უფერო ჩრდილი. ულონო ძალა. უძრავი ჟესტი.

თქვენ, ვინც თვალებით გადაკვეთეთ სიკვდილის სულ სხვა სამეფო, თუ გაგვიხსენებთ, ნუ გეგონებთ შმაგი სულები — ჩვენ მხოლოდ ფშუტე ტიკინები ვართ.

II მე ამ თვალბრუნებთან სიზმარშიც კი ვუფრთხი შეხვედრას, თუმცა სიკვდილის სიზმრისეულ ამ სამეფოში არც არსებობენ — იქ ეს თვალბრუნებ მზის შუქია დამსხვრეულ სვეტზე და ხეა, მშვიდად მონანავე, ან ხმები ქარის სიმღერაში — უფრო შორი და დიდებული, ვიდრე ვარსკვლავი რომ ინავლება.

ნება მომეცით, არ მივიდე ახლოს სიკვდილის სიზმრისეულ ამ სამეფოში, ნება მომეცით, რომ ჩავიცვა ტანთ საგანგებო სამოსელი — ვირთხის ქურთუკი, ყვავის ტყავი. ან ჯვარედინი ფიცარივით დაედგები მინდვრად, მოვიქცევი ქარების მსგავსად, თუმც — არა ახლოს.

და არა ბოლო შეხვედრაზე სადაც, ბინდის სამფლობელოში.

III მკვდარი მიწაა. კაქტუსების მიწაა მკვდარი, ქვის კერპებია აღმართული. მათ აღუვლენენ ვედრებას მკვდრები ხელაპყრობით, იმ ვარსკვლავის ქვეშ, რომ ციმციმებს და ინავლება.

ტომას სტერნზ ელიოტმა „ფშუტე ადამიანები“ 1925 წელს დაწერა. ადრინდელ წერილში „პოეტები — მეტაფიზიკოსები“ ელიოტი წერდა, რომ იმ დროისთვის არსებული ცივილიზაციის პირობებში პოეტი რთული უნდა ყოფილიყო. ელიოტის ფორმა რთულია, ექსპერიმენტული და ელიტარული. ამ სამი განზომილებით ის შეესაბამება თავის პოეტურ აზროვნებას. „ფშუტე ადამიანებს“ ორი ეპიგრაფი უძღვის. პირველი — „მისტერ კურცი მოკვდა“ — ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გულის“ ალუზიაა, სადაც კონრადი ადამიანის ცარიელ სამყაროს გვაჩვენებს. მონებით მოვაჭრე კურცი ჭეშმარიტად „ფშუტე ადამიანია“. მეორე ეპიგრაფი — „გაიმეტეთ პენი ბებერი გაისტვის“ — უკავშირდება ინგლისში გაი ფოკსის დღის აღნიშვნას. 1605 წელს მან პარლამენტის შენობის აფეთქება უშედეგოდ სცადა. ელიოტის ციტატა — ერთი პენის (კროშის) თხოვნა ბებერი გაისტვის — არის ტრადიცია, როდესაც ბავშვები ამ დღეს ითხოვენ ფულს, რათა იყიდონ ფოიერვერკი და დაწვან გაისტის ჩალით ფიგურა. ამ ორი ეპიგრაფში წარმოდგენილია ფშუტე ადამიანის ორი ტიპი — ის, ვინც სულიერ სიცარიელეს განიცდის და ის, ვისაც არ გააჩნია სხეული. ისინი გამოხატავენ ორმხრივ სიცარიელეს — როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს და პირდაპირ აცხადებენ ტექსტის თემას. გარკვეული თვალსაზრისით, ელიოტის ბებერი ნაწარმოები უკავშირდება ერთმანეთს. „ფშუტე ადამიანებსაც“ „უნაყოფო მიწას“ უკავშირებენ. ერთი მოსაზრებით, „ფშუტე ადამიანები“ არის „უნაყოფო მიწის“ ერთგვარი დამატება ან გაგრძელება, ან სულაც მისი სასტიკი სიმფონიის ბოლო აკორდი, ან ერთგვარი ეპილოგი. ტექსტში დიდ ადგილს იკავებს ეპითეტები, რომელთა ერთობლიობა ქმნის განსაკუთრებულ სამყაროს. სწორედ ამ ეპითეტების თარგმნა გახლდათ ყველაზე რთული, რადგან ორიგინალში თითოეული მათგანი მრავალმნიშვნელოვანია. ამ მრავალმნიშვნელოვნების გადმოტანა კი ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც არის, რადგან თარგმნისას გინევს, ზუსტი შესატყვისი მოუძებნო თითოეულ მათგანს, რაც, შესაბამისად, ავინროებს ეპითეტის მნიშვნელობას. ელიოტის პოეზიაში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქვეტექსტი, რამდენადაც კონტექსტი და მისი პოეზიისთვის დამახასიათებელი მრავალმნიშვნელოვნება, ასოციაციურობა და სიმბოლიკა, რომელიც, უპირველესად, კონტექსტში ვლინდება. თქვენ წინაშეა თარგმანი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მოკლე ტექსტია, რომელსაც ყველაზე დიდხანს ვთარგმნიდი. ალბათ იმიტომ, რომ დიდხანს ვცდილობდი, სწორად წამეკითხა სათქმელი, რომელსაც პოეტი გვთავაზობს.

მთარგმნელი

ეს ისევეა, სიკვდილის სხვა სამეფოში რომ გაგვეღვიძება მარტო, როცა ვთრთოთ ვნებისაგან, ბაგეები კი, კოცნის ნაცვლად, ლოცულობენ დამსხვრეულ ქვებთან.

IV თუმცა, არ არის აქ თვალბრუნებ, ვერ ნახავ თვალბრუნებს მომაკვდავ ვარსკვლავთ ამ ვრცელ ველზე, ცარიელ ველზე — ჩვენზე დაკარგულ სამეფოთა დამსხვრეული თავის ქალაში. შეხვედრის ბოლო ადგილია — ვიკრიბებით, ვუფრთხი საუბარს, ნყალუხვ მდინარის ნაპირებთან თავშეყრილები. უსინათლონი ვდგავართ, სანამ თვალბრუნებ ისე გამოჩნდება — ვით ვარსკვლავი მარადიული, ან შლილი ვარდი სიკვდილის ბინდის სამეფოდან. იმედები ხომ მხოლოდ ფშუტე ხალხისთვისაა.

V წრეს ვუვლით კაქტუსს, კაქტუსს, კაქტუსს, წრეს ვუვლით კაქტუსს — ხუთია დილის.

რეალობას და იდეას შორის, მოძრაობას და ქმედებას შორის ეცემა ჩრდილი. რადგან შენია ეს სამეფო.

ჩანაფიქრსა და ქმნილებას შორის, ემოციასა და პასუხს შორის ეცემა ჩრდილი. რადგან სიცოცხლე ასე გრძელია სანუკვარ სურვილს და კრუნჩხვებს შორის, შესაძლებელს და არსებულს შორის, საკუთრივ არსსა და შედეგს შორის ეცემა ჩრდილი, რადგან შენია ეს სამეფო. რადგან შენია ეს სიცოცხლე, რადგან შენია.

ასე ედება ბოლო სამყაროს, ასე ედება ბოლო სამყაროს — უფრო სლუკუნით და არა სკდომით.

თარგმნა ქეთი ნიჟარაძე



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
საორბისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მინისტრის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004